

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

**თსუ 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია**

**Conference dedicated to the 105<sup>th</sup> anniversary of TSU**

## **თ ე ზ ი ს ე ბ ი**



**6 თებერვალი**

**February 6**

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი თეიმურაზ პაპასკირი

პროფესორი დარეჯან გარდავაძე

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

დოქტორანტი ირინა ნოზაძე

Organizing Committee:

Professor Nana Gaprindashvili

Professor Teimuraz Papaskiri

Professor Darejan Gardavadze

Assoc. Professor Ekaterine Navrozashvili

Doctor Nino Popiashvili

PhD Student Irina Nozadze

**პოლივალენტური ნანოსინტაქსი იბერიულ-კავკასიურ  
ენებში და ირიბ-ობიექტური უღვლილების მოდელები –  
S203 ქართულში**  
**Polyvalent Nanosyntax in the Iberian-Caucasian Languages  
and Indirect-Objective Models of Conjugation – S203 in  
Georgian**

**ცირა ბარამიძე**  
**Tsira Baramidze**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** პოლივალენტობა, ნანოსინტაქსი,  
იბერიულ-კავკასიური ენები, ირიბი ობიექტი ქართულში  
**Keywords:** Polyvalence, Nanosyntax, Iberian-Caucasian Languages,  
Indirect Object in Georgian

მოხსენებაში გაანალიზებულია იბერიულ-კავკასიურ ენებში უღვლილების მორფოსინტაქსური ამოსავალი სისტემის იერარქიული ცვლილების (კლასოვანი>კლასოვან-პიროვანი>პიროვანი>ნულოვანი) შედეგები აქტანტების მარკირების თვალსაზრისით. მოხსენების მიზანია, აიხსნას ქართულში ირიბი ობიექტის ვალენტობისა და მარკირების საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენათა დიაქრონიული ნანოსინტაქსის საფუძველზე.

იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ამოსავალია პირდაპირი ობიექტის ვალენტობის ასახვა კლასით – პრეფიქსაციით (იშვიათად – ინფიქსაციითაც) ტრანზიტიული ზმნა-შემასმენლის მქონე სინტაქსურ კონსტრუქციაში (შდრ.: პირდაპირ-ობიექტური უღვლილება ქართულში – გ-ა-ქ-ებ მე შენ) და სუბიექტური უღვლილება კლასის მარკირებით ინტრანზიტიული ზმნა-შემასმენლის მქონე სინტაქსურ კონსტრუქციაში:

თაბ.: უზუ ბ-იკურა კაჯ „მე ვწერ წერილს“ ( S ერგ.,O სახ. – ბ-არის პ. O-ის კლასის ნიშანი);

უზუ ტი-რ-ხ-ნუ „მე გავფრინდი“ (S ნომ., რ-არის S-ის კლასის ნიშანი).

იბერიულ-კავკასიურ ენებში ამოსავალ ანუ კლასოვანი ნანოსინტაქსის სისტემაში ირიბი ობიექტის ვალენტობა არ იყო მარკირებული. ირიბი ობიექტი განირჩეოდა სხვადასხვა (ძირითადად, ლოკატივებით) გზით ვიდრე უღვლილების მორფოსინტაქსური სისტემა კლასოვანიდან კლასოვან-პიროვანამდე არ გადაიწვედა და რიგ ენებში არ ჩამოყალიბდებოდა ოდენ პიროვან უღვლილებად. ირიბი ობიექტის მარკირება მიეკუთვნება პიროვანი უღვლილების ეტაპს და მეორეულია. ქართულში ირიბი ობიექტი ახალ „კატეგორიად“ მიაჩნია თ. უთურგაიძესაც.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის პიროვანი (ასევე კლასოვან-პიროვანი) უღვლილების მქონე ენების სისტემური ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, აიხსნას ირიბი ობიექტის მარკირების სისტემები და აიხსნას პირის ნიშნების განაწილების პრინციპები ირიბი ობიექტური პირებისათვის, კერძოდ, სუბიექტური პირის ნიშნებისა – S2 (ხ-, ჰ-, ს-, 0-) ირიბი O3-სათვის და პირდაპირი ობიექტური პირის ნიშნების (მ-, გ-, გვ-) გამოყენების თავისებურებანი ირიბი ობიექტისათვის აგლუტინაციის პრინციპის დარღვევით ქართულში.

მოსხენებაში გაანალიზებულია იბერიულ-კავკასიურ ენებში ირიბი ობიექტის გამოსატვის ნანოსინტაქსური რეინტერპრეტაციები უღვლილების სისტემათა დიაქრონიული ცვლის შედეგად; მოცემულია მცდელობა, აიხსნას ქართული ენის პირდაპირობიექტური და ირიბ-ობიექტური უღვლილების პარადიგმა და-ნარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებთან მიმართებაში.

## **ლიტერატურა:**

**ნიკოლაიშვილი, მ. (2012).** რა განსაზღვრავს ზმნის კონსტრუქციებს ქართულში? „სპეკალი“, 5. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/49>

- მელიქიშვილი, დ. (2001).** ქართული ზმნის უღლების სისტემა, ლოგოს პრესი.
- მანიძე, ა. (1953).** ქართული გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, I, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“
- ჯორბენაძე, ბ. (1975).** ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თსუ გამომცემლობა.
- ჯორბენაძე, ბ. (1980).** ქართული ზმნის ფორმოზომი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თსუ გამომცემლობა.
- უთურგაიძე, თ. (2013).** ქართული ენის ისტორიული გრამატიკის მორფოლოგიური და მორფოსინტაქსური ასპექტები, თსუ გამომცემლობა.

In the report, the results of the hierarchical change of the morphosyntactic origin system (class>class-personal>personal>zero) in the Iberian-Caucasian languages from the point of view of actant marking are analyzed. The purpose of the report is to explain the issue of valence and marking of the indirect object in Georgian based on the diachronic nanosyntax of the Iberian-Caucasian languages.

For the Iberian-Caucasian languages, the starting point is the reflection of the valence of the direct object with a class - prefix (rarely - also with an infix) in a syntactic construction with a transitive verb (cf. direct-object conjugation in Georgian - გ-ა-ქ-ებ მე შენ „I praise you“) and subjective conjugation by marking the class of S in intransitive verb:

Tab.: uzu b-i ura kaj “I am writing a letter” (Serg., Onom. - b- is the sign of the class of R - recipient) uzu ჭი-r-x-nu “I flew” (Snom., r-is the class sign of S)

The valence of the indirect object was not marked in the origin or class nanosyntax system in the Iberian-Caucasian languages. The indirect object was distinguished in different ways (mainly, by locatives) before the morphosyntactic system of conjugation did not move from class to personal conjugation and in some languages it did not develop into personal conjugation. Marking of an indirect object belongs to the stage of personal indifference and is secondary. T. Uturgaidze considers that the indirect object to be a new “category” in Georgian.

Among the Iberian-Caucasian languages, the systematic analysis of languages with personal (as well as class-personal) indeterminacy provides an opportunity to explain the indirect object marking systems and to explain the principles of distribution of person signs for indirect object persons, in particular, subjective person signs - S2 ((b-, ჰ-, ბ-, 0-) for indirect O3 and peculiarities of using direct object person signs ((@-, გ-, გგ-) for indirect object in violation of the principle of agglutination in Georgian.

The report analyzes the nanosyntactic reinterpretations of the expression of the indirect object in the Iberian-Caucasian languages as a result of the diachronic change of the conjugation systems; An attempt is made to explain the paradigm of the direct-objective and indirect-objectiveness of the Georgian language in relation to the rest of the Iberian-Caucasian languages.

#### **References:**

- Nikolaishvili, M. (2012).** Ra gansazrvravs zmnis konstruqciebs qartulshi? "Spekali" 5. [What defines verb constructions in Georgian?] <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/49>
- Melikishvili, D. (2001).** Qartuli zmnis urlebis sistema. [Conjugation system of Georgian verbs]. Logos presi.
- Shanidze, A. (1953).** Qartuli gramatikis saphuzvlebi, Morphologia, I. [Basics of Georgian Grammar, Morphology, I]. TSU Publishing.
- Jorbenadze, B. (1975).** Zmnis formata warmoebisa da fuqnciis sakitxebi qartulshi. [Issues of production and function of verb forms in Georgian]. TSU Publishing.
- Jorbenadze, B. (1980).** Qaetuli zmnis formobrivi da funqciuri analizis principebi. [Principles of Formal and Functional Analysis of Georgian Verbs, TSU Publishing.
- Uturgaidze, T. (2013).** Qartuli enis istoriuli gramatikis morfonologiuri da morfosintaqsuri aspektebi.[Morphonological and morphosyntactic aspects of the historical grammar of the Georgian language]. TSU publishing.



**რუდოლფო ანაიას „მაკურთხე ულტიმა“  
(ჩიკანო მწერლობის რამდენიმე საკითხის შესახებ)  
Rudolfo Anaya's "Bless Me, Ultima"  
(Several Characteristics of Chicano Literature)**

**მიხეილ ბარნოვი  
Mikheil Barnovi**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ნიუ მექსიკო, ინდიელები, იდენტობა,  
მექსიკელები, კათოლიციზმი  
**Keywords:** New Mexico, Indians, Identity, Mexicans, Catholicism

ამერიკელ მწერალს რუდოლფო ანაიას განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩიკანო მწერლობაში. დახვეწილმა, ემოციურმა პროზამ და საუცხოო თხრობის მანერამ ანაია ჩიკანო მწერლობის მამად აქცია. ანაიას მოთხრობებში მრავალფეროვნადაა არეკლილი ჩიკანო ამერიკელების მდიდარი კულტურა, მათ შორის: ესპანურენოვანი სოფლის მოსახლეობაში ქრისტიანობა-მდელი რწმენა-წარმოდგენებისა და კათოლიციზმის ნაზავი. ავტორის შემოქმედებაში ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია 1972 წელს გამოცემული ბესტსელერი „მაკურთხე ულტიმა“. მოთხრობაში ასახულია 1940-იანი წლების ნიუ მექსიკოს ესპანურენოვანი მოსახლეობის (ჩიკანოების) ყოფითი და სულიერი კულტურა.

„მაკურთხე ულტიმა“ მრავალშრიანი ნაწარმოებია და არა ერთი კუთხითაა საინტერესო. ამერიკის სამხრეთ-დასავლეთის ისტორიის დიდი, კომპლექსური და ქრელი პანორამის აღსაქმელად ჩიკანო ამერიკელების პერსპექტივის გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ჩიკანოები, ინდიელებთან ერთად, რეგიონის უძველეს მოსახლეობას წარმოადგენენ.

1960-იანი წლების ამერიკაში სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის ეპოქაში, ჩიკანო მწერლების მოთხრობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა „სამშობლოს“/„მამულის“ კონცეპტის ძიება. მიუხედავად მთავარი თემების მრავალფეროვნებისა, 1970-იანი წლების ჩიკანო მწერლების შემოქმედების უმეტესობაში წამყვან ქვეთემას წარმოადგენს მექსიკური წამროშობის ამერიკელების, ჩიკანოების მიმართება სამხრეთ-დასავლეთთან. სამხრეთ - დასავლეთის (ნიუ მექსიკო, არიზონა, კალიფორნია), როგორც სამშობლოს ხატება ჩიკანო მწერლობაში იმდენივე ფორმას იღებს, რამდენი ნაწარმოებიც შექმნილა, მაგრამ ეს ფორმები ოთხ ძირითად ძირითად კატეგორიამდე შეგვიძლია დავიყვანოთ.

ჩიკანო მწერლობაში რუდოლფო ანაია „სამშობლოს“ ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ და კომპლექსურ კონცეპტს ქმნის. „მაკურთხე ულტიმაში“ ანაია ნიუ მექსიკოს წარმოაჩენს როგორც მიკროკოსმოსს, ამერიკელების მიერ ჩიკანოებისთვის წართმეულ მიწას. ნაწარმოებში ანაია სამშობლოს მრავალშრიან ხატს აყალიბებს და კარგად წარმოაჩენს ნიუ მექსიკოს ესპანურენოვანი მოსახლეობის სულიერ და სისხლით ნათესაურ კავშირს ინდიელებთან.

რუდოლფო ანაიას შემოქმედებაში სრული სისავსითაა ნაჩვენები ჩიკანოების სულიერი კავშირი სამხრეთ-დასავლეთთან, მათი ფოლკლორისა და კულტურის ღრმა ფესვები. ჩიკანოები ინდიელებთან ერთად სამხრეთ-დასავლეთის ძირძველ მოსახლეობად მიიჩნევენ თავს და მათი იდენტობა ამერიკის პრე-ისტორიულ წარსულსა და ევროპული კოლონიზაციის შემდგომ პერიოდებს აერთიანებს. ჩიკანოები ერთი მხრივ, ინდიელებისა და მეორე მხრივ, ესპანელი კოლონიზატორების შთამომავლები არიან და სამხრეთ-დასავლეთში ანგლო-ამერიკულ კოლონიზაციამდე დიდი ხნით ადრე ცხოვრობდნენ. რუდოლფო ანაიას შემოქმედებაში ასახული ჩიკანოების „სამშობლოს“ ხატება მათ უნიკალურ, თვითმყოფად კულტურაზე მიუთითებს, ისინი, ჩიკანოები – არც მექსიკელები არიან და არც ამერიკელები, არამედ ნიუ მექსიკოელები.



ამგვარად, ანაიას გამოცემულ მოთხრობებში სამხრეთ-დასავლეთი აღწერილია როგორც: ჩიკანოების უძველესი, მამა-პაპათა საცხოვრისი, მშობლიური მიწა; ამერიკელების მიერ მიტაცებული მიწა; ჩიკანოების მიერ დაბრუნებული მიწა.

ანაია ჩიკანოების თვალით დანახული რეგიონის ფართე სურათს გვთავაზობს და ინდიელთა მითოლოგიაზე დაყრდნობით (აცტეკების მითი აცტლანის შესახებ) ასაბუთებს ნიუ მექსიკოს ესპანურენოვანი მოსახლეობის განსაკუთრებულ კავშირს მიწასთან.

ჩიკანო მწერლობაში მოცემული „სამშობლოს“ ხატება მნიშვნელოვანია რეგიონის იმიჯის არა ანგლო-ამერიკული პერსპექტივით აღსაქმელად. ადგილობრივ ინდიელთა ზეპირსიტყვიერება და ჩიკანოების ხედვა სახმრეთ-დასავლეთის კომპლექსური ისტორიის ობიექტური გააზრებისთვის აუცილებელია.

#### **ლიტერატურა:**

**Sanchez, George J. (1993).** *Becoming Mexican-American*, New York: “Oxford University Press”

**Keefe Susan E., Padilla, Amado M. (1987),** *Chicano Ethnicity*, Albuquerque: “University of New Mexico Press”

**Aldama, Arturo J., Quiconoz, Naomi H. (2002),** *Decolonial Voices, Chicana and Chicano Cultural Studies in the 21<sup>st</sup> Century*, Bloomington: “Indiana University Press”

Rudolfo Anaya is a celebrated New Mexico author of many novels, children’s books, poetry, plays and non-fiction works. His groundbreaking work explores American Southwest and had great influence on Chicano literature. Rudolfo Anaya was truly groundbreaking and much-celebrated author.

Through the novels of the 1970s, we can see that attachment to the Southwest (New Mexico, Arizona, California) was embedded deeply in the Chicano collective imagination and Chicano writers were trying

to find ways to reflect their special attitude towards homeland. Despite a variety of central themes, most Chicano novels during the decade involved the relationship between Chicanos and the Southwest.

Rudolfo Anaya's first novel, *Bless Me, Ultima*, was published in 1972, just as the Chicano Movement was taking root in the national consciousness. This community of Americans of Mexican descent was affirming its unique cultural identity through the cultivation of art, theater, spirituality, music, and literature. *Bless Me, Ultima*, a novel about a young boy struggling with competing expectations and values in post-World War II rural New Mexico, resonated with Chicano readers. Anaya's coming-of-age novel "*Bless Me, Ultima*" reframed the way many in New Mexico viewed their own history, even as school districts tried to ban it.

"*Bless Me, Ultima*" depicts New Mexico as microcosm as lost through the loss of private lands and also makes the important connection between Chicanos and the native Indians of the area. Additionally, Anaya makes a reference to the Mexican origins of the land grant belonging to the main character's family, a direct allusion to the former possession of the land by the Mexican nation as a whole.

"*Bless Me, Ultima*" and generally Chicano literature combined with Native American oral history is unique source to understand experience of indigenous people and Hispanic population of Southwest. Chicano novels can help us to get deeper perception how incorporation of peripheries (New Mexico) into nations happened and how peoples in these transformed homelands (Chicanos) struggled to maintain a degree of autonomy within the larger entities.

### **References:**

**Sanchez, George J. (1993).** *Becoming Mexican-American*, New York: "Oxford University Press"

**Keefe Susan E., Padilla, Amado M. (1987),** *Chicano Ethnicity*, Albuquerque: "University of New Mexico Press"

**Aldama, Arturo J., Quiconez, Naomi H. (2002),** *Decolonial Voices*, Chicana and Chicano

**Cultural Studies in the 21st Century, Bloomington: “Indiana University Press”**

**გიორგი V ბრწყინვალის ტიტულატურისათვის  
For the Title of Giorgi V Brtskinvale**

**მიხეილ ბახტაძე  
Mikheil Bakhtadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, მეფე, გიორგი ბრწყინვალე  
**Keywords:** Georgia, King, George Brtskinvale

გიორგი ბრწყინვალის შესახებ ჩვენ მეტად მწირი ცნობები გვაქვს და რაც გვაქვს, მათში არ ფიქსირდება მეფის სრული ქართული ტიტულატურა.

გიორგი V-ის ჩვენამდე მოღწეულ თავნაკლულ საბუთში, სამწუხაროდ მეფის სრული ტიტულატურა არ წერია. მხოლოდ ტიტულის ბოლო ფრაზაა დაფიქსირებული – „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუით ფლობით ხელმწიფედ მპყრობელი.“

თუ გავითვალისწინებთ ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურას, ცხადია, რომ ტიტულატურის დასაწყისი იქნებოდა – „ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე, შარვანშა და შაჰანშა.“

გასათვალისწინებელი კიდევ ერთი მომენტი, XIV საუკუნის ბოლოდან ბაგრატიონთა ტიტულატურაში ჩნდება კიდევ ერთი ფორმულირება – ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელი და ორივე სამეფოს გამაერთიანებელი. პირველად ასეთი ტიტული დასტურდება გიორგი VII-ის 1393 წლის სიგელში. შემდეგ მსგავსი ფორმულირება გვხვდება უკვე ალექსანდრე I-ის 1413, 1419, 1420 და 1441 წლების სიგელებში.

ჩნდება კითხვა, როდის უნდა გაჩენილიყო ფორმულირება – ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელი? მხოლოდ მას შემდეგ რაც XIII საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ორად გაყოფილი სამეფოს ერთიანობა აღდგა და ეს მოხდა გიორგი ბრწყინვალის დროს.

თეორიულად, ტიტული – ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელი, პირველად შეიძლება მიეღოს: გიორგი V ბრწყინვალეს, დავით IX-ს, ბაგრატ V-ს ან თუნდაც გიორგი VII-ს.

რატომ გახდა საჭირო ამ ტიტულის შემოღება? ტრადიციული ტიტულატურა აღარ ასახავდა რეალობას (რამდენიმე საუკუნეა აღარ არსებობდა სამეფოები: აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა) და გარკვეულწილად „გაყინულ რეალობას“ ასახავდა. საჭირო იყო ტიტული რომელიც იმ ეპოქის რეალობას ასახავდა და ყველასთვის გასაგები იქნებოდა. ასეთი კი იყო ლიხთ იმერი და ლიხთ ამერი.

ჩვენი აზრით, გიორგი ბრწყინვალის სრული ქართული ტიტულატურა შესაძლოა ყოფილიყო – ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე, შარვანშა და შაჰანშა, განმაერთებელი ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა, ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუით ფლობით ხელმწიფედ მპყრობელი.

We have very little information about Giorgi Brtskinvali, and what we have, they do not record the full Georgian title of the king.

In the document of George V that has reached us, unfortunately, the full title of the king is not written. Only the last phrase of the title is recorded.

If we take into account the titles of the kings of the united Georgia, it is clear that the beginning of the titles would be – “By the will of God, the king of the Abkhazians, Georgians, Rantas, Kakhtis and Somechta, Sharvansha and Shahansha.”

Another point to be considered, from the end of the 14th century, another formulation appears in the title of the Bagratians - the owner

of Licht-Imer and Licht-Amer and the unifier of both kingdoms. For the first time such a title is confirmed in the 1393 deed of George VII. Then similar wording can be found already in the orders of 1413, 1419, 1420 and 1441 of Alexander I.

The question arises, when should the wording - owner of Licht-Imer and Licht-Amer appear? Only after the unity of the divided kingdom was restored at the end of the 40s of the 13th century, and it happened during the reign of Giorgi Brtskinvali.

Theoretically, the title - owner of Licht-Imer and Licht-Amer could be given for the first time to: George V the Magnificent, David IX, Bagrat V or even George VII.

Why was it necessary to introduce this title? The traditional titulary no longer reflected reality (for several centuries there were no more kingdoms: Abkhazian, Georgian, Ranta and Kakhti) and to some extent reflected "frozen reality". We needed a title that reflected the reality of that era and would be understandable to everyone. Licht Imer and Licht Amer were like that.

In our opinion, the full Georgian title of Giorgi Brksinvali could have been - the king of Abkhazians, Georgians, Ranta, Kakhti and Somechta, Sharvansha and Shahansha, the unifier of Likht Imer and Likht Amer, the ruler of all the East and West.

**ქართულ ტერმინთბანკში ტექნიკური ტერმინოლოგიის  
რედაქციის თავისებურებანი**  
**Peculiarities of the Editorial Work for the Technical  
Terminology  
within the Georgian Term-Bank**

**ლინდა გიორგაძე**  
**Linda Giorgadze**  
**მანანა ერქომაიშვილი**  
**Manana Erkomaishvili**

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

**საკვანძო სიტყვები:** ტექნიკური ტერმინოლოგია,  
ტერმინთბანკი, ტერმინოლოგიური სიჭრელე, ახალი ტერმინი  
**Keywords:** Technical Terminology, Term Bank, Terminological  
Diversity, New Term

არნ. ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში თავდაცვის სამინისტროს მიერ გაწეული პროგრამული დახმარებით 2017 წელს შეიქმნა ქართული ტერმინთბანკი. ტერმინთბანკზე მუშაობა, რა თქმა უნდა, გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რადგან ჩვენს ხელთ არსებული ტერმინოლოგიური ლექსიკონების უდიდესი ნაწილი გასაცვიფრებელია, თუმცა დიდი ძალისხმევით მალე ტერმინთბანკი გამოქვეყნდება და მას ფართო საზოგადოებაც იხილავს.

ტერმინთბანკში მასალის დამუშავება გარკვეული პრინციპებით ხორციელდება (იხ. სტატია: „ქართული ტერმინთსაცავი, (ელექტრონული რესურსები ტერმინოლოგიური კორპუსისათვის), ლ. ქაროსანიძე, ი. უჭმაჭურიძე, ე. ჯგერენაია, ტერმინოლოგიის საკითხები III, 2018; საანგარიშო მოხსენება: „ქართული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური მუშაობის ახალი ეტაპი საქართველოში“, ლ. ქაროსანიძე, მესამე საერთაშორისო ონფ-



რენცია „ტერმინოლოგია - მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“, 2022...). ჩვენს მოხსენებაში შევხებით ტერმინების თემატურად დამუშავების საკითხებს. ყურადღებას გავამახვილებთ ტექნიკური ტერმინოლოგიის პრობლემებზე. ამ მიმართულებით გამოვყავით ქვეჯგუფები: მანქანის ნაწილების ტერმინები, ელექტრობასთან დაკავშირებული ტერმინები, ტექნიკური დანადგარებისა და მათი ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები და სხვა მრავალი. მუშაობის პროცესში გამოვყავით რამდენიმე ძირითადი პრობლემა. ესენია:

ტერმინოლოგიური სიჭრელე და მათ შორის მიმართებების არარსებობა. არის შემთხვევები, როცა ორი სხვადასხვა ტერმინი ერთ ცნებას მიემართება. მაგალითად:

„კოშკური დანადგარი“ და „კოშკურა ბატარეა“; „ტურბოკომპრესორი“ და „ტურბოსაჭირხნი“ და სხვა მრავალი. მსგავს შემთხვევებში, ან უპირატესობა უნდა მიენიჭოს ერთ ტერმინს, ან გაკეთდეს სალექსიკონო მიმართება ამ ტერმინთა იგივეობის შესახებ.

ახალი ცნებებისათვის ტერმინების არარსებობა. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ჩნდება ახალი ცნებები, რომლებისთვისაც ქართულ ენაში შესაბამისი შესატყვისების დაძებნა ან ახალი ტერმინების შექმნაა საჭირო. მაგალითად, ინგლისურენოვან ტერმინს clockspring ქართული შესატყვისი არსად ეძებნება. განყოფილების სხდომებზე ამ ტერმინის შესატყვისად შემოთავაზებულია ორი ფორმა: საათხვეულა და კონტაქტური სპირალი. ამგვარი საკითხის გადაწყვეტა მსჯელობას მოითხოვს.

ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები თუ დასმული საკითხები სულ მცირეა იმასთან შედარებით, რაც მუშაობის პროცესში იჩენს თავს. სანამ თითოეული ლექსიკური ერთეული შეიძლება ჩაითვალოს ნორმატიულ ფორმად, საჭიროა დადგინდეს მათი ძირითადი არსი. ვფიქრობთ, სწორედ ამგვარი მუშაობითაა შესაძლებელი ტერმინთბანკში ნორმატიულ ტერმინთა ქვებაზის შექმნა, რომელსაც დაეყრდნობა მრავალდარგოვან ტერმინთა რედაქტირებული ლექსიკონი.

### **ლიტერატურა:**

**ქაროსანიძე, ლ., უჯმაჯურიძე, ი., ჯგერენაია, ე. (2018).** ქართული ტერმინთსაცავი, (ელექტრონული რესურსები ტერმინოლოგიური კორპუსისათვის), ტერმინოლოგიის საკითხები III, 190-198, თბილისი: თსუ გამომცემლობა.

**გიორგაძე, ლ. (2018).** ტრანსპორტის ტერმინოლოგიის რედაქციის საკითხებისათვის, ტერმინოლოგიის საკითხები III, 34-41, თბილისი: თსუ გამომცემლობა.

**ტექნიკური ტერმინოლოგია (1982).** *ხ. ჯვადისა და ხ. ღამბაშიძის* რედაქციით, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

In the department of the scientific terminology at Arn. Chiqobava Institute of Linguistics, the Georgian term-bank was created in 2017, with help of the Georgian Department of Defense, especially in the process of developing the software for it. Of course, working on the term-bank is always a hard work and especially when large part of available terminological dictionaries should have been digitalized. Now it will not be so far that the mentioned term bank will be published and soon it will be presented to the large society as a result of the hard work of the specialists.

Processing of the material should be done basing on some special principles (see the article: „The Georgian Term-Bank and the New Stage of Terminological Work in Georgia” , L. Qarosanidze, the third international conference “ Terminology – heritage and modernity” 2022, In our scientific paper we will mention the issues of the thematical processing of the terms. Our special attention are paid to the problems of the technical terminology. In this direction we pointed out the following subgroups: the terms of the car-parts, the terms of electricity, the terms denoting some technical devices and their parts and many others. We have underlined some basic problems:

Terminological diversity and absence of relation between them. We have found out some cases when two different terms denote the same notion, for example: turret device and turret battery; turbo-compressor and turbo-device; turbo-discharge and turbo- inject; and others. We think that the priority should be given to one of the terms, it

should be used as more preferable, or the dictionary directives should be done towards the identity of such terms.

Absence of terms for the newly introduced notions. Along with development of technologies, the new notions usually occur and it is necessary to find out the relative corresponding terms in Georgian; for example, now we have no matching with the English term clockspring. We discussed the term at our department meetings and two forms were chosen (saatkhveula – clock-spiral and kontakhuri spirali (contact spiral); but the problem has not been solved yet as it demands careful discussion.

The examples and the problems which we spoke about in the paper are very few comparing with the real picture. The terminology problems show themselves while working on terminological problems. Till any lexical unit can be regarded as a normative form, first its real meaning should be found out exactly, as to be sure about it. It is very important and we think that it is the only way to determine its main meaning. This work will lead us to creating a sub-base of the normative terms on which the edited dictionary of the multi-branch terms will be founded.

#### **References:**

- Karosanidze, L, Ujmajuridze, I., Jgerenaia E. (2018).** The Georgian Terminological Database (Electronic Resources for the Corpus of Terminology), Journal 'Terminological Issues' III, 190-198, Tbilisi; TSU publishing;
- Giorgadze, L. (2018).** On the Issues of the Edition of Motor Vehicle Terminology, Journal 'Terminological Issues' III, 34-41, Tbilisi; TSU publishing;
- Technical Terminology (1982),** Editors: Dvali, R. Ghambashidze, R., Tbilisi; "Ganatileba".

**ვაჟაფხადაცმული ქალები – ქართული ზღაპრის  
პერსონაჟები და კინოგმირები  
Girls in Men's Clothes in Georgian Folktales and  
Cinematography**

**ელენე გოგიაშვილი  
Elene Gogiashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ზეპირსიტყვიერება, ზღაპარი, ეპოსი, კინო  
**Keywords:** Oral Narrative, Folktale, Epic, Cinema

მითოლოგიურ და ეპიკურ მეომარ ქალთა ტიპების შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ქალწული გმირის ჰეროიკულ სახეს მეცნიერები სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ. ისტორიულ-ტიპოლოგიური მეთოდი მეომარ ქალებს მატრიარქალურ სოციალურ ურთიერთობებთან აკავშირებს (Zhirmunski, 1979), სოციალურ მეცნიერებათა კვლევები კი ანტიკურობასა და შუა საუკუნეების ეპოქასთან (Röhlich 2002). არტეფაქტებისა და ხალხური გადმოცემების შეხვედრის წერტილები ნამდვილად არსებობს. ისტორიულად დადასტურებულია ქალების მონაწილეობა ბრძოლებსა და ლაშქრობებში, რაც გარკვეული ტრანსფორმაციით აისახა მითებსა და ზღაპრებში.

სოციოისტორიული და კულტურული ანალიზი შესაძლებელს ხდის ფოლკლორის შესწავლას ვიზუალურ ხელოვნებასთან ურთიერთმიმართებით. ფოლკლორულ გმირთა ტიპები და მოდელები ყველა ეპოქაში ყველა შესაძლებელი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ჟანრში (კინო, ანიმაცია, კომიქსი, პოპარტი, ვიდეოთამაში და ა.შ.). მოხსენება ეხება ქართული ხალხური ზღაპრებისა და ქართული კინოფილმების პერსონაჟ ქალებს, რომლებიც კაცის ტანსაცმელით ინიღბებიან, რათა გა-

ექცნენ ძალადობას და უსამართლობას შეებრძოლონ. შედარებისთვის ყურადღება გამახვილებულია (1) გმირის ჩაცმულობაზე, (2) ზღაპრული პერსონაჟისა და კინოგმირის თვისებების ურთიერთმიმართებასა და (3) თავგადასავლების მსგავსებაზე ზღაპრის სიუჟეტსა და ფილმებში.

ფოლკლორის სოციოკულტურულ ასპექტებზე ორიენტირებით ხალხური ზღაპრის შესწავლა უფრო მრავალფეროვანი გახდა. ხალხური და ლიტერატურული ზღაპრის შესწავლამ კინემატოგრაფიულ ვერსიებთან ურთიერთკავშირში სოციოისტორიული მეთოდების გამოყენებით სისტემური ხასიათი მიიღო (Zipes 1989, 1997, 2002; Bacchilega 1997).

ფოლკლორი არა მარტო წარსულის ექოა, არამედ ანმყოსიც და კვალდაკვალ მიჰყვება თანამედროვეობას, ასახავს სოციალურად სანქცირებულ მოვლენებს, ლაპარაკობს ადამიანის დაფარულ სურვილებზე, შინაგან მღელვარებაზე. ვაჟადგადაცმული ახალგაზრდა ქალი სიძლიერისა და სიმამაცის განსახიერებაა, რომელიც, როგორც რეალური გმირი და როგორც მხატვრული გამონაგონი, ერთ-ერთი მიმზიდველი სახე გახდა ზეპირსიტყვიერებაში, ლიტერატურაში, ვიზუალურ ხელოვნებასა და კინემატოგრაფიაში.

ლიტერატურული ნაწარმოებებისა და ხალხური საისტორიო თქმულებების მიხედვით მე-20 საუკუნის ქართულ კინემატოგრაფიაში მეამბოხე ქალთა გამორჩეული ტიპი შეიქმნა დარიკოსა და მაია წყნეთელის სახით. საბჭოთა პერიოდის ქართული კინოსთვის გლეხ ქალთა ემანსიპაციის თემა იდეოლოგიურად გამართლებულიც იყო და წარმატების მომტანიც. ხალხური გადმოცემებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების გადამუშავების საფუძველზე სოციალისტურ-რეალისტურმა სცენარებმა უსამართლობასთან მებრძოლი ქალებისგან რევოლუციონერები შექმნა.

დღევანდელი გადასახედიდან ვაჟადგადაცმული ქალების თემა უამრავ საფიქრალს აღძრავს არა მხოლოდ მათ მებრძოლ ბუნებასა და მტკიცე ხასიათზე, არამედ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, რაც ქალთა სოციალურ და საზოგადოებრივ პრობლემებს უკავშირდება და შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ხალხური ზღაპრები ძლიერ ქალებზე არ შემოიფარგლება ექსტრემალუ-

რი თავგადასავლების აღწერით. ზღაპრულ პერსონაჟებს საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად მართვის ძალაც შესწევთ და რევოლუციური პოტენციალიც განუზომლად დიდი აქვთ.

#### **ლიტერატურა:**

**Bacchilega, C. (1997).** Postmodern Fairy Tales: Gender and Narrative Strategies. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1997.

**Röhrich, L. (2002).** Gesammelte Schriften zur Volkslied- und Volksballadenforschung. Münster / New York / München/ Berlin: Waxmann, 2002.

**Zhirmunski, V. (1979).** Cravnitelnoe literaturovedenie. Vostok i zapad [Comparative Literature Studies. East and West]. Leningrad: Nauka.

The image of a heroic virgin appears in mythologies and epics of various peoples. The historical-typological theory-oriented scholars hold the view that the stories of the figure of the warrior-woman in folktales and epics, in their original form, go back to matriarchal social relations (Zhirmunski 1979). The folklorists who introduced the folktales in a social science setting considered heroic women as an expression or echo of a heroic epoch (Röhrich 2002). There are coincidences with factually founded facts and oral narratives, namely the historically attested participation of women in battles and military campaigns and their transformation into myths and fairy tales.

The sociohistorical and cultural analysis explains and illuminates the folklore genres in all manifestations (cinema, animation, comics, pop art, videogame etc.). The paper deals with the fairy-tale and cinematographic figures of the girls in man's clothes in Georgian folktales, recorded in the nineteenth and twentieth centuries, and twenty-century Georgian cinematography. The comparison presents through an analysis of (1) the functions of special attire of heroines, (2) features of fairy-tale figures and cinematographic characters, and 3) the similarities between the adventures of heroines in folktales and films.



A sociohistorical understanding of folklore facilitated the globalizing of folktale and fairy-tale studies. The social-historical method is a product of the new research that connected the study of the folktale with the studies of the literary fairy tale as well as their cinematographic versions in a more informed, systematic, and comprehensive manner (Zipes 1989, 1997, 2002; Bacchilega 1997).

Folklore is not just a relic of the past but an expression of the present day. It is constantly being created anew in contemporary life. Folklore serves the function of a socially sanctioned outlet for suppressed wishes and anxieties. The girl in man's clothes represents a hypostasis of the qualities of strength and heroism, expanding from the oral and literary tradition to visual culture and cinematography.

In Georgian cinematography of the 20th century, there are represented the historical figure of Georgian warrior women Maia Tskneteli and the imaginary character of the female revolutionary Dariko. Stories of heroic women from the peasant class have received increased attention in Georgian cinema in the Soviet times. The revolutionary woman in the social-realistic imaginary indicated her great potential to concentrate on different discourses about gender, the legitimacy of violence, social cohesion and national identity too. In this respect, the imaginary characters of horsewomen came as no surprise that narratives of horsewomen negotiate a variety of positions and identities.

#### **References:**

- Bacchilega, C. (1997).** *Postmodern Fairy Tales: Gender and Narrative Strategies*. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1997.
- Röhrich, L. (2002).** *Gesammelte Schriften zur Volkslied- und Volksballadenforschung*. Münster / New York / München/ Berlin: Waxmann, 2002.
- Zhirmunski, V. (1979).** *Cravnitelnoe literaturovedenie. Vostok i zapad* [Comparative Literature Studies. East and West]. Leningrad: Nauka.

**კლერმონის საეკლესიო კრება და მისი მნიშვნელობა  
პირველი ჯვაროსული ლაშქრობის ისტორიკოსებთან  
Council of Clermont and its Significance According to  
Historians of the First Crusade**

**თეა გოგოლიშვილი  
Tea Gogolishvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**საკვანძო სიტყვები:** ჯვაროსნები, პროვიდენციალიზმი,  
წყაროთმცოდნეობა, ლათინი ისტორიკოსები,  
მენტალიტეტის კვლევები

**Keywords:** Crusaders, Providentialism, Source Studies, Latin  
Historians, Studies of Mentality

X საუკუნეში ევროპაში დაიწყო მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო მოძრაობა, რომელიც ჩვენ ჯვაროსნული ლაშქრობების სახელით ვიცით. 1095 წელს ურბან მეორის მიერ კლერმონში წარმოთქმულმა სიტყვამ, დიდი გავლენა მოახდინა მორწმუნეებზე და შედეგად მივიღეთ კარგად იდეოლოგიზირებული ლაშქრობა, რომელსაც იერუსალიმის აღება და ჯვაროსნული სამეფო-საგრაფოების დაარსება მოჰყვა. თუმცა, აქვე უნდა გავიაზროთ ის ფაქტიც, რომ პაპების მიერ მიღწეული გავლენა და ძალაუფლება დამყარებული იყო იდეოლოგიაზე და არა სამხედრო ძლიერებაზე. შუა საუკუნეების სქოლასტიკამ და პროვიდენციალურმა აღქმამ დიდი სამსახური გაუწია პაპობას საკუთარი ძალაუფლების გამყარებაში. პირველ ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ, შუა საუკუნეების პერიოდის საკმაოდ ბევრი წყარო მოგვეპოვება. წყაროებში ავტორები ძირითადად ქრისტიანული იდეებისა და საღვთო ომის პრინციპების პროპაგანდას ეწეოდნენ და ჯვაროსნული ლაშქრობის სამართლიანობის დამტკიცებას ცდილობ-

დნენ. მენტალიტეტის კვლევებისათვის მეტად მნიშვნელოვანია წყაროს კომპლექსური და ისტორიული კვლევა.

ჩვენს ამოცანას წარმოადგენს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდის თვითმხიველი და გადამწერი ისტორიკოსების მენტალიტეტისა და დამოკიდებულების შესწავლა ერთი კონკრეტული მოვლენის-1095 წელს საფრანგეთის ქალაქ კლერმონში ჩატარებული საეკლესიო კრების შესახებ. კლერმონის კრებამ, რომელსაც სათავეში რომის პაპი ურბან მეორე ედგა, დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანთა შემართებასა და პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წარმატებაზე. პაპის მიერ კრებაზე წარმოდგენილი სიტყვა იყო ჯვაროსანთა ღვთისმოსაობის ერთგვარი ბიძგი და მამოძრავებელი ძალა. კრებაზე წარმოდგენილი სიტყვის მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ყველა ისტორიკოსი, რომელიც პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ წერს, თავის თხზულებას ან კლერმონის კრების აღწერით იწყებს, ან კიდევ მის შესახებ აუცილებლად გვიყვება. გამომდინარე იქიდან, რომ კონფერენციას გააჩნია რეგლამენტი და პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ საკმაოდ ბევრი ისტორიკოსი მოგვითხრობს, გადავწყვიტეთ აგვეჩიან რამდენიმე ისტორიკოსი, რათა საკითხი მეტნაკლებად ძირფესვიანად განვიხილოთ ღონისძიებაზე. მოხსენებაში ერთმანეთს შევადარებთ გესტა ფრანკორუმის<sup>1</sup> ანონიმი ისტორიკოსის, ფულხერიუს შარტრელის, რობერტ ბერისა და ბალდერეკ დოლის ეპისკოპოსის წყაროებს.

მოცემული საკითხი გახლავთ ჩვენი სადისერტაციო თემის ერთ-ერთი მომცრო ნაწილი. მასზე მუშაობისას გამოვიყენეთ წყაროს კომპლექსური და კომპარატივისტული კვლევის მეთოდოლოგია. განვიხილეთ ლათინური პირველწყაროები და მოხდა მათი ლინგვისტური და ინტერდიციპლინარული გამოკვლევა.

საკითხი მეტად საინტერესოა, მისი შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან მენტალიტეტის კვლევები და მსოფლმხედველობის განსაზღვრა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ავხსნათ ჯვაროსნული ლაშქრობის მოტივები და გავიგოთ თუ როგორ ეს-

---

<sup>1</sup> *Gesta Francorum*-ი დათუხიდან ითარგმნება, *სტრასბურგის ფრანკების საქმეები*. ეს გახდავთ ანონიმი ისტორიკოსის თხზულების სათაუხის შემოკლებული ვერსია.

მოდათ მისი მნიშვნელობა თვითონ ჯვაროსნებს. ჩვენი კვლევა წარმოადგენს სიახლეს, რადგან მოცემული ავტორები ქართულ ისტორიოგრაფიასა და სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად არ გვხვდება. ამგვარი კვლევები კი საერთოდ არ მოგვეპოვება. მოცემული ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მოცემული საკითხების პოპულარიზაცია და ფართო ასპარეზზე გამოტანა. (იგულისხმება ქართული რეალობა).

### **ლიტერატურა:**

**კვაჭანტირაძე, ე. (2008).** ისტორიული მეხსიერება და მისი შესწავლის ძირითადი ტენდენციები. ჟურნალი ამირანი. მე-19 ნომერი. თბილისი.

**ჯოხაძე, გ. (2009).** ისტორიული ანთროპოლოგია = Historical anthropology: ადამიანის სახეის ისტორია. თბილისი: უნივერსალი.

Anonymi Gesta Francorum et Aliorum Hierosolymitanorum. (1924).  
edited by BEATRICE A. LEES, Oxford.

In the 10<sup>th</sup> century, a very significant military movement began in Europe, which we know as the Crusades. In 1095, Urban II's speech at Clermont had a profound effect on the faithful and resulted in a well-ideological campaign that led to the capture of Jerusalem and the establishment of the Crusader kingdoms. However, we must also understand the fact that the influence and power achieved by the popes was based on ideology, not military strength. Medieval scholasticism and providentialism did great service to the papacy in consolidating its power. There are quite a few sources from the Middle Ages about the First Crusade. Authors in the sources mainly propagated Christian ideas and principles of holy war and tried to prove the justice of the crusade. Complex and historical research of the source is very important for the studies of mentality.

Our task is to study the mentality and attitude of autobiographical and copyist historians of the period of the First Crusade about one specific event - the church council held in the French city of Clermont in 1095. The Council of Clermont, headed by Pope Urban II, greatly

influenced the attitude of Christians and the success of the First Crusade. The speech delivered by the Pope at the meeting was a kind of push and driving force of the crusaders' piety. The fact that all historians who write about the First Crusade either begin their writings with a description of the Clermont Council or tell us about it also indicates the importance of the speech delivered at the meeting. Due to the fact that the conference has regulations and quite a few historians tell us about the First Crusade, we decided to select some historians to discuss the issue more or less fundamentally at the event. The report compares the sources of the *Gesta Francorum* by the anonymous historian, Fulcher of Chartres, Robert the monk and Balderic of Dol.

This issue is one of the small parts of our dissertation topic. While working on it, we used the methodology of complex and comparative research of the source. We discussed the Latin primary sources and their linguistic and interdisciplinary research took place.

The question is very interesting, it is important to study it, because the studies of mentality and the determination of the worldview give us the opportunity to explain the motives of the crusade and understand how the crusaders themselves understood its meaning. Our research is a novelty, because these authors are not often found in Georgian historiography and scientific literature. Such studies are not found at all.

#### **References:**

- k'vach'ant'iradze, e. (2008).** ist'oriuli mekhsiareba da misi shests'avlis dziritadi t'endentsiebi. zhurnali amirani. 19-e nomeri [Historical memory and its approaches. Amiriani Magazine. 19th issue]. Tbilisi.
- jokhadze, g. (2009).** ist'oriuli antrop'ologia = adamanissakha ist'oria. [Historical Anthropology=Human history]. Tbilisi: Universal.
- Anonymi Gesta Francorum et Aliorum Hierosolymitanorum. (1924).** edited by BEATRICE A. LEES, Oxford.

# მეტაფორის ევოლუცია არისტოტელედან დღემდე Evolution of the Concept and Understanding of Metaphor from Aristotle to Today

რუსუდან დოლიძე  
სოფიო თოთიბაძე  
Rusudan Dolidze  
Sopio Totibadze

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მეტაფორის თეორია, კონცეპტუალური  
მეტაფორა

**Keywords:** Theory of Metaphor, Conceptual Metaphor

მოხსენებაში განხილულია მეტაფორის როგორც ვერბალური, ლიტერატურული და კონცეპტუალური ფენომენის განვითარების ფუნდამენტური მომენტები ანტიკური დროიდან დღემდე; დახასიათებულია მეტაფორის ევოლუციის მნიშვნელოვანი თეორიები, გამოყოფილია მეტაფორის ძირითადი მახასიათებლები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეტაფორის თეორიის განვითარების უახლოეს პერიოდს; ამ თვალსაზრისით, მიმოხილულია კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის თანამედროვე ქვე-თეორიები, ყურადღება ექცევა მეტაფორის როგორც კულტურულ ფენომენს; დახასიათებულია უარყოფითი ემოციის სპეციფიკური მოდელი ქართულ და ინგლისურ ენებში, გამოყოფილია უნივერსალური და ვარიანტული თვისებები.

## ლიტერატურა:

**Kövecses, Zoltan (2005)** Metaphor in Culture: Universality and Variation: Cambridge University Press

**Lakoff, George., & Johnson, Mark. (1980).** Johnson Metaphors We Live by. Chicago: University of Chicago Press.



**რუსიეშვილი, მანანა., ქებურია, მარიამ (2022).** დადებითი ემოციის (სიყვარული) კულტურულ -მეტაფორული მოდელი ქართულ და ინგლისურ ენებში.

URI: <http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1884>

The paper discusses the fundamental moments of the development of metaphor as a verbal and conceptual phenomenon from ancient times to the present day; significant theories of metaphor evolution are characterized, and the main features of metaphor are distinguished and discussed. Special attention is paid to the current period in the development of metaphor theory. From this standpoint, modern branches of conceptual metaphor theory are reviewed with particular attention to metaphor as a culturally-specific phenomenon. Finally, the specific model of positive emotion in Georgian and English languages is characterized, and universal and variant features are distinguished...

#### **References:**

**Kövecses, Zoltan (2005)** Metaphor in Culture: Universality and Variation: Cambridge University Press

**Lakoff, George. & Johnson, Mark. (1980).** Johnson Metaphors We Live by. Chicago: University of Chicago Press.

**Rusieshvili, Manana., & Keburia, Mariam( 2022)** dadebitiemotsiis (siqvaruli) kulturul-metaporulimodelikartul da inglisureneshi[METAPHORIC MODEL OF POSITIVE EMOTION (LOVE) IN GEORGIAN AND ENGLISH].

URI: <http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1884>

**ტერიტორიულ-ადმინისტრაციული  
მოწყობის პრინციპები  
ცენტრალურ კავკასიაში XIX საუკუნიდან დღემდე  
დოკუმენტური წყაროების მიხედვით  
Principles of territorial-administrative  
arrangement in the Central Caucasus from the 19<sup>th</sup> century  
to the present day according to documentary sources**

**სარდიონ ზედელაშვილი  
Sardion Zedelashvili**

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** დოკუმენტური წყაროები, ინგუშეთი,  
ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა  
**Keywords:** Documentary sources, Ingushetia, territorial-  
administrative arrangement

მოხსენებაში გაანალიზებულია ვაინახი ხალხის, კერძოდ, ინგუშების ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპები დოკუმენტებისა და მასალების მიხედვით დაწყებული XIX საუკუნიდან დღემდე.<sup>1</sup> აღნიშნული დოკუმენტები მნიშვნელოვან ინფორმაციებს გვაწვდის რუსეთის მიერ განხორციელებულ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე, რომლებიც ტარდებოდა არა მარტო ინგუში, არამედ სხვა ჩრდილოკავკასიელი ხალხების მიმართაც. დოკუმენტების ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, დავასკვნათ, რომ რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნიდან დღემდე განახორციელა ვაინახი ხალხების დაყოფა და ურთიერთდაპირისპირება ტერიტორიული საკითხების სა-

---

1 Об Ингушетии и ингушах – Сборник документов и материалов (XIX- начало XXI вв.), Составитель Харсиев Б.М-Г., Ростов-на-Дону, 2020.

ფუძველზე და ასევე შეფასებითი მომენტითაც და გააჩინა ამ ორ მოძმე ხალხს შორის ურთიერთგაუცხოების განცდა.

დოკუმენტები ადასტურებენ ასევე ინგუშ და ოს ხალხებს შორის ურთიერთდაპირისპირების დინამიკას ტერიტორიული კუთვნილების საკითხების გამო XIX საუკუნიდან დღემდე. დოკუმენტური წყაროების კრებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით წარმოგვიდგენს ცენტრალური კავკასიის ხალხების ურთიერთდაპირისპირებას ტერიტორიების გამო. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის დოკუმენტები ასახავენ ინგუში ხალხის ნეგატიურ დამოკიდებულებას მეზობელი ხალხის მიმართ ტერიტორიული პრობლემების გამო, ასევე იკვეთება ამ დაპირისპირებულ ხალხებს შორის დაძაბული ვითარება და გაუცხოება, თუმცა არც ერთი დოკუმენტი არ წარმოადგენს მხილებას ამ დაპირისპირების ინსპირატორისა და განმხორციელებლის (რუსეთის) შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტები და მასალები ზემომიწვენიითი სიზუსტით ასახავენ XIX-XXI საუკუნეებში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს ცენტრალურ კავკასიაში, მათი განხილვა გვაძლევს შესაძლებლობას, დავასკვნათ, რომ ეს დოკუმენტები ემსახურება რუსეთის იმპერიული ზრახვების განმხორციელებას და არა ინგუში, ჩეჩენი ან ოსი ხალხების ინტერესებს.

The report analyzes the principles of the administrative organization of the Vainakh people, in particular the Ingush territory, according to documents and materials from the 19th century to the present day. The mentioned documents provide us with important information about the territorial-administrative measures implemented by Russia, which were carried out not only for the Ingush, but also for other North Caucasian peoples. The analysis of the documents allows us to conclude that the Russian Empire, from the 19th century to the present day, divided and opposed the Vainakh peoples on the basis of territorial issues, as well as with an evaluative moment, and created a feeling of mutual alienation between these two brotherly peoples.

The documents also confirm the dynamic of confrontation between the Ingush and Ossetian peoples over territorial issues from the 19th century to the present day. The collection of documentary sources is particularly important because it presents us in chronological order the confrontation between the peoples of the Central Caucasus over territories. It is worth noting that the documents of the end of the 20th century and the beginning of the 21st century reflect the negative attitude of the Ingush people towards the neighboring peoples due to territorial problems, as well as the tense situation and alienation between these conflicting peoples, although not a single document represents the revelation of the instigator and implementer of this conflict (Russia).

Although these documents and materials accurately depict the historical processes in the Central Caucasus in the XIX-XXI centuries, their discussion allows us to conclude that these documents serve the Russian imperial intentions, and not the interests of the Ingush, Chechen or Ossetian peoples.

# მოდალური ნაწილაკების შესახებ ქართულ სამეტყველო ეთიკეტში

## About Modal Particles in Georgian Speech Etiquette

რუსუდან ზექალაშვილი  
Rusudan Zekalashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ენა, სამეტყველო ეთიკეტი, მოდალობა, მოდალური ნაწილაკები, ფატიკური კომუნიკაცია, თხოვნა

**Keywords:** Georgian Language, Speech Etiquette, Modality, Modal Particles, Phatic Communication, Request

მოდალობა საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი კატეგორიაა, რომელსაც ყველა ენობრივ დონეზე აქვს გამოხატვის საშუალებები. აღნიშნული კატეგორიის შესახებ არსებობს უამრავი გამოკვლევა უცხოურ თუ ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში, თუმცა განმარტებები და გამოყოფილი სახეები საკმაოდ განსხვავდება მკვლევართა ნაშრომების მიხედვით (იხ. შარაშენიძე, 2020). შეიძლება ითქვას, რომ მოდალობისთვის ამოსავალია მოუბარი პირის დამოკიდებულება სინამდვილისა და თავად გამონათქვამის მიმართ.

კომუნიკაციის დროს ერთ-ერთი გადამწყვეტია ადრესატის ფაქტორი. მოუბარი პირი ირჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამის სტრატეგიას. ყოველდღიურ ურთიერთობაში ხშირად არის აუცილებელი თხოვნის გამოხატვა უცნობი თუ ნაცნობი ადამიანისადმი. მოუბარი პირის ნათქვამმა ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ ადრესატმა სათხოვარი შეასრულოს, თუკი ეს მის შესაძლებლობებს არ აღემატება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება

გამონათქვამის ენობრივი ფორმულირება, რომ თანამოსაუბრეს გაუჩინოს დახმარების სურვილი.

მოდალობის სემანტიკურ ველში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნაწილაკებს, როგორც ლექსიკურ საშუალებებს, რომლებიც გამონათქვამის თავაზიანობის ხარისხს ზრდის ფატიკური შინაარსის ფრაზებში (იხ. ზეჟალაშვილი, 2012, გვ. 115-121). მოუბარი პირი ცდილობს შეარბილოს ნათქვამის კატეგორიულობა და ამისთვის იშველიებს ნაწილაკებს სხვა ლექსიკურ-გრამატიკულ თუ არავერბალურ საშუალებებთან ერთად. ასეთ ნაწილაკებში შედის: ეგებ, იქნებ, რა, ხომ + ვერ... (იხ. შანიძე, 1973; ჭუმბურიძე, 1970; იხ. პაპიძე, 1981). მართალია, თითოეული სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს განეკუთვნება, მაგრამ ყველა გამოიყენება თხოვნის გამოსახატავად: ზმნას წყვეტილში (ბრძანებით კილოში) ემატება „რა“ ნაწილაკი, რომელიც აძლიერებს თხოვნის თავაზიანობას, „ეგებ“ და „იქნებ“ (+კავშირებითი II) ამცირებს კატეგორიულობას; „ხომ“ კითხვითი ნაწილაკია, რომელიც გულისხმობს ერთგვარ დადასტურებას, რომ მოქმედება აუცილებლად შესრულდება, მასთან ერთად კი „ვერ“ (+ ზმნა მყოფადში ან ხოლმეობითში) შესაძლებლობის უარყოფას გამოხატავს.

დავასახელებთ ამ ტიპის რამდენიმე სტერეოტიპულ გამონათქვამს:

**დამეხმარეთ რა! / გთხოვთ დამეხმარეთ რა!**

**ეგებ** დამეხმაროთ!

**იქნებ** დამეხმაროთ!

**ხომ ვერ** დამეხმარებით! / **ხომ ვერ** დამეხმარებოდით!

„ეგებ/იქნებ“ გულისხმობს ვარაუდს, დაურწმუნებლობას მაგრამ თხოვნის დროს ის ასუსტებს ნათქვამის პირდაპირობას და ადრესატს აძლევს არჩევის თავისუფლებას: ის არაა ვალდებული ადრესანტის თხოვნა შეასრულოს და ეს მისი გადასაწყვეტია. ნათქვამის ენობრივი ფორმა ზრდის თხოვნის დაკმაყოფილების ალბათობას.

ბოლო მაგალითში ორი ნაწილაკი იყრის თავს: „**ხომ + ვერ**“, რომელთა მეშვეობითაც თხოვნის კატეგორიულობა შესუსტებუ-

ლია. მათთან ზმნა დგას **მყოფადის** ან **ხოლმეობითის** მნკრივში, ამ უკანასკნელში კი თავაზიანობის ხარისხი მეტია.

კორპუსის მონაცემების თანახმად, ყველა დასახელებული ნაწილაკი გავრცელებულია როგორც მასმედიის, ისე მხატვრულ ტექსტებში, განსაკუთრებით – „ხომ“ და „ვერ“ ნაწილაკთა კომბინაცია.

ზემოთ დასახელებული ნაწილაკები გამოიყენება სხვა ფუნქციურ-სემანტიკურ საშუალებებთან კომბინაციაში და ზრდის თავაზიანობის ხარისხს თხოვნის გამომხატველ სამეტყველო აქტში.

### **ლიტერატურა:**

**ზექალაშვილი, რ. (2012).** ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბილისი: „უნივერსალი“.

**პაპიძე (1981).** II კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, 4, თბილისი: „მეცნიერება“, 146-182.

**ქეკე** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი. <http://gnc.gov.ge/gnc/page>

Modality is one of the most complex and diverse linguistic categories having several abilities of expression at any language level. Several researching works can be found in foreign as well as in Georgian linguistic literature about this category though the explanations and the images which are pointed differ quite much from each other in the works of the different researchers (see Sharashenidze, 2020). Generally, it can be said that the attitude of the speaker towards the reality and towards what was said represent certainly the main points for the category of modality.

One of the most important factors during communication is the factor **of the addressee** (to whom the speaker appeals). The speaker chooses the corresponding strategy for the communication and this is quite usual situation as it is often necessary to ask somebody about something, let it be a familiar person or a stranger. The words

of the talking person should cause the addressee to fulfill a request, question or begging if it does not go beyond his abilities. This is exactly what makes some linguistic formulations for appealing to the addressee who can be aidful to the speaker/talker.

In the semantic field of modality, the particles take the main role among the other lexical means of communication which can increase politeness within the phatic phrases (see Zekalashvili, 2012, p. 115-121).

The talking person tries that his speech would be mild, not categorical and thus he uses some particles along with the other lexical grammatical and non-verbal means of communication. The particles which are usually used in such situations are: **egeb** ‘may be’, **ikneb** ‘if it is possible’, **xom ver** ‘if you can’ (see Shanidze, 1973; Chumburidze, 1970; Papidze, 1981). Each of the mentioned particles belong to different semantic groups but all of them are used as means of asking something, appealing. The particle **“ra”** (+ Aorist, the imperative mood) increases the politeness, begging, **“egeb”** and **“ikneb”** (+ Optative) mean ‘maybe, may it be so that’; **“xom”** is used to express some kind of question in which some confirmation is implied about fulfilling the action; **“ver”** expresses denying the possibility (**“xom ver”** + future indicative/ future subjunctive).

There are some frequently used examples of the stereotype requests:

1. damexmaret ra!/ gtxovt damexmarot! ‘Oh, I ask you, please, help me’.
2. egeb damexmarot! ‘Maybe you can help me?’
3. ikneb damexmarot! ‘I hope you may help me’.
4. xom ver damexmarebit/xom ver damexmarebodit! ‘May I hope you can help me?’ ‘Maybe you can help me?’

We have also the words **“egeb/ikneb”** in the meaning ‘maybe’ and their meaning is also ‘I hope/ May be’ – such forms denote that a speaker is not sure about help but as it is important for him, he tries to speak more mildly, to express begging and that is why it weakens his speech and makes his request milder. It gives the addressee the freedom of choice, as the talking person cannot and does not give the order which could have been expressed in the optative form (= II



subjunctive). It is not a request but the talking person asks thus giving the addressee the choice – not order. Such linguistic form supports the addressee to make free choice as it is not obligatory but the polite attitude makes possible the request to be fulfilled. In the last example particles “xom” and “ver” are united. Such forms make the request more mild and polite. It does not sound categorical.

According to the Corpus data, all the above mentioned particles are widely used in the mass-media language and in the literature (fiction) texts.

### **References:**

**Chumburidze, Z. (1970).** Uarkhopiti natsilakebi kartulshi da mati khmarebis stiluri taviseburebani. [Negative particles in Georgian and stylistic features of their use], kartuli ena da literatura skolashi. [Georgian language and literature at school]. 2, Tbilisi, 41- 46.

**GNC** – Kartuli enis erovnuli korpusi [The Georgian National Corpus]. Available from: <http://gnc.gov.ge/gnc/page> (Last access: 24.01.2023)

**Papidze, A. (1981).** Meore kavshirebitis nakvtis punktSiebi da gamokheneba tanamedrove saliteraturo kartulshi. [The functions and use of the Optative in modern literary Georgian]. Kartuli sitkhvis kulturis sakitkhebi. [Issues of Georgian speech culture], 4, Tbilisi: Metsniereba, 146-182 (In Georgian).

**კოლექტიური ტრავმის კონსტრუირების კულტურული  
მექანიზმები საქართველოში 1980-1990 -იანი წლების  
სტიქიური უბედურებების მაგალითზე  
Cultural Mechanisms of Construction of Collective Trauma:  
Case of Natural Disasters in Georgia in the 1980s-1990s**

**ქეთევან კაკიტელაშვილი  
Ketevan Kakitelashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, სოციალური ცვლილება,  
კულტურული ტრავმა, ეროვნული იდენტობა,  
სტიქიური უბედურება

**Keywords:** Georgia, Social Change, Cultural Trauma,  
National Identity, Natural Disaster

ნაშრომში გაანალიზებულია ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში (1980-იანი წლების მიწურული) და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1991) საქართველოში მომხდარი სტიქიური უბედურებების კულტურულ ტრავმად ტრანსფორმაციის მექანიზმები. ხსენებული პერიოდი აღინიშნა დრამატული და სწრაფი ცვლილებებით საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. მძაფრი მოვლენების მწკრივმა (1989 წლის 9 აპრილი, დამოუკიდებლობის დეკლარაცია, კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში და დაძაბულობა აფხაზეთში), ისევე როგორც ეკონომიკურმა არასტაბილურობამ განაპირობა მოსახლეობის დეზორიენტაცია და ფრუსტრაცია. ამ მოვლენების ნაწილს წარმოადგენდა ქართული ეროვნული იდენტობის მკაფიოდ განსაზღვრის აუცილებლობა, რამაც, თავის

მხრივ, ეროვნული წარსულის გადაფასება და ახალი კოლექტიური მეხსიერების ძიება განაპირობა.

მენყერმა აჭარაში (1989) და მიწისძვრამ რაჭაში (1991) იმ პერიოდის მოვლენების უფრო მეტად გამდაფრებას შეუწყო ხელი. მოხსენებაში განხილულია ნარატივები, რომლებიც აღწერს ამ ბუნებრივ კატასტროფებს და ცხადყოფს, თუ რამდენად შეუწყვეს მათ ხელი სოციალური ცვლილებების და ტრავმული გამოცდილების გამდაფრებას და, ამავე დროს, აჩვენებს რამდენად მოახდინა სოციალური გავლენა ამ ბუნებრივი კატასტროფების აღქმაზე და მათ კულტურულ ფენომენად ჩამოყალიბებაზე. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბუნებრივი კატასტროფები სხვა ტრავმული ისტორიული მოვლენების თანაბარმნიშვნელოვან მოვლენებად იყო აღქმული და მჭიდრო კავშირში განიხილებოდნენ კულტურულ მეხსიერებასა და ეროვნულ იდენტობასთან.

#### **ლიტერატურა:**

**ბარათაშვილი, თამარ.** აღარ მიყვარხარ, აპრილო. „სოფლის ცხოვრება“, 29 აპრილი, 1989, 101, 3.

**მირცხულავა, ცოტნე.** სტიქიის საგანგაშო გაკვეთილები. „სოფლის ცხოვრება“, 9 მაისი, 1989, 108, 3.

**რუსია, რუსლან.** კიდევ ერთი ახალი ქრილობა. „კომუნისტი“, 22 აპრილი, 1989, 95, 3.

**საგინაშვილი, თამარ.** ქირსა შიგან გამაგრება ისრე უნდა, ვით ქვიტკირსა. „სოფლის ცხოვრება“, 25 აპრილი, 1989, 97, 2-3.

The aim of the paper is to analyze the mechanisms of transformation of natural disasters occurred in Georgia in the period of national movement (the late 1980s) and declaration of independent state (1991) into the cultural trauma. The above mentioned period was marked by the dramatic and sudden changes in the political, economic and social life of Georgia. The sequence of striking events (tragedy of the 9th of April, 1989, declaration of independence, 1991, civil war in Tbilisi, 1991-92, conflicts in Tskhinvali region and Abkhazia, 1991-93) as well as social and economic instability caused feelings of disorientation,

insecurity and frustration among the population. As a part of these developments, the Georgian national identity was questioned and desperate need for the clear cut answers triggered (re)evaluation of the national past and search for the new collective memory.

Avalanches and mudflows in Adjara (1989) and earthquakes in Imereti and Racha (1991) made the perception of the current events even harsher. The paper examines narratives describing and representing these ecological catastrophes in order to define at what extent they contributed to the perception of the social changes as traumatic experience and how the social context influenced transformation of natural disaster as a cultural phenomenon. As a result of the study it turned out that natural disasters were set in a sequence of other historical traumatic events which were closely linked to the cultural memory and national identity.

The paper is based on the newspaper publications which were published shortly after the tragic natural disasters. Piotr Stompka's theory of the trauma of social change as well as Jeffrey Alexander's theory of cultural trauma form the theoretical framework of the study.

#### **References:**

- Baratashvili, Tamar.** aghar miqvarkhar, ap'rilo. [I No Longer Love You, April]. "Soplis tskhovreba", April 29, 1989, 101, 3.
- Chkhikvadze, Vano.** sakartvelos kherkhemali [Georgia's Spine]. "Sakartvelos respublika", April 3, 1991, 65, 4.
- Khalvashi, Pridon.** ...uk'an mets'qeri. [...Landslide behind] "Komunisti", April 22, 1989, 95, 3.

**III ჯგუფის განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა  
ჰიპოტაქსური აგებულებისა და ფუნქციური  
დანიშნულების საკითხი მეგრულში  
(ქართულ-მეგრული შედარებითი ანალიზი)\*  
The Hypotactic Structure and Function of the III Group of  
Indefinite Pronouns in Megrelian  
(A Comparative Megrelian-Georgian Analysis)\*\***

**მაია ლომია  
Maia Lomia**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ჰიპოტაქსური კონსტრუქცია,  
განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი, მეგრული ენა  
**Keywords:** Hypotactic Construction, Indefinite Pronouns, Megrelian  
Language

მეგრულში იოსებ ყიფშიძემ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების სამი ჯგუფი გამოყო; მათგან III ჯგუფის ნაცვალსახელების ჰიპოტაქსურ აგებულებაზე მაშინვე მიუთითა. ისინი გამჭვირვალე ჰიპოტაქსური სტრუქტურისაა: ა. მიგიდარენი „ვიღაცა არის რომ“; ბ. მუგიდარენი „რადაცა არის რომ“; გ. ნამუგიდარენი „რომელიღაცა არის რომ“. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების კომპონენტებია: 1. კითხვითი ნაცვალსახელი (მი-„ვი-“, მუ „რა“, ნამუ „რომელი“), 2. ქართული -ღა-ცა მნიშვნელობის ნაწილაკები (-დი-გა); 2. „ყოფნა“ ზმნის ახლანდელი დროის

---

\* კვლევა განხორციელდა შოთა ხუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) FR-21-352 საგანგო პროექტის ფარგლებში.

\*\* The research was carried out with financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG). Grant number FR-21-352.

ფორმა (-რე- „არის“); 3. კავშირ-ენკლიტიკა (-ნი „რომ“). ოდენ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით წარმოდგენილი დამოკიდებული წინადადება დღესაც ცოცხალია მეგრულში:

(1) **მიგვახენი** დიდ კამპანიას გინმიგანსია „ვიღაცა (+არის რომ), დიდ ქორწილს იხდისო“ (დანელია, ცანავა, გვ. 334).

ჰიპოტაქსური სტრუქტურის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია, თუკი:

- წინადადებაში რომელიმე სახელის **მსაზღვრელია**:

(2) ... ქიმისგანჯესუნი, მიდგარენი ართი დედიბი ოსურქ ქომორთუ „...რომ დაისვენეს, ვიღაცა (+არის რომ) ერთი მოხუცი ქალი მოვიდა (დანელია, ცანავა, გვ. 146).

- **ეხო ეხოუდაჯ ახის ქცუედი** და ბრუნვის ნიშანს ბოლოში დაირთავს:

(3) მიდგარენ-ქ გიმიჯინუ გალე (ექსპედიციის მასალები) „ვიღაცა-არის-რომ-ENG გამოიხედა გარეთ“; შდრ.:

(4) მიდგა-ქ-რე-ნი გიმიჯინუ გალე (ექსპედიციის მასალები) „ვიღაცა-ENG-არის-რომ გამოიხედა გარეთ“.

განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებში მოცემული ზმნური სეგმენტი და კავშირ-ენკლიტიკა მეგრული ჰიპოტაქსური კონსტრუქციის აგებაში ფორმალურად მონაწილეობენ. მათი ფუნქციური დანიშნულებაა კონკრეტული, თუმცა უცნობი ობიექტის **აქტუალიზაცია**. მეგრულის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ფორმალურ-ფუნქციური ფარდია ქართულ ენაში (ზეპირმეტყველებაში, დიალექტებში) გავრცელებული მყარი შესიტყვების ფრაზები:

(5) ვიღაცა-ა (←ვიღაცა არის) მოვიდა. (6) რაღაცა-ა (←რაღაცა არის) მოვიდა. (7) რომელიღაცა-ა (←რომელიღაცა არის) მოვიდა.

ცნობილია, რომ ფორმალურ საშუალებათა რაოდენობა განსაზღვრავს აქტუალიზაციის ხარისხს. მეგრული და ქართული მასალების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ინფორმაციის გამოსაკვეთად აქტუალიზაციის ხარისხი მეგრულში უფრო მაღალია, ვიდრე ქართულ ზეპირმეტყველებაში.

### ლიტერატურა:

**ლომია, მ. (2005).** ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

### წყაროები:

**დანელია, ვ. & ცანავა, ა. (1991).** ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II, მეგრული ტექსტები. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ექსპედიციის მასალები მოძიებულია სამეგრელოში FR-21-352 გრანტის ფარგლებში განხორციელებული ლინგვისტური ექსპედიციის შედეგად (2022).

Ioseb Kipshidze distinguished three groups of indefinite pronouns in Megrelian. He underlined the hypotactic structure of the indefinite pronouns of the III group. These pronouns are of transparent hypotactic structure: a. მიგიდარენი / migidareni “There is someone that”; b. მუგიდარენი / mugidareni “There is something that”; c. ნამუგიდარენი / namugidareni “There is one of them that”. The components of indefinite pronouns are: 1. An interrogative pronoun (მი- /mi-/ “who“, მუ /mu/ “what“, ნამუ /namu/ “which“), 2. Indefinite particles corresponding to Georgian-ღა-ცა /gha-tsa/ (Megrelian -დი-გა /di-ga/); 3. The present tense form of the verb “to be” (-რე- /re/ „is“); 4. Enclitic conjunction (-ნი /ni/ “that”). Subordinate clauses represented by indefinite pronouns are still widespread in Megrelian:

(1) **მიდგაჰენი** დიდ კამპანიას გინმიგანსია /midgareni did ampanias ginmigansia/ (Danelia, Tsanova, p. 334) “there is someone that arranges a grand wedding“.

Indefinite pronouns of hypotactic structure are used when:

- They serve as **attributes** to certain nouns in a sentence:

(2) ...ქიმისვანჯესუნი, მიდგარენი ართი დედიბი ოსურქ ქომორთუ /kimisvanžesuni, midgareni arti dedibi osurk komortu/ (Danelia, Tsanova, p. 146) “...when they had a rest, there was some old woman that came“.

- **They have turned into a single unit** add a case marker at the end:

(3) მიდგარენ-ქ გიმიჰინუ გალე/midgaren-k gimizinu gale/ (materials of the expedition) “there was someone that-ENG-looked outside); cf.:

(4) მიდგა-ქ-რე-ნი გიმიჰინუ გალე /midga-k-re-ni gimizinu gale/(materials of the expedition) “There was someone -ENG-that looked outside”.

The verbal segment given in the indefinite pronouns and the enclitic conjunction formally participate in building Megrelian hypotactic constructions. Their function is to underline a concrete, albeit unknown object. In Georgian (oral speech and dialects), the formal-functional correlates of Megrelian indefinite pronouns are set expressions:

(5) ვილაცა-ა/viyatsa-a/ (←there is someone who has come). (6) რაღაცა-ა /rayatsa-a/(←there is something that has come). (7) რომელიღაცა-ა/romeliyatsa-a/ (←one of them has come).

It is widely known that the amount of formal units defines the degree of topicalization. Comparative analysis of Megrelian and Georgian material has proved that the degree of topicalization of information is higher in Megrelian than in oral Georgian speech.

#### **References:**

**Lomia, M. (2005).** Hipotaksis sakitxebi megrulshi. [The Issue of Hypotaxis in Megrelian]. Tbilisi: Publishing House “Universali”.

**Danelia, K. & Tsanova, A. (1991).** Georgian Folk Literature, v. II. Megrelian Texts. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.

Materials of the expedition were recorded during linguistic expedition to Samegrelo, implemented within the framework of the grant FR-21-352 in the year 2022.

#### **Abbreviation:**

ERG- Ergative



**იდრის ბაზორკინის რომანის „საუკუნეთა ბურუსიდან“  
კულტურულ-ისტორიული კონტექსტი  
Cultural and Historical Context of Idris Bazorkin’s Novel  
“Dark Ages”**

**ხვთისო მამისიმედიშვილი  
Khvtiso Mamisimedishvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** იდრის ბაზორკინი, ინგუშური ლიტერატურა,  
ფოლკლორი  
**Key words:** Idris Bazorkin, Ingushian Literature, Folklore

იდრის ბაზორკინმა რომანი „საუკუნეთა ბურუსიდან“ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაწერა, რომელმაც იმთავითვე მკითხველის განსაკუთრებული მოწონება და კრიტიკოსთა მხრიდან მაღალი შეფასება დაიმსახურა. რომანის პოპულარობაზე ისიც მიუთითებს, რომ იგი სულ მალე მსოფლიოს ჩვიდმეტ ენაზე ითარგმნა.

იდრის ბაზორკინის რომანის გამოქვეყნებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ არის სრულად წარმოჩენილი და შეფასებული. რომანს „საუკუნეთა ბურუსიდან“ ინგუში ხალხის ეპოპეასაც უწოდებენ. როგორც კრიტიკოსები მიუთითებენ, „იდრიზ ბაზორკინმა შექმნა რომანი, რომელშიც შეძლო დაეტია მთელი ინგუში ხალხის ბედი და ვარამი“. ნაწარმოებში სიუჟეტი იშლება მთიანი ინგუშეთის ტრადიციული საზოგადოებების ცხოვრების ფონზე და მოქმედებათა გეოგრაფიული სივრცე თანდათან ფართოვდება: ის სცდება მთიანი ინგუშეთის საზღვრებს და მოიცავს ვლადიკავკაზს, საქართველოს, პეტერბურგს, პრუსიასა და

ა. შ. ავტორმა რომანში წაროგვიდგინა ინგუში ხალხის ცხოვრების ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი, კერძოდ ის სოციალური და რელიგიური ძვრები, რომლებიც ინგუშეთში XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 1918 წლამდე განვითარდა. კონკრეტული პერსონაჟების თავზე დატრიალებული უბედურების ფონზე მკითხველი ეცნობა ინგუში ხალხის მძიმე სოციალურ დრამას, რომელიც ინგუშეთში რუსული მმართველობის დამყარებას მოჰყვა.

რომანში ასახული ეპოქა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ სწორედ იმ პერიოდში ხდებოდა ინგუში ხალხის გადასვლა ძველი რელიგიური რწმენიდან ისლამზე. ავტორი ინგუშების ძველ რელიგიურ რწმენად წარმართობას მიიჩნევდა. თუმცა, როგორც ირკვევა, ავტორი აქ ალბათ ხალხურ ნეს-ჩვეულებებთან შერწყმულ, ე. წ. „ფოლკლორიზებულ“, „განწარმართებულ“ ქრისტიანობას უფრო მიიჩნევდა, რადგან, რომანის მიხედვით, ინგუშების ნაწილი მსხვერპლის შესანიშნავად და წყალობის გამოსათხოვრებლად ჯერ კიდევ სასოფლო სალოცავში მიდიოდა, სადაც ისინი იქ ისევე ლოცულობენ, როგორც ქრისტიანები. მლოცველები მფარველ წმინდანს ჯვრის ფორმის ქადეებს სწირავდნენ და სანთლებს უნთებდნენ. ნაწარმოებში ხსენდებიან კულტმსახურები, მათ შორის ავტორი მოგვითხრობს თეთრწვერა ხევისბერ კონახალგზე, რომელიც ეგიკალის სასოფლო სალოცავში მოხუცების, ბავშვებისა და ქალების თანდასწრებით, მუჰაჯირი ინგუშების სამწყალობნოდ ზეციურ არსებათა სადიდებელს აღავლენს.

იდრის ბაზორკინი რომანში ასევე განმარტავს ცალკეულ ძველ ინგუშურ საკულტო ტერმინებს და ზოგიერთი სიტყვის შესახებ მიუთითებს, რომ იგი არის „შორეული ქრისტიანობის გამოძახილი.“ XIX საუკუნის ბოლოს ინგუშებისთვის ქრისტიანობა, მართლაც, შორეული გამოძახილი იყო, რადგან იმ დროისთვის კულტმსახურება მთლიანად ხალხური, ე. წ. პაგანიზებული ელემენტებით იყო შევსებული. საგულისხმოა ისიც, რომ რომანის პერსონაჟები მაჰმადიანი ინგუშების პირველ თაობას წარმოადგენენ.

იდრის ბაზორკინის რომანი ქართულ ენაზე არ არის თარგმნილი, თუმცა იგი უაღრესად მნიშვნელოვანია ნაწარმოებია

ქართული კულტურის თვალსაზრისითაც. გარდა იმისა, რომ „საუკუნეთა ბურუსიდან“ წარმოგვიდგენს მეზობელი ინგუში ხალხის ცხოვრებას, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ხალხურ რიტუალებსა და ფოლკლორულ შემოქმედებას, მასში, ასევე, არაერთხელ ხსენდება საქართველო; თხზულებაში ზოგიერთი მოქმედება ხდება საქართველოს ტერიტორიაზე; სიუჟეტის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობენ ქართველი პერსონაჟები. ამდენად, ქართული და მეზობელი კავკასიელი ხალხების კულტურით, ისტორიითა და ლიტერატურით დაინტერესებული საზოგადოებისთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენა იქნება იდრის ბაზორკინის რომანის ქართულ ენაზე თარგმნა.

#### **ლიტერატურა:**

**Базоркин, И. М. (1971).** Из Тьмы веков, Москва: «Советская Россия».

**Мартязанова Х. М. (2015).** Творчество И. М. Базоркина: Векторы развития, «Мир науки, культуры, образования, №6 (55).

The novel of Idris Bazorkin “Dark Ages” is also called the epic of the Ingush people. As critics point out, “Idris Bazorkin wrote a novel in which he was able to capture the fate and misfortune of the entire Ingush people”. In the novel, the story unfolds against the background of the life of the traditional societies of mountainous Ingushetia, and the geographical space of action gradually expands: it goes beyond the borders of mountainous Ingushetia and includes Vladikavkaz, Georgia, St. Petersburg, Prussia, etc. In the novel, the author presented one of the most important periods of the Ingush people’s life, namely the social and religious changes that developed in Ingushetia from the 1860s to 1918. Against the background of the misfortunes of specific characters, the reader is introduced to the heavy social drama of the Ingush people, which followed the establishment of Russian rule in Ingushetia.

The epoch depicted in the novel is also important in that it was during that period that the Ingush people transitioned from the old

religious faith to Islam. The author considered paganism to be the ancient religious faith of the Ingush. However, as it turns out, the author here probably considered combined with folk customs, so-called “folklorized”, “pagan” Christianity more because, according to the novel, some of the Ingush still went to the rural shrine to make sacrifices and asked for mercy, where they would pray just like Christians. The worshipers would offer cross-shaped “kada” to the Patron Saint and would light candles. The work mentions the cult servants, among them the author tells about the white-bearded Khevisberi (Ruler of the Ravine) Konakhalg, who in the presence of the elderly, children and women in the rural shrine of Egikali, will glorify the heavenly beings for the mercy of the Muhajir Ingush.

In the novel, Idris Bazorkin also explains some old Ingush cult terms and indicates that some words are “distant echoes of Christianity”. At the end of the 19th century, Christianity was indeed a distant echo for the Ingush people, because at that time the cult service was completely folk, it was filled with so-called “pagan” elements. It is also significant that the characters of the novel represent the first generation of Muslim Ingush.

Idris Bazorkin’s novel has not been translated into Georgian, although it is an extremely important work from the point of view of Georgian culture. In addition to the fact that “Dark Ages” presents the life, customs, traditions, rituals and folklore of the neighboring Ingush people, it also repeatedly mentions Georgia; some actions in the novel take place in Georgia; Georgian characters actively participate in the development of the story.

#### **References:**

- Bazorkin I. M. (1971).** Iz t'my vekov. [Dark Ages"], Moscow: “Soviet Russia”.
- Мартазанова X. М. (2015).** Tvorchestvo I. M. Bazorkina: Vektori razvitija (The Work of I. M. Bazorkin: Vectors of Development). “Mir nauki, kulturi, obrazovanija, №6 (55).

**ტრადიციის გაგრძელება და ჩამოყალიბება: უახლესი ქართველოლოგიური ნაშრომი თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში**  
**Continuation and Formation of Tradition: The Latest Kartveliological Work in Modern Ukrainian Literary Studies**

**ივანე მჭედელაძე**  
**Ivane Mchedeladze**

პროფ. ოთარ ბაქანიძის სახელობის უკრაინისტიკის ცენტრი  
Professor Otar Bakanidze Center of Ukrainian Studies

**საკვანძო სიტყვები:** ტრადიციის გაგრძელება-ჩამოყალიბება, უკრაინული ლიტერატურათმცოდნეობა, ხალიმონენკო  
**Keywords:** Continuation-formation of tradition, Ukrainian Literary Studies, Khalimonenko

ქართველოლოგიის განვითარებას მეცნიერულთან ერთად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს. თანამედროვე გლობალიზაციის ტრანსნაციონალური პროცესებით განპირობებულ პოლიტკულტურულ გარემოში მნიშვნელოვანია ყოველი ნაციონალური კულტურის ადგილის განსაზღვრა. ეს განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მცირერიცხოვანი ქვეყნების ორიგინალური კულტურების იდენტობის შენარჩუნების შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით ქართულის, როგორც მცირერიცხოვანი ქვეყნის, თვითმყოფადი კულტურის შესწავლა და თანამედროვე კაცობრიობის კულტურულ მონაპოვართან ადაპტირება როგორც ქართული, ისე უცხოური ქართველოლოგიის მთავარი გამოწვევაა.

კარგად არის ცნობილი საზღვარგარეთული ქართველოლოგიის როგორც ტრადიციები, ისე თანამედროვე მდგომარეობაც. უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინულ ქართველოლოგიას მდიდარი და ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, რაც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. უკრაინაში ქართული ლიტერატურისა და კულტურის რეფლექსიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, ერთგვარად

იდეოლოგიურ გავლენას განიცდის, სწორედ საბჭოთა იდეოლოგიური მეცნიერების გამო, უამრავი ფაქტი უცნობი და მკვლევართათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ქართული სამეცნიერო წრეებისთვისაც ეს მასალები, ფაქტობრივად, უცნობია.

მოხსენებაში განვიხილავ უკრაინელი ქართველოლოგის, გ. ხალიმონენკოს, უნიკალურ მონოგრაფიას **„ქართული ლიტერატურის ისტორია“**, (კიევი, 2021) რომელიც თავისი მასშტაბებით, კვლევის სიღრმითა და მოცულობით შეიძლება მხოლოდ დონალდ რეიფილდის „THE LIUTERTURE OF GEORGIA“ შეედაროს. ნაშრომის სრულყოფილად გასაანალიზებლად, განვიხილავ ქართველოლოგიური კვლევების, ქართული ლიტერატურის შესწავლის ტრადიციას უკრაინულ მეცნიერებაში. ამ საკითხის სიღრმისეულად გასაანალიზებლად მოხსენებაში განვიხილავ ჩემ მიერ მოძიებულ უცნობ საარქივო მასალებსაც. ამგვარი მიდგომით წარმოჩნდება ერთი მხრივ აღნიშნული ნაშრომის მიმართება როგორც უკვე არსებულ ტრადიციასთან, მეორე მხრივ გამოიკვეთება თანამედროვე უკრაინული ქართველოლოგიის ახალი ეტაპი.

Development of Kartveliology has a national significance along with the scientific. In the political and cultural environment caused by the transnational processes of modern globalization, it is important to determine the place of each national culture. This becomes particularly relevant in the case of preserving the identity of the original cultures of a small number of countries. From this point of view, studying the self-contained culture of Georgia, as a small country and adapting it to the cultural achievements of modern humanity is the main challenge of both Georgian and foreign Kartveliology studies.

Both, the traditions and the modern state of Kartveliology studies abroad are well known for us. It should be noted that Ukrainian Kartveliology studies have a rich and long tradition, which is still not properly studied in Georgian literary studies. The existing scientific literature on the reflection of Georgian literature and culture in Ukraine is somehow influenced by ideology, precisely because of the Soviet

ideological science, many facts were unknown and not accessible to researchers. These materials are, in fact, unknown even to Georgian scientific circles.

In the report, I discuss the unique monograph “History of Georgian Literature” (Kiev, 2021) by the Ukrainian Kartveliologist G. Khalimonenko, which in terms of scope, depth and volume of research can only be compared to Donald Rayfield’s “THE LITERATURE OF GEORGIA”. In order to fully analyze the work, I will consider the tradition of Kartveliology studies and the study of Georgian literature in Ukrainian science. In order to analyze this issue in depth, in the report I will also discuss the unknown archival materials that I have found. This kind of approach shows, on the one hand, the relationship of the mentioned work with the already existing tradition, and on the other hand, highlights a new stage of modern Ukrainian Kartveliology studies.

**რუსეთი გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ისტორიული  
რეტროსპექტივა და თანამედროვეობა**  
**Russia at the Geopolitical Crossroads: Historical Retrospect  
and Modernity**

**მამუკა მჭედლიძე**  
**Mamuka Mchedlidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** რუსეთის გეოპოლიტიკა, პოსტ-საბჭოური  
სივრცე, პოლიტიკური სისტემა, პოლიტიკური იდეოლოგია,  
კონსერვატიზმი, ლიბერალიზმი

**Keywords:** Russian Geopolitics, Post-Soviet Space, Political System,  
Political Ideology, Conservatism, Liberalism

საბჭოთა კავშირის დაშლა რუსეთისათვის იქცა გეოსტრატეგიული განზომილების ცივილიზაციურ კატასტროფად. ძირფესვიანად შეიცვალა სოციალურ-ეკონომიკური, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ტერიტორიული, მენტალური, დემოგრაფიული, ლინგვისტური, კულტურული რეალობა ევრაზიის უზარმაზარ გეოპოლიტიკურ სივრცეში (5, 965-980). ისტორიული თვალსაზრისით რუსეთი აღმოპოვნდა XVII საუკუნის შუა ხანების რეალობაში. საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია რუსეთის გეოპოლიტიკურ შესაძლებლობების მოშლა სამ ძირითად განზომილებაში:

- გლობალური (გავლენის დაკარგვა აზიასა, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში);
- რეგიონალური (გავლენის დაკარგვა აღმოსავლეთ ევროპა-სა და ახლო აღმოსავლეთში);
- ლოკალური (გავლენის დაკარგვა პოსტ-საბჭოურ სივრცეში)



საბჭოთა სისტემის მოშლამ და რუსეთის გეოპოლიტიკურ-მა დასუსტებამ გამოიწვია რუსული საზოგადოების გაყოფა ორ რადიკალურად დაპირისპირებულ ბანაკად: კონსერვატორებსა (ტრადიციონალისტებსა) და ლიბერალებზე (რეფორმატორებზე). კონსერვატორების შეფასებით „გარდაქმნის“ პოლიტიკა და მისი შედეგები წარმოადგენენ შიდა და გარე მოწინააღმდეგე ძალების ერთობლივ ძალისხმევას რუსეთის როგორც გლობალური ძალის ცენტრის დაშლის მიზნით. ლიბერალების აზრით „გარდაქმნის“ შედეგად შექმნილი ახალი გეოპოლიტიკური რეალობა რუსეთს აძლევდა ისტორიულ შანსს დასავლური დემოკრატიული სოციალური მოდელის მშენებლობისა და საერთაშორისო საზოგადოებაში ინტეგრაციის თვალსაზრისით (14, 19-30).

ბ. ელცინის რეჟიმის მიერ ლიბერალურ რეფორმებზე აღებული გეზი სრული მარცხით დასრულდა (15, 254-257). ამ მარცხის მიზეზებს შორის უნდა გამოვარჩიოთ შემდეგი:

- ახალი პოლიტიკური ელიტის სრული არაკომპეტენტურობა და კორუმპირებულობა;

- ახალი სოციალური მოდელის ხედვის არასებობა და ლიბერალიზმის უნივერსალისტური პრინციპების რუსეთის ისტორიულ ნიადაგზე დანერგვის უუნარობა;

- მიმართულებებსა და ვადებში განერილი რეფორმების გეგმის არქონა;

- შიდა ფინანსური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაცია და დეზორგანიზაცია;

- რუსეთის ტერიტორიული დებინტეგრაცია (სამოქალაქო ომი ჩეჩნეთში, რეგიონების ეკონომიკური და პოლიტიკური ჩამოშორება ერთმანეთისაგან) (12, 5-15);

- დასავლეთთან დიალოგის განვითარების უუნარობა.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ვ. პუტინის ხელმძღვანელობით რუსეთის სათავეში ახალი პოლიტიკური ელიტების მოსვლამ დასაბამი დაუდო რუსეთის გეოპოლიტიკური კურსის კონსერვატიზმისაკენ შემობრუნებას და გლობალური ძალის სტატუსის აღდგენას (15, 21-27). რუსეთის ახალი გეოპოლიტიკური კურსის იდეოლოგიურ ნარატივებად გამოიკვეთა შემდეგი:

- რუსეთისადმი ზესახელმწიფოს სტატუსისა და საერთაშორისო გავლენის დაბრუნება (7);

- მრავალპოლარული სამყარო;

- დომინირება პოსტსაბჭოურ სივრცეში და აღმოსავლეთ ევროპაში (8);

- „რბილი ძალის“ სტრატეგიისა და ჰიბრიდული ზეწოლის აყვანა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში (2);

- თვითაღწარმოებადი საფინანსო და ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში დამოუკიდებელი და აქტიური ადგილის დაკავება (1, 40-49);

ახალმა კურსმა რუსულ პოლიტიკურ და საფინანსო-ეკონომიკურ ელიტაში გამოიწვია სერიოზული დაპირისპირება, რადგან მისი შემადგენელი ნაწილი იყო რუსეთში არსებული საფინანსო და ეკონომიკური აქტივების გადანაწილება. XX საუკუნის 90-ან წლებში ჩამოყალიბებული რუსეთის მართვის ოლიგარქიული სისტემა, რომელიც წარმოადგენდა ხელისუფლებისა და ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურების შერწყმას გამოირიცხავდა ავტორიტარული სისტემის ჩამოყალიბებას. ამასთანავე, ლიბერალურმა ბანაკმა ძირფესვიანად უარყო რუსეთის დაბრუნება ტრადიციონალისტურ საწყისებთან რადგან ამით შეუძლებელი ხდებოდა რუსეთში დასავლური სოციალური მოდელის ჩამოყალიბება. თავის მხრივ რუსეთის კონსერვატიულმა ძალებმა გასული ოცი წლის მანძილზე ვერ მოახერხეს თანამედროვე სამყაროში ახალი რუსული საზოგადოების ერთიანი კონცეფციის შემუშავება.

ისტორიული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რუსეთის სათავეში ყოფნისას ვერც ლიბერალურმა ბანაკმა (1991-2000) და ვერც კონსერვატიულმა ბანაკმა (2000-2023) ვერ შეძლეს მკვეთრად ჩამოყალიბებული სტრუქტურირებული, საზოგადოებისათვის გასაგები და მისაღები იდეოლოგიური პლატფორმის შექმნა. ეს მიასწავებს რუსული პოლიტიკური ელიტის სისტემურ კრიზისზე

რუსეთის მიერ დეკლარირებული ახალი სახელმწიფო კურსი, რომელშიც საკვანძო ადგილი ეკავა ძლიერი რუსეთის აღდგენას, გარდაუვალს ხდიდა მის დაპირისპირებას დასავლურ ლიბერალურ-დემოკრატიულ მოდელთან (6, 167-178). გეოპოლიტიკური

ჭიდილის პირველ და უახლოეს ასპარეზად გადაიქცა პოსტსაბ-ჭოური სივრცე და აღმოსავლეთ ევროპა (10, 17-18). მას თან დაე-რთვა დაპირისპირება რეგიონალურ და ლოკალურ დონეზე. ჯერ კიდევ ელცინის რეჟიმის დროს 1999 წელს ყოფილი იუგოსლავიის კოსოვოს რეგიონში ადგილი ჰქონდა პირველ სერიოზულ კრიზისს რუსეთისა და ნატოს ურთიერთობებში. არსებობდა ამ კრიზისის სამხედრო დაპირისპირებაში გადაზრდის რეალური საფრთხე. ახალი ხელისუფლების პერიოდში ურთიერთობები დასავლეთთან თანდათან შემოიფარგლა ეკონომიკური თანამშრომლობის მერკანტილური ინტერესებით. გეოპოლიტიკურმა დაპირისპირებამ მიიღო სისტემური ხასიათი რის გამოც იგი გა-სცდა მხოლოდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებს და სა-მხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა (4). ამის შედეგი გახდა რუსეთ-საქართველოს ომი (2008), რუსეთის სამხედრო ოპერაცია სირიაში (2015), ლოკალური ომი დონბასში (2014-2022) და სრულ-მასშტაბიანი ომი უკრაინაში (2022 წლიდან). ფაქტიურად, ომი უკრაინასთან პირველივე დღიდან გადაიქცა რუსეთისა და ნატოს არაპირდაპირი სამხედრო დაპირისპირების ასპარეზად (3).

გეოპოლიტიკური გზაჯვარედინი, რომელზეც რუსეთი იმყოფება ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე, მისი ისტორიული გეზის განუყოფელი ნაწილია (9, 83-84). რუსეთის განლაგება ევრაზიის შუაგულში, ევროპასა და აზიას შორის გარდაუვალს ხდის მის მჭიდრო ურთიერთობას დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან და სოციალურ მოდელებთან (11). რუსული სახელმწიფოებრივი ტრადიციების კონსერვატიზმი და იმპერიული ბუნება, რუსული საზოგადოების კონფესიური და ეთნიკური მრავალფეროვნება არამხოლოდ გამორიცხავენ გარე სოციუმებთან ღრმა ინტეგრაციას, არამედ პირდაპირ განაპირობებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციის უნივერსალისტურ დამოუკიდებელ მოდელს (13). ამ უნივერსალისტური საზოგადოებრივი მოდელის შემუშავება და განახლება ისტორიული ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად წარმოადგენს რუსეთის პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის ინტერესის მთავარ საგანს.

ამრიგად, რუსეთის ცივილიზაციური არჩევანის დისკურსი უნდა განვიხილოთ ორ ისტორიულ ასპექტში:

რუსეთის გეოპოლიტიკური განლაგებით განპირობებული ევროპისა და აზიის პერმანენტული ექზისტენციალური გავლენა; კონკრეტული ისტორიული ეპოქა, გლობალიზაციის ძლის ცენტრების ბალანსით და თავისი სპეციფიური სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული და კულტურული განვითარების მიმართულებებით.

### **ლიტერატურა:**

**ტორთელიძე იოსები (2008).** პუტინის საგარეო პოლიტიკა. თბილისი. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი.

**უვე ჰალბახი (2018).** რუსეთი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში „ახლო საზღვარგარეთსა“ და „შიდა საზღვარგარეთს“ შორის. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი. <https://ge.boell.org/ka/2018/02/05/ruseti-chrdiloet-da-samxret-kavkasiashi-axlo-sazgvargaretsa-dashida-sazgvargarets-shoris>

**Andrew Wilson (2022).** Inside the Russian geopolitical mind: Pseudo-justifications behind the war in Ukraine. The European Council on Foreign Relations (ECFR)/ <https://ecfr.eu/article/inside-the-russian-geopolitical-mind-pseudo-justifications-behind-the-war-in-ukraine/>

The collapse of the Soviet Union became a civilizational catastrophe of geostrategic dimension for Russia. The socio-economic, state-political, territorial, mental, demographic, linguistic, cultural reality in the vast geopolitical space of Eurasia has fundamentally changed (5, 965-980). From a historical point of view, Russia found itself in the reality of the middle of the 17th century. The collapse of the Soviet Union led to the disruption of Russia's geopolitical capabilities in three main dimensions:

- Global (loss of influence in Asia, Africa and Latin America);
- Regional (loss of influence in Eastern Europe and the Middle East);
- Local (loss of influence in the post-Soviet space)

The collapse of the Soviet system and the geopolitical weakening of Russia led to the division of Russian society into two radically op-

posed camps: conservatives (traditionalists) and liberals (reformers). According to conservatives, the policy of “Perestroika” and its consequences represent a joint effort of internal and external opposing forces to disintegrate Russia as a center of global power. According to the liberals, the new geopolitical reality created as a result of “Perestroika” gave Russia a historic chance in terms of building a western democratic social model and integrating into the international community (14, 19-30).

The path taken by the Boris Yeltsin regime towards liberal reforms ended in complete failure (15, 254-257). Among the reasons for this failure, the following should be distinguished:

- Complete incompetence and corruption of the new political elite;
- Lack of vision of a new social model and the inability to implement the universalist principles of liberalism on the historical soil of Russia;
- Absence of a reform plan with directions and deadlines;
- Destabilization and disorganization of the internal financial, economic and political system;
- Territorial disintegration of Russia (civil war in Chechnya, economic and political separation of regions from each other) (12, 5-15);
- Inability to develop dialogue with the West.

At the turn of XX-XXI centuries new political elites at the head of Vladimir Putin initiated the turning of Russia’s geopolitical course towards conservatism and the restoration of the status of a global power (15, 21-27). The following were identified as the ideological narratives of Russia’s new geopolitical course:

- Return of superpower status and international influence to Russia (7);
- Multipolar world;
- Dominance in the post-Soviet space and Eastern Europe (8);
- Adoption of “soft power” strategy and hybrid pressure as a state policy (2);
- Establishing a self-sustaining financial and economic structure, occupying an independent and active place in the international economic space (1, 40-49);

The new course caused serious controversy among the Russian political and financial-economic elite, because its constituent part was the redistribution of financial and economic assets in Russia. The oligarchic system of Russian management established in the 90s of the 20th century, which was a combination of government and organized crime structures, precluded the establishment of an authoritarian system. At the same time, the liberal camp fundamentally rejected Russia's return to traditionalist origins, as it would make it impossible to establish a Western social model in Russia. On the other hand, Russia's conservative forces failed to develop a unified concept of a new Russian society in the modern world during the past twenty years.

Historical practice shows that neither the liberal camp (1991-2000) nor the conservative camp (2000-2023) were able to create a clearly defined, structured, understandable and acceptable ideological platform for the public while being at the head of Russia. This will teach about the systemic crisis of the Russian political elite.

The new state course declared by Russia, in which the restoration of a strong Russia took a key place, made its confrontation with the Western liberal-democratic model inevitable (6, 167-178). The post-Soviet space and Eastern Europe became the first and closest arena of geopolitical wrestling (10, 17-18). It was accompanied by regional and local conflicts. Back in Yeltsin's regime in 1999, the first serious crisis in the relations between Russia and NATO took place in the Kosovo region of former Yugoslavia. There was a real danger of this crisis escalating into a military confrontation. During the period of the new government, relations with the West were gradually limited to mercantile interests of economic cooperation. The geopolitical conflict took on a systemic character, which is why it went beyond the economic and political spheres and turned into a military conflict (4). The result of this was the Russia-Georgia war (2008), the Russian military operation in Syria (2015), the local war in Donbas (2014-2022) and the full-scale war in Ukraine (from 2022). In fact, the war with Ukraine has turned into an arena of indirect military confrontation between Russia and NATO from the very first day (3).

The geopolitical crossroads that Russia has been at for the last thirty years is an integral part of its historical path (9, 83-84). Russia's location in the middle of Eurasia, between Europe and Asia, makes inevitable its close relationship with Western and Eastern civilizations and social models (11). The conservatism and imperial nature of Russian state traditions, the confessional and ethnic diversity of Russian society not only exclude deep integration with external societies, but also directly lead to a universalistic independent model of own social organization (13). The development and renewal of this universalist social model in accordance with the requirements of the historical era is the main subject of interest of the political and intellectual elite of Russia.

Thus, the discourse of Russia's civilizational choice should be considered in two historical aspects:

- The permanent existential influence of Europe and Asia due to Russia's geopolitical location;
- A specific historical era, with a balance of global power centers and its specific socio-economic, political, demographic and cultural development directions.

### **References:**

- Toroshelidze I (2008).** Putinis Sagareo Politika [The Foreign Policy of Putin] Tbilisi. Eurasian Found
- Uve Halbackh (2018).** [Ruseti Chrdiloet da Samkhret Kavkasiashi "Akhlo Sazgvargaretsa" da "Shida Sazgvargarets" Shoris]. Tbilisi. Heinrich Boll Stiftung <https://ge.boell.org/ka/2018/02/05/ruseti-chrdiloet-da-samxret-kavkasiashi-axlo-sazgvargaretsa-da-shida-sazgvargarets-shoris>
- Andrew Wilson (2022).** Inside the Russian geopolitical mind: Pseudo-justifications behind the war in Ukraine. The European Council on Foreign Relations (ECFR)/ <https://ecfr.eu/article/inside-the-russian-geopolitical-mind-pseudo-justifications-behind-the-war-in-ukraine/>

**პავლო ტიჩინა: კლარნეტიდან პარტიამდე**  
**Pavlo Tychyna: From clarinet to party**

**ნინო ნასყიდაშვილი**  
**Nino Naskidashvili**

თსუ პროფესორ ოთარ ბაქანიძის სახელობის უკრაინისტიკის ცენტრი  
TSU center of Ukrainian studies named after prof. Otar Bakanidze

**საკვანძო სიტყვები:** უკრაინული  
ლიტერატურა, ლიტერატურათმცოდნეობა, თარგმანი  
**Keywords:** Ukrainian literature, literary studies, translation

1959 წელს პარიზში დაიბეჭდა იური ლავრინენკოს „დაცხრილული აღორძინება“ – 1917-1933 წლების უკრაინული ლიტერატურის ანთოლოგია, რომელმაც მკაფიოდ გამოამჟღავნა სტალინური რეჟიმის მიერ უკრაინული ინტელიგენციის მიმართ ჩადენილი „ლიტერატურული დანაშაულის“ საიდუმლო.

„დაცხრილულ მწერლებში“ იური ლავრინენკო არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკურად განადგურებულ უკრაინელ პოეტებსა და მწერლებს, არამედ ისეთ მწერლებსაც, მაგალითად, პავლო ტიჩინას, რომლებიც რეპრესიებს ნაწილობრივ გადაურჩნენ, თუმცა მათი შემოქმედება გადაიქცა პარტიის სახოტბო პოეზიად და აღარაფერი ჰქონდა საერთო ქვეშარით შემოქმედებასთან.

ტრიუმფალური დებიუტი პოეზიის კრებულისა „მზის კლარნეტები“, კოსმიური სფეროების რიტმების მომღერალი ლირიკოსის გარდასახვა უკრაინელ საბჭოთა პოეტად და პარტიის მსახურად, რომელიც პოეტებს მხოლოდ ავტატორების როლში ხედავდა და მათგან იდეოლოგიის პოპულარიზაციას მოითხოვდა. სწორედ ამიტომ მიაჩნიათ უკრაინელ მკვლევრებს, რომ სამყაროს ორი პავლო ტიჩინა ჰყავდა.



In 1959 In Paris there was published “Executed Renaissance” by Yurii Lavrinenko – Ukrainian literary anthology of 1917 – 1933, which disclosed the secret of the “literary crime” committed against the Ukrainian intelligentsia by the regime of Stalin.

In “frustrated writers” Yurii Lavrinenko does not mean just physically devastated Ukrainian poets and writers, who partly survived the repressions, therefore their writing became commendable poetry of party had nothing in common with the realistic works.

A triumphant debut of poetry “Clarinets of the Sun”, The transformation of the lyricist who sang the rhythms of the cosmic spheres into a Ukrainian Soviet poet and party servant, party, which only viewed poets as agitators and demanded from them to popularize the ideology. Ukrainian researchers reasons that there existed two Pavlo Tychnas.

# პირველი რექტორი – პეტრე მელიქიშვილი The First Rector – Petre Melikishvili

## რუსუდან ნიშნიანიძე Rusudan Nishnianidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** უნივერსიტეტი, პირველი რექტორი,  
პეტრე მელიქიშვილი, ისტორიული ემიგრაცია  
**Keywords:** University, The First Rector, Petre Melikishvili, Historical  
Emigration

1928 წელი. 19 თებერვალი. პარიზი.

ჟუფრუას გაჩირალდნებული დარბაზი სტუმრებს ველარ იტე-  
ვდა. აქ იყო ბევრი ქართველი, ოდნავ ნაკლები ფრანგი, პოლი-  
ტიკოსები და პრესის წარმომადგენელი. სხვა ემიგრანტებიც:  
აზერბაიჯანის, სომხეთის, ჩრდილო კავკასიის და უკრაინის  
ყოფილი მკვიდრნი. საზოგადოება თბილისის უნივერსიტეტის  
დაარსების 10 წლისთავს აღნიშნავდა. მიღება საქართველოს  
ელჩმა, აკაკი ჩხენკელმა გახსნა...

ემიგრანტული დოკუმენტური პროზის ფურცლებს არაერთი  
საინტერესო ისტორია შემორჩა - კონკრეტულ პიროვნებებთან  
თუ მოვლენებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ამგვართაგანი  
გახლდათ თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, რომლებზეც  
წლების განმავლობაში იწერებოდა. ეს არ იყო წარსულზე მიჯაჭ-  
ვულობა, ეს სწორედაც მომავლის განცდა გახლდათ. იმედი, რომ  
საქართველოში „სხვა“ თაობა გაიზრდებოდა. ამ უნივერსიტეტში  
განათლებამიღებულს პასუხისმგებლობის „სხვა“ განცდა ექნე-  
ბოდა.

დიდი საქმის მოგვარებაა შესაძლებელი და მას ხელიდან  
არ „გაუშვებენ“. ინტელექტუალური მიზნები, როგორც ასეთ

შემთხვევებში დაარქმევენ, მოქნილი გადაწყვეტილებების მიღების უფლებას იძლევიან. მშვიდად შეთანხმდებიან: მოიწვიონ პროფესორები, პრივატ-დოცენტები და ამ საქმეში ჩართული ახალგაზრდა მეცნიერები. პირველ ხანებში თუ ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას არ მისცემთ, „პროფესორები გასამრჯელოს არ აიღებდენ“. ძალიან მნიშვნელოვანი არა მხოლოდ კარგად წაკითხული ლექციაა, არამედ ის საჯარო ქცევა, რომლებსაც ახალგაზრდა ადამიანები ხედავენ. ამ „ხედვის“ შესაძლებლობა კი, მათ არცთუ იშვიათად ეძლევათ. მეცნიერი ამ შემთხვევაში, ზნეობრიობის სიმბოლოც ხდება.

უნივერსიტეტის საზოგადოების პირველ საორგანიზაციო კრებაზე მოსაწვევი ბარათები დაიგზავნება. ეპოქის სურათი აღდგება; დიდი და ჭკვიანი ადამიანებით შემდგარი სურათი და ეს არ იქნება ე.წ. „გაყინული ფოტო“. პირიქით, ამ დღეს საოცრად ექსპრესიულად გაიხსენებს ემიგრაციაში მყოფი ექვთიმე თაყაიშვილი. როგორც ირკვევა, რაკილა მომხსენებელი ივანე ჯავახიშვილი იყო, კრების თავმჯდომარედ თაყაიშვილი, ხოლო საპატიო თავმჯდომარე პეტრე მელიქიშვილი გახლდათ არჩეული.

წარმოდგენილი მოხსენება სწორედ მის ღვანლს შეეხება. ამბებად დალაგდება და გამორჩეული ეპიზოდებიც გამოიკვეთება. ეს „ამბები“ კი ქართული ემიგრანტული მწერლობის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეა გაბნეული.

1928 year. February 19. Paris.

The torch-lit hall of Zhufrua could no longer accommodate the guests. There were many Georgians, a little less French, politicians and press representatives. Other immigrants too: former residents of Azerbaijan, Armenia, North Caucasus and Ukraine. The society celebrated the 10-th anniversary of the establishment of Tbilisi University. The reception was opened by the Ambassador of Georgia, Akaki Chkhenkeli...

A number of interesting stories have survived on the pages of emigrant documentary prose - related to specific persons or events. One of these was the establishment of Tbilisi University, which was written about for years. It was not clinging to the past, it was a sense of the future. Hope that “another” generation would grow up in Georgia.

A person educated in this University would have a “different” sense of responsibility. It is possible to solve a big case and not let it go. Intelligent goals, as they are called in such cases, allow flexible decision-making. They will calmly agree: to invite professors, private doctors and young scientists involved in this work. In the early days, if the financial situation does not allow it, “professors will not receive their salary”. Not only a well-delivered lecture is very important, but also the public behavior that young people see. The opportunity of this “vision” is not rarely given to them. In this case, the scientist also becomes a symbol of morality.

Invitation cards will be sent to the first organizational meeting of the University community. The image of the era will be restored; A picture of big and smart people and it won't be a “frozen photo”. On the contrary, Ekvtime Takaishvili, who was in exile, will remember this day in an amazingly expressive way. As it turns out, Ivane Javakhishvili was the speaker, Takaishvili was elected as the chairman of the meeting, and Petre Melikishvili was elected as the honorary chairman.

The presented report will be about his merits. It will be sorted into stories and outstanding episodes will be highlighted. These “news” are scattered on the pages of magazines and newspapers of Georgian emigrant writing.

**ბარბარე ჯორჯაძის  
კულინარიული მეტროლოგია  
The Culinary Metrology of Barbare Jorjadze**

**სალომე ომიადე  
Salome Omiadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ქართული გასტროკულტურა, ქართული  
კულინარიული რეცეპტები, თიხის საწყაო,  
ანთროპომორფული საზომები

**Key words:** Georgian Gastronomic Culture, Georgian Culinary Recipes,  
Clay Measuring Jug, Anthropomorphic Measurements

1874 წელს გამოცემული ბარბარე ჯორჯაძის „ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი“, რომელიც ფასდაუდებელი წყაროა ქართული გასტროკულტურის კვლევისათვის, ნათლად აღადგენს მეცხრამეტე საუკუნის კულინარიულ-მეტროლოგიურ სურათს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ინახავს ცნობებს იმ დროის ყოფითი რეალიების, მათი ეტალონური მნიშვნელობების, შედარების გზით მიღწეული გაზომვების შესახებ.

მეტროლოგიური ერთეულები გვხვდება როგორც ცალკეულ რეცეპტზე დართულ ინგრედიენტების ჩამონათვალში, ასევე კერძის მომზადების აღწერილობაში. ძველებური წონის ერთეულთაგან დასტურდება: **მისხალი, გირვანქა, ლოტი, ფუთი, ბათმანი, ოყა** და სხვ. სითხის საზომად უმთავრესად თიხის ქურჭელი სახელდება, ამ საწყაოთა უმრავლესობა სახელდობრ ღვინის მოცულობის დასადგენად გამოიყენება, ესენია: **ჩაფი, ხელადა,**

**კოკა, დორა, თუნგი** (თუნგი არის სპილენძისაც) და მისთ. ყურადღებას იქცევს სქოლიოში ჩატანილი რამდენიმე შენიშვნა, რომლებიც ჭურჭლის კონკრეტულ სახეობათა განსხვავებულ სახელებს უკავშირდება („[ხოხს] გობს ეძახიან იმერეთში“, „ქილას მრგვალსა და მომცროს იმერეთში კოტოს ეძახიან“...).

ყველაზე დიდ ინტერესს, ბუნებრივია, ტექსტის ის მონაკვეთი იწვევს, რომლის სათაურიცაა **„სანონი და სანყაო“**. ბარბარე ჯორჯაძე ცდილობს თავისი მკითხველი მეტროლოგიური ერთეულების არსში უკეთ გაარკვიოს, რისთვისაც შემდეგი ტიპის თანაფარდობებს აყალიბებს: „ერთი სტაქანი წყალი, ეთანასწორება ნახევარ გირვანქას“, „ერთი გირვანქა ბრინჯი, ორი სტაქანი არის“ და მისთ. წიგნის ამ პარაგრაფში წარმოდგენილი მტკიცებულებები თითქოს ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის არაერთი სტრუქტურულ-სემანტიკური სხვაობაა: ზოგ შემთხვევაში თანაფარდობის მეორე ნაწილში დადასტურებული საზომის განსამარტავად პირველ ნაწილში მაშინდელ მზარეულთათვის უფრო ჩვეული ყოფითი საწყაოა დასახელებული: „ერთი **სტოლის კოვზი** დაფხვნილი შაქარი, ერთი ლოტი არის“, თუმცა სხვა შემთხვევებში ეს რიგი შეცვლილია: „ერთი **გირვანქა** დაფხვნილი შაქარი, ორს სტაქანს ცოტა ნაკლები არის“. გვხვდება სამწევრა თანაფარდობებიც: „დორა, თორმეტი **მანერკა** არის, ანუ სამი **ბათმანი**“. ზოგჯერ კი მეტროლოგიური ერთეული თვლად კვების პროდუქტთან შედარების გზით არის დახასიათებული: „ქსანი შვიდი კვერცხი არის“.

კულინარიულ რეცეპტთა უმრავლესობაში გამოყენებულია უძველესი ანთროპომორფული საზომები: **გოჯი, თითი, ციდა, ხელი; მუჭა, მუშტი**.

არცთუ იშვიათად მეტროლოგია ორგანოლეპტიკური მეთოდით არის ჩანაცვლებული, განსაკუთრებით კერძის მზადყოფნის დასადგენად: „როცა **დანითლდეს**, მზად არის“. ამგვარ კონტექსტებში დროის საზომი ერთეულების ნაცვლად ადამიანის ორგანოებით აღქმული შეგრძნებებია გამოყენებული.

ამდენად, ბარბარე ჯორჯაძის „ქართული სამზარეულო“, რომლის მიმართ ინტერესი დღითი დღე იზრდება, კულინარიული მეტროლოგიის თვალსაზრისითაც გამორჩეული წიგნია.

### ლიტერატურა:

**ჯორჯაძე, ბ. (1874).** ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი, ტფილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა.

Barbare Jorjadze's book "Georgian Cuisine and Tested Cooking Methods" was published in 1874. The book is a valuable source for the research of the Georgian gastronomic culture, as it draws a vivid picture of the culinary-metrological situation in the 19th century. The book contains valuable data regarding cultural realia of the given period, the meanings of measurement units and measurements made based on comparison.

Metrological units are found not only in the lists of ingredients of separate recipes but in the preparation instructions as well. The old measurement units mentioned in the book are: **მისხალი /miskhali/ (4.25 grams)**, **გირვანჯა /girvanka/ (pound)**, **ლოტი /loti/ (12.8 grams)**, **ფუთი /puti/ (16.38 kg)**, **ბათმანი /batmani/ (20 pounds)**, **ოყა /oka/ (1.2 kg) etc.** Clay vessels are mostly used for the measurement of liquid substances, especially wine: **ჩაფი /chapi/ (18 litres)**, **ხელადა /khelada/ (2 litres)**, **კოკა /koka/ (16-24 litres)**, **დორა /dora/ (20-30 litres)**, **ტუნგი /tungji/ (4.5 litres)** and so on. Mention should be made of certain footnotes made by the author with the aim of explaining the names of different vessels ("Khoni (flat wooden bowl) is called "Gobi" in Imereti", "A small round jar is called "Koto" in Imereti"...).

Naturally, of greatest interest is the chapter the title of which is "**Measurement Units**". Barbare Jorjadze tries to inform the reader regarding metrological units. For this purpose, she makes the following equations: "One glass of water equals half a pound", "One pound of rice equals two glasses" and so on. The ideas represented in this paragraph are similar, but there is a certain structural-semantic difference: in some cases, in order to explain the measurement unit in the second part of the equation, the author mentions a more widespread unit in the first part: "One spoonful of sugar powder comprises one loti". In other cases, the order is reversed: "One pound of sugar powder is a little less than two glasses". In some cases, the equations consist of

three members: “One **Dora** comprises twelve **Manerkas**, i.e. three **Batmani**”. Sometimes metrological units are compared to food products: „One **Ksani** is comprised of seven **eggs**“.

In the majority of recipes, the author uses ancient anthropomorphic measurement units: **გოჯი /goji/ (length from thumb joint to nail)**, **თითი /titi/ (finger)**, **ცოდა /tsida/ (span from index finger to thumb)**, **ხელი /kheli/ (hand)**; **მუჭა /mucha/ (handful)**, **მუშტი /mushti/ (fist)**.

In frequent cases, metrology is replaced by organoleptic methods, especially in cases when one should find out whether the food is ready, e.g. “It is ready when it turns red”. In such contexts, instead of time measurement units, the perceptions of human sense organs are used.

Thus, Barbare Jorjadze’s “Georgian Cuisine”, which is still very popular, arouses not only culinary interest but provides valuable metrological data as well.

#### **References:**

**Jorjadze B. (1874).** Georgian Cuisine and Tested Cooking Methods. Tbilisi: Ekvtime Kheladze’s Printing Press.



**სიმბოლისტური სახისმეტყველების  
დუალისტური ბინარები  
/ევროპულ-ქართული პარალელები/  
Dualistic Binaries of Symbolist Artistic Discourse  
/European-Georgian parallels/**

**თამარ პაიჭაძე  
Tamar Paichadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of the Humanitarian Sciences

**საკვანძო სიტყვები:** სიმბოლიზმი, დუალიზმი, მსოფლ-  
მხედველობა, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული მეთოდი  
**Keywords:** Symbolism, Dualism, Worldview, Literature, Artistic Method

„სარკე სარკეში, მათ შორის სანთელი, ორი სიღრმე ფსკე-  
რის გარეშე, სანთლის ალით განათებული, ისინი ერთთმანეთს  
აღრმავებენ, ამდიდრებენ და ერთდებიან ... სიღრმეში ჩახედვი-  
სას სარკის სარკისკენ დაპირისპირებისას ყოველთვის ვიპოვით  
„მომღერალ ფორმას“ ჩვენს დღეებში ორი სინათლეა – დილის  
და საღამოსი, ჩვენ ვიცით ღამის ორსახოვანი ბუნება – მღელვა-  
რე და დამთრგუნველი; და ჩვენ ცხოვრებაში ყოველთვის ორ  
საწყისს ვეყრდნობით, ამ სამყაროში დღისით და ღამით თამა-  
შისას ჩვენ გარდავაველეთ და ყოველთვის გარდავმქნით ორს  
ერთში...“ წერდა ჟან მორეასი სიმბოლისტური მიმდინარეობის  
პირველი ტალღის წარმომადგენელი და თეორეტიკოსი პირველ  
სიმბოლისტურ მანიფესტში რომელიც 1886 წლით თარიღდება.

დუალისტური თეორიის მსოფლმხედველობრივი საფუძვე-  
ლიც აქედან მოდის: სამყაროში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო  
პოლუსის დღისა და ღამის, სინათლისა და სიბნელის, სკეთისა  
და ბოროტის, ლამაზისა და მახინჯის დაპირისპირება, როგორც  
ორმაგი ბუნება უზენაესისა. დუალისტური აღქმის გნოსტიკური

ინსპირაცია ლიტერატურულ დისკურსში სიმბოლისტური მსოფ-  
ლაღქმის მონაპოვარი არ არის, ის ანტიკური ლიტერატურიდან  
გახდა აქტუალური, გარკვეული პარადიგმული პრინციპით მოჭ-  
ყვება ლიტერატურის ისტორიას, მაგრამ სიმბოლისტურმა მწე-  
ლობამ ის არა მხოლოდ გაიზიარა, არამედ განსაკუთრებული ხა-  
რისხი და გამომსახველობა მიანიჭა.

ორეულის – საგნის ლანდის სარკეში გამოსახულების გაა-  
ზრების სიმბოლისტური თეორია სამყაროს იდეალისტური აღ-  
ქმის ერთი დამახასიათებელი ნიშნის – დუალისტური ფილოსო-  
ფიური მსოფლმხედველობის პირდაპირი მხატვრული რეალიზა-  
ციაა.

სიმბოლისტური დუალიზმის ისტორია გარკვეულწილად  
სტეფანე მალარმემ განსაზღვრა. ის, „უკანასკნელი რომანტი-  
კოსი და პირველი დეკადენტი“, მოითხოვდა, „გამოსახულებათა  
არსის წარმოჩენას, წარმოჩენას არა საგნებისას, არამედ შთა-  
ბეჭდილებებისას მათზე“ და მათ ოპოზიციურ მნიშვნელობებზე.  
მალარმეს დრამატული პოემა „იღბალი არასოდეს შეცვლის შემ-  
თხვევას“ შედგებოდა იდენტური ფრაზებისაგან და ავტორის ჩა-  
ნაფიქრით, საშუალებას იძლეოდა წარმოესახა აზრის ტრაექტო-  
რია და და მისი ალტერნატივა. სწორედ ისეთმა შედეგებმა,  
როგორცაა პოლ ვერლენის „სიმღერები უსიტყვოდ“ და სტეფა-  
ნე მალარმეს „ფავნის ნაშუადღევის დასვენება“, სიმბოლისტუ-  
რი მხატვრული ინოვაციების საფუძვლად იქცა.

სამყაროს დუალისტური აღქმის ისტორია ქართულმა სიმ-  
ბოლისტურმა სკოლამაც გააგრძელა, ეს პოზიცია განსაკუთრებუ-  
ლად ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში გამოიკვეთა,  
სტეფანე მალარმეს პოეზიის უმნიშვნელოვანესმა სიმბოლომ  
განსაკუთრებული ადგილი დაიკავა პოეტის შემოქმედებაში. სა-  
რკისა და ორეულის ცნებათა სიმბოლოურ-პერსონიფიციკრებულმა  
აღქმამ ფრანგული მხატვრული დისკურსიდან ვალერიან გაფრი-  
ნდაშვილის ლექსებში უცვლელი მნიშვნელობით გადმოინაც-  
ვლა: „სარკე ხომ უდიდესი სიმბოლოა ჩვენი ყოფნისა არაფერი  
ისე მისტიურად არ გამოხატავს ჩვენი ყოფნის ლანდურობას,  
ჩვენს ორობას, ჩვენს კავშირს წარსულთან და მომავალთან, რო-

გორც სარკე“. წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი. ესსში “TEROR ANTIKUS“.

ამდენად, სარკისადმი „ტრფობა განუკურნელი“ და „ოცნება სარკის დაისებზე“ მისი პოეზიის სიმბოლოდ იქცა; სარკეში საკუთარი ორეულის ხილვის თეორიამ ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში თანდათან კიდევ უფრო ხაზგასმული სახე მიიღო და პოეტმაც „ლანდური ყოფის გრძნეულ სარკეებში ასახვის“ თემა საკუთარი შემოქმედებითი პორტრეტის ასახვის ფორმად და სინამდვილის სახედ წარმოჩენის შესაძლებლობად მიიჩნია. ამგვარი მხატვრული განსახოვნებისადმი პოეტის ინტერესს სხვადასხვა დროს შექმნილი მხატვრული სახისმეტყველების ნიმუშებიც ადასტურებენ.

#### **ლიტერატურა:**

**გაფრინდაშვილი, ვ. (1990)** „გედი პოეზიაში“ ლექსები, წერილები, თარგმანები, ესეები, თბილისი.

**გაფრინდაშვილი, ვ.** „სტეფანე მალარმე“ ლექსები, წერილები, თარგმანები, ესეები, თბილისი.

**გაფრინდაშვილი ვ.** “TEROR ANTIKUS“, ლექსები, წერილები, თარგმანები, ესეები, თბილისი.

“Mirror in the mirror, the candle between them, the two depths without bottom, illuminated by the candle flame, they deepen each other, enrich and unite... While looking into the depth when opposing a mirror with a mirror, we will always find “the singing form”. There are two lights in our days – of the morning and of the evening; we know the two-faced nature of the night – turbulent and inhibiting; and in our lives we always rely on two starting points. When playing during the day and night in this universe we always transform the two into one...” Jean Moreas, representative of the first wave of symbolism movement and theoretician, wrote in the first symbolist manifest dated 1886.

The worldview basis of dualistic theory starts from the same: the opposition of the two contradictory polarities in the universe; of the day and night, of the light and darkness; of the good and evil; of the beautiful and ugly, as the dual nature of the Supreme. Gnostic inspira-

tion of the dualistic perception in literary discourse is not the finding of the symbolist worldview; it has become acute since antique literature, has been following the art history by certain paradigm principle; but, the symbolist Worldview has not only shared it, but has also given special quality and expression to it.

The symbolist theory of the comprehension of the double – the mirror image of a subject – is the direct creative realization of one of the characteristics of the idealistic perception of the world – dualistic philosophical worldview. Stephane Mallarme has to some extent defined the symbolist dualism history. He, “the last romanticist and the first decadent”, requested “the portrayal of the essence of images; the demonstration not of subjects, but of the impressions about them” and about their oppositional meaning. Mallarme’s dramatic poem *Luck* will never change the occasion consisted of identical phrases and as intended by the author, it gave the possibility to imagine the trajectory of the thought and its alternative. Such masterpieces by Paul Verlaine’s *Songs without Words* and Stephane Mallarme’s *Afternoon of the Faun* have become the basis for the symbolist creative innovations.

Georgian symbolist school has continued the history of the dualistic perception of the world. The examples of creative tropology created at different times confirm the poet’s interest to such creative impressions.

#### **References:**

**Gaprindashvili, V. (1990)** “Swan in poetry” poems, letters, translations, essays, Tbilisi.

**Gaprindashvili, V.** “Stephane Mallarme” poems, letters, translations, essays, Tbilisi.

**Gaprindashvili V.** “TEROR ANTIKUS”, poems, letters, translations, essays, Tbilisi.

**Gide, A. (1891)** “The Terror on the Narcissus; Theory of Symbolism”, «Traite du Narcisse héorie du symbole», 1891A Crossroads of Modernity: André Gide’s “Le Traité du Narcisse” Pamela A. Genova South Central Review Vol. 11, No. 3

**უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობისა“  
და იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამების“  
გერმანული თარგმანები**  
**German translations of “The Martyrdom of St. Eustatius” by  
an unknown author and „The Martyrdom of St. Abo“ by Ioane  
Sabanisdze**

**ნინო პოპიაშვილი**  
**Nino Popiashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ჰაგიოგრაფია, პეროზელიტიზმი,  
ივანე ჯავახიშვილი

**Keywords:** Georgian Hagiography, Proselytism, Ivane Javakhishvili

უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი უადრესი ჰაგიოგრაფიული ძეგლი. ზოროასტრული ელემენტების, მონოფიზიტური და დიოფიზიტური რელიგიური ტენდენციების გამო ძეგლი დიდ ინტერესს იწვევს მეცნიერებში.

იოანე საბანისძის „აბოს წამება“ მერვე საუკუნის 80-იან წლებში დაიწერა აბოს თანამედროვისა და ამბის თვითმხილველის - იოანე საბანისძიე მიერ. ავტორს ეს თხზულება დაუწერია სამოელ ქართლის კათალიკოსის შეკვეთითა და თხოვნით. თხზულება მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის როგორც ქართლის, ისე მის მეზობელ სამეფოებსა და სამთავროებზე.

უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, და იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“, გერმანულ ენაზე ითარგმნა ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით.

1901 წელს გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის მიერ თარგმნილი უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ გე-

რმანულ ენაზე, რომელიც ა. ჰარნაკის მიერ არის დამუშავებული. იოანე საბანისძის ტექსტის თარგმანის რედაქტირებაში მონაწილეობა მიუღია ცნობილ თეოლოგსა და სიძველეთმცოდნეს, კ. შულცეს ა. ჰარნაკთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ ორივე ტექსტი მნიშვნელოვანია ჰაგიოლოგიური, ისტორიული, ფილოლოგიური, ტეოლოგიური თვალსაზრისით. ამავედროულად, ორივე თხზულება პროზელიტური ჟანრისაა. ორივე თარგმანს ახლავს ვრცელი მიმოხილვითი ნაშრომები, სადაც განხილულია ტექსტების ისტორიული, ლიტერატურული, თეოლოგიური და სხვა ასპექტები. გამოთქმულია შეხედულებები ქართული ჰაგიოლოგიის მნიშვნელობაზე შუასაუკუნეების კვლევებთან კავშირში. მოხსენებაში ვისაუბრებთ უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობისა“ და იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამების“ გერმანულენოვანი თარგმანების საკითხებზე.

“The Martyrdom of St. Eustatius” by an unknown author is recognized as one of the earliest hagiographical monuments. Due to Zoroastrian elements, Monophysite and Diophysite religious tendencies, the monument arouses great interest among scientists. “The Martyrdom of St. Abo” by Ioane Sabanisdze was written in the 80s of the 8th century by Ioane Sabanisdze, a contemporary of Abo and an eyewitness to the story. The author wrote this composition at the request and order of Samoel the Catholicos of Kartli. The work provides important information about both Kartli and its neighboring kingdoms and principalities.

“The Martyrdom of St. Eustatius” by an unknown author and „The Martyrdom of St. Abo“ by Ioane Sabanisdze were translated into German at the initiative of Ivane Javakhishvili. In 1901, Ivane Javakhishvili’s translation of the unknown author’s “The Martyrdom of St. Eustatius” was published in German, which was edited by A. Harnack. A well-known theologian and antiquarian, A. Harnack together with K. Schultze took part in editing the translation of the composition of Ioane Sabanisdze.

It should be noted that both texts are important from the hagiological, historical, philological, theological point of view. At the same time, both works are proselytizing. Both translations are accompanied by extensive review papers that discuss the historical, literary, theological, and other aspects of the texts. Views on the significance of Georgian hagiology in connection with medieval studies are expressed. In the report, we will talk about the issues of the German language translations of “The Martyrdom of St. Eustatius” by the unknown author and “The Martyrdom of St. Abo” by Ioane Sabanisdze.

**ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის  
თაობაზე  
Towards the creation of an extensive Georgian-English  
thematic dictionary**

**მანანა რუსიეშვილი  
Manana Rusieshvili**

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** თარგმნითი ლექსიკოგრაფია, საბასეული  
**Keywords:** Translation Lexicography, Sabaseuli

მოხსენება მიმოიხილავს ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკოგრაფიის განვითარების გზას და მის თანამედროვე ვითარებას საქართველოში. კერძოდ, საუბარი იქნება ქართული ლექსიკოგრაფიისა და თარგმნითი ლექსიკოგრაფიის ტრადიციებზე; ნაჩვენები იქნება თარგმნითი ლექსიკოგრაფიის არა მხოლოდ სიტყვა-სტატიების „მექანიკური“ თარგმნის, არამედ მათი ენობრივ-კულტუროლოგიური კვლევის საფუძველზე ტრანსპოზიციის მნიშვნელობა ლექსიკოგრაფიის თეორიისა და, კერძოდ, ქართული თარგმნითი ლექსიკოგრაფიის განვითარებისათვის.

წარმოდგენილი იქნება თსუ ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებისა და არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახალი პროექტი „საბასეული“, რომელიც ორივე სტრუქტურის თანამშრომლებისა და თსუ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო სტუდენტების მიერ ხორციელდება, ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის შექმნას ისახავს მიზნად და სრულად წარმოაჩენს ქართული ენის სიმდიდრეს. არჩეული მეთოლოგიის უპირატესობის საილუსტრაციოდ განხილული იქნება რამდენიმე მაგალითი.



### **ლიტერატურა:**

**ორბელიანი, სულხან-საბა (1928)** ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით: ტფილისი. ფორო

**ფოჩხუა, ბიძინა (1987)** თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, I: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

This paper discusses the development of Georgian and Georgian-English lexicography and its current situation in Georgia. In particular the traditions of Georgian lexicography and translation lexicography will be described; the significance of translation lexicography, which is based not only on the translation of entries but also on relevant linguistic and cultural research, will be demonstrated in relation to the theory of lexicography and in particular, to Georgian translation lexicography.

The ambitious project “Sabaseuli”, recently initiated by the TSU Department of English Philology and Arnold Chikobava Institute of Linguistics and being implemented by the staff of both institutions and students of the BA program of English Philology, will be presented. The aim of the project is to create an extensive Georgian-English thematic dictionary which will fully reveal the richness of the Georgian language. To illustrate the advantage of the chosen methodology, several examples will be discussed.

### **References:**

**Orbeliani, Sul Khan-Saba (1928)** kartuli leksikoni: [Georgian Dictionary] Tbilisi. Poro.

**Pochkhua, Bidzina (1987)** tanamedrove kartuli enis ideografiis leksikoni [Ideographic Dictionary of Modern Georgian Language]: Academy of Sciences of Georgian SSR; Institute of Linguistics.

**ქაჯები და მათი მხატვრული ინტერპრეტაციის საკითხი  
„ვეფხისტყაოსანში“  
Kajis and their Interpretation in “The Man in the Panther’s  
Skin”**

**ინგა სანიკიძე  
Inga Sanikidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** „ვეფხისტყაოსანი“, ქაჯები, ალამუთელი, მხატვრული ინტერპრეტაცია.

**Keywords:** “The Man in the Panther’s Skin”, Kajis, Alamutians, Artistic Interpretation

რთულია, გვერდი აუარო ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმულ თვალსაზრისთა იმ ნაწილს, რომლისთვისაც დავარის კავშირი ქაჯებთან ამავე პერსონაჟის ბოროტ საწყისთან იგივეობას გულისხმობს. იუ. აბულაძე „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპონიმებსა და მხატვრულ ტოპონიმებში (მაგ., ტოპონიმში გულანშარო – ვარდქალაქი) სპარსული ენის პირდაპირ გავლენას ხედავს და ჰგონია, რომ „ეს ამბები აუცილებლად შემოიჭრა ჩვენში გამაჰმადიანებული სპარსეთიდან“. იუ. აბულაძე ამავე კონტექსტში მოიხარებს პოემის დევებ-ქაჯების კონცეპტებსაც. ის წერს: „ვეფხისტყაოსნის“ ამბები წარმოადგენდა ჩვეულებრივს სადევგმირო ზღაპარს, რომელშიაც მთელი ადგილი სხვადასხვა კუთხის ბუმბერაზთა რკენასა და მათს დევებთან და ავსულებთან და საშინელ მხეცებთან ბრძოლას ეჭირა“.

დაახლოებით ამავე საფუძველს ეყრდნობა ზ. გამსახურდია, როცა ის „ქაჯებისა“ და „ქაჯეთის“ სამეფოს შესახებ საკუთარ თვალსაზრისს აყალიბებს. მეცნიერი შენიშნავს: „რაც შეეხება ქაჯეთს, იგი არის ქვესკნელის ალეგორია... ქაჯეთი ბოროტების საუფლოა,

შავი მაგიის ციტადელია“. ერთი სიტყვით, ზ. გამსახურდიასათვის რუსთველური ქაჯეთის ქვეყანა „გველეშაპის საუფლოა“, ხოლო „ქაჯები ქვესკნელის მკვიდრი დემონები არიან“, ამიტომ ლოგიკურია, რომ დავარისა თუ ქაჯი მონების მხატვრულ სახეთა ბუნებაც ამ კონცეპტუალური წერტილიდან არის გააზრებული.

ჩვენი აზრით, ნაკლებად წარმოსადგენია, ზ. გამსახურდიას მიერ მეცნიერულად დახატულ ქვესკნელთან გვექონდეს საქმე, როცა ქაჯეთს, ქაჯებსა და ოდესღაც „ქაჯეთს გათხოვილ“ ქვრივ ქალს შევხვებით. ასეთ შემთხვევაში დაუსაბუთებელი დარჩება ის მოცემულობანი, რომლებსაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სხვადასხვა ადგილას ვხვდებით. კერძოდ, რამდენად გულისხმობს დავარის მიერ „ცის ცოდნა“ ქვედა მიმართულებას? ან რატომ გაეცნო ფატმანისაგან დახსნილი ნესტანი ქაჯთა მონასპის უფროსს, როშაქს, გულანშაროდან ქაჯეთს მიმავალ მოციქულად? არა გვგონია, რომ პოემის ეს და სხვა მნიშვნელოვანი მინიშნებანი საყურადღებო არ იყოს.

ქაჯი მონები ჯერ ინდოეთის სამეფოში ჩანან, უშუალოდ დავარის დაქვემდებარებაში მყოფნი და მისი ნების აღმსრულებელნი. სავარაუდოდ, ოდესღაც ქაჯეთის ქვეყანაში გათხოვილ და მათს სიბრძნეს ნაზიარებ ქალს ერთგული მსახურები თან უნდა გამოჰყოლოდნენ. მათ დავარისა და ნესტანის გარემოცვაში უნდა ეცხოვრათ, ამიტომაც აღმოჩნდნენ იქვე, როცა დავარმა ნესტანის „ზღვის ჭიპში“ გადაკარგვის ბრძანება გასცა.

ქაჯეთის სამეფოსა და ინდოეთს შორის ზღვა ან ზღვებია, მაგრამ ეს გრძნეული მონები ხმელეთს ეძიებენ მაინც. პოემაში იკვეთება, რომ გულანშაროდან ქაჯეთამდე დღე-ნახევრის სავალია. მანძილი მცირეა. დავარის ქაჯმა მონებმა ის-ის იყო საკუთარ სამყოფელს მიაღწიეს, რომ ფატმანის მიერ წაქეზებულმა ოთხმა მონამ სიცოცხლეს გამოასალმა ისინი. ქაჯთა დახოცვის ეს ფრაგმენტი [„დაიპყრნეს და თავსა სჭრიდეს“], ვფიქრობთ, რომ პირველი მინიშნებაა მათს ხორციელებზე.

გრძნეული მონების მეორე ფრაგმენტს ვაჭართუხუცესის ცოლის, ფატმან-ხათუნის, სასახლეში ვხედავთ. მართალია, მათ რუსთველი ქაჯებს არ უწოდებს და მხოლოდ გრძნებით სავსე „ორ შავ მონად“ მოიხსენიებს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ დიდად

საკამათო არ უნდა იყოს, ვისთან გვაქვს საქმე. ჩვენი აზრით, გადაჭარბებული იქნება, თუკი დავარის ან ფატმანის ქაჯ მონებს „ქტონიურ დემონებს“ ვუწოდებთ. საბოლოოდ, რაშია საქმე, ვინ არიან ქაჯები და რა არის ის აუღებელი სიმაგრე, რომელსაც რუსთველმა ქაჯეთის ციხე უწოდა? შესაძლებელია თუ არა, რომ ამ ყველაფერს პოეტის ეპოქაშივე პროტოტიპები დაეძებნოს?

კ. კეკელიძე ქაჯთა შესახებ წერს: „ვეფხისტყაოსანში ხშირად იხსენიება „ქაჯი“, რომელიც, ავტორის გაგებით, არის არა მარტო მითოლოგიური, ზღაპრული, არამედ რელიგიური, ნამდვილი არსება – ადამიანი“ [კეკელიძე 1973: 62]. ვფიქრობთ, რომ მეცნიერის თვალსაზრისის მყარი საფუძველი აქვს. ისტორიული ფაქტია, რომ მოლიდ-მულიდნი, როგორც სარწმუნოებრივი სექტაში გაერთიანებულნი და სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მქონენი, XII საუკუნის მსოფლიოს შიშის ზარს სცემდნენ და უჩინოდ მავალნი პოლიტიკურ მკვლევლობებსაც ჩადიოდნენ [„უჩინოდ მივლენ-წამოვლენ მათითა ხელოვნებითა“: 233, 1226]. ამიტომ. ჩვენი აზრითაც, ის, რასაც პოემაში ქაჯი და ქაჯეთი ჰქვია, ადამიანის „ხორციელი“ შესაძლებლობების გამოხატულებაა და არა – ჰადესისა, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთის ციხე, თავისი მხატვრული სამოსის მიუხედავად, მართლაც ძალიან წააგავს მოლიდთა ალამუთს. ალბათ, ამიტომაც დაგვიტოვა საყურადღებო შენიშვნა ნ. ბერძენიშვილმა ერთ-ერთ თავის ნაშრომში – „უეჭველია რომაქი უცხო ქვეყანას, უცხო ქარავენებს ძარცვავს ან შეიძლება, ქაჯთა სამეფო ეს მეკობრეების სამფლობელოა (ალამუთის მსგავსი...) და არა რომელიმე გულანშარო, არაბეთი, ინდოეთი თუ მულღაზანზარი. ესენი „მშვიდობიანი“ ფეოდალური ქვეყნებია“ [ბერძენიშვილი 1974: 263]. სწორედ ჩამოთვლილი ქცევანი აღძრავს ეჭვს ქაჯთა მოლიდობაზე, ახლო აღმოსავლეთის ისტორია კი ადამიანთა ამ კრებულს ასასინ-აშიშინების სახელით იცნობს.

ამრიგად, რუსთველის ეპოქაში მოქმედი ასასინთა სექტა და ლეგენდად ქცეული აუღებელი ალამუთი, ვფიქრობთ, რომ მართლაც ორგანულადაა დაკავშირებული პოეტისავე ქაჯებთან, მეტადრე მაშინ, როცა მათ ჩრდილოეთ ირანთან, დარუბანდის ზღვის სამხრეთით, დაედოთ ბინა, ხოლო XII ს-ის საქართველოს საზღვრები ამავე დარუბანდამდე აღწევდა. სწორედ ამგვარი გა-

აზრებით ცხადდება ქაჯთა „ხორციელი“ არსებობაც და ისიც, თუ რა სისწრაფით იკარგება ფატმანის მონა, როცა ვაჭართუხუცესის ცოლის დავალების შესასრულებლად ქაჯეთში მიემართება. მხატვრული ინტერპრეტაცია, ჩვენი აზრით, ვერ გამოდგება ხელისშემშლელად იმისა, რომ ქაჯეთის ციხისა თუ ქაჯების წარმოსახვის ბირთვში მიბაძვის ობიექტები (ალამუთი და ალამუთელნი) ვერ დავინახოთ.

### **ლიტერატურა:**

**ბერძენიშვილი, ნ. (1974)** XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

**აკეელიძე, კ. (1973)** ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერილსა. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. XII. გვ. 51-82. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

It is difficult to ignore the views expressed in Georgian literary criticism, according to which Davar's connection with Kajis implies a connection with evil. Abuladze sees the direct influence of the Persian language in the anthroponyms and toponyms of "The Man in the Panther's Skin" (for example, in the toponym Gulansharo - Vardkalaki) and maintains that "these stories must have reached us from Islamized Persia". Abuladze considers the concepts of Devis and Kajis of the epic in the same context. He writes: "The stories of "The Man in the Panther's Skin" were ordinary heroic tales, in which a lot of stories were dedicated to the giants from various geographic parts and their battles with the devis and the evil spirits and frightening beasts".

When expressing his point of view concerning the kingdom of "Kajis" and "Kajeti", Gamsakhurdia bases his interpretation on approximately similar grounds. The scholar notes: "As for Kajeti, it is an allegory of the underworld... Kajeti is the kingdom of evil, the citadel of black magic". Therefore, for Gamsakhurdia, the country of Rustvelian Kajeti is "the kingdom of the dragon", and "Kajis are the demons of the underworld". Thus it is logical that the nature of the artistic images of Davar or Kaji slaves is also understood from this point of view.

In our opinion, it is unlikely that we have to deal with the underworld scientifically drawn by Gamsakhurdia while referring to Kajeti, Kajis and the widow who was once “married in Kajeti”. In such a case, the facts found in different places of the text of “The Man in the Panther’s Skin” will remain unsubstantiated. In particular, to what extent does Davar’s “knowledge of the sky” imply the lower direction? Or why did Nestan, when released by Patman, introduce herself to Roshak, the Chief of the slaves of Kajeti, as a messenger travelling from Gulansharo to Kajeti? We believe that these important hints in the poem should be paid attention to.

Kaji slaves first appear in the kingdom of India, directly subordinate to Davar and obedient to her will. Probably, once married in the country of Kajeti and sharing their wisdom, the faithful servants must have accompanied her. They must have lived surrounded by Davar and Nestan; because of this, they were there when Davar ordered Nestan to be lost in the “depth of the sea”.

There is a sea or seas between the Kingdom of Kajeti and India, but these sorcerer slaves still seek land. It is mentioned in the poem that it is a day and a half distance from Gulansharo to Kajeti. The distance is short. Davar’s Kaji slaves had reached their abode when four slaves instigated by Patman killed them. This fragment of the killing of the Kajis [“captured and beheaded”], as we believe, is the first reference to the Kajis “being made of flesh”.

We see the second fragment of the sorcerer slaves in the palace of the Chief of the Merchant’s wife, Patman-Khatun. It is true that Rustveli does not call them Kajis and only refers to them as “two black slaves” full of wizardry, but we believe that who we are dealing with is not controversial. In our opinion, it would be an exaggeration to call Davar or Patman’s Kaji slaves “chthonic demons”. In the end, who are the Kajis and what is the impregnable fortress that Rustveli referred to as Kajeti Castle? Is it possible for the prototypes of all this found in the epoch of the poet?

K. Kekelidze writes about the Kajis: “Kaji” is often mentioned in “the Man in the Panther’s Skin”, which, in the author’s understanding, is not only part of a mythological fairy tale but also a religious, real being – a human being” [Kekelidze 1973: 62]. We think that Kekelidze’s

point of view has a solid foundation. It is a historical fact that Mawlıds, becoming part of a religious sect and setting military-political goals, terrified the world in the 12th century and, as well as this, committed political murders uncovered.

Therefore, in our opinion, what is called Kajis and Kajeti in the epic is an expression of a human's "carnal" abilities and not of Hades, and the Kajeti castle of "The Man in the Panther's Skin" despite its artistic description, is really very similar to Alamut and Mawlıds. Perhaps that is why Berdzenishvili left us a remarkable note in one of his works - "There is no doubt that Roshak robs a foreign country, foreign caravans, or maybe the Kingdom of Kajis is the domain of pirates (similar to Alamut...) and not some Gulansharo, Arabia, India or Mulghazan-zar. These are "peaceful" feudal countries" [Berdzenishvili 1974: 263]. It is these listed behaviours that raise suspicions about the Kajis being Mawlıds, and the history of the Middle East knows this group of people under the name of Assassin-Ashishin.

Thus, we think that the sect of assassins operating in Rustveli's era and the unconquered Alamut, which became a legend, are really organically connected with the poet's Kajis, especially when they were located in northern Iran, south of the Darubandi Sea, and the borders of Georgia in the 12th century reached the same Darubandi. It is with this kind of understanding that the "fleshy", real existence of the Kajis and the speed with which Patman's slave gets lost when he goes to Kajeti to fulfil the task of the wife of Chief of the Merchants becomes clear. Artistic interpretation, in our opinion, cannot prevent us from seeing the objects of imitation (Alamut and Alamutians) in the heart of the imagination of Kajeti Castle or Kajis.

#### **References:**

- Berdzenishvili, N. ( 1974)** XI-XIII saukueebis saqartvelos istoriidan. [From the history of Georgia in XI-XII] Issues of History of Georgia. Volume Tbilisi: Metsniereba".
- Kekelidze, K. ( 1973)** avtori vepkhistaosnisa da dro misi dastereisa [The author of the Man in the Panther's Skin and the time it was written] Etudes from the History of Old Georgian Literature. Volume XII.pp.51-82: Metsniereba.

**პიეტრო დელა ვალე ნმ. ქეთევან წამებულის მისიის  
შესახებ და თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან  
დედოფლისა“  
Pietro Della Valle About the mission of St. Ketevan the Martyr  
and “The Torture of the Queen Ketevan” by Teimuraz I**

**ნესტან სულავა  
Nestan Sulava**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ნმ. ქეთევან წამებულის სულიერი მისია, ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალები, პიეტრო დელა ვალე, თეიმურაზ პირველი

**Keywords:** St. The Spiritual Mission of the Martyr Ketevan, National-Religious Ideals, Pietro Della Valle, Teimuraz the First

ნმ. ქეთევან დედოფლის წამებას დიდი რეზონანსი ჰქონდა XVII საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიოში, რადგან ეს იმ ეპოქისათვის უჩვეულო მოვლენა იყო. მისმა გმირობამ, შეუდრეკელმა სულმა, მტრისადმი დაუმორჩილებლობამ შეძრა იმდროინდელი მსოფლიო, მისი სახელი გავრცელდა მართლმადიდებლურ და კათოლიკურ სამყაროში, რასაც ქართულ ლიტერატურასთან და ქართულ საისტორიო წყაროებთან ერთად დედოფლის შესახებ კათოლიკე მისიონერთა ცნობები და დასავლეთ ევროპაში შექმნილი მხატვრული ნაწარმოებების მოწმობს. ნმ. ქეთევან დედოფლის თემა აქტუალური იყო ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში, საერო მწერლობაში, კერძოდ შეიქმნა ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის (ორბელიანი), გრიგოლ დოდორძელის, მღვდელმონაზონ კობზანის, ანონიმი ავტორის, ნიკოლოზ თბილელის თხზულებები; თეიმურაზ პირველის მიბადვით დიმიტრი ბაგრატიონის შექმნილი პოემა, ანტონ კათალი-



კოსის შესხმა, თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულება; დედოფლის მონამეობრივმა სიკვდილმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა უცხოურ საისტორიო წყაროებში. ესენია: პიეტრო დელა ვალე, ამბროზიო დუშ ანჟუში, ანდრეას გრიფიუსი. აგრეთვე, მ. ნაჭყე-ბიამ მიაკვლია მე-17 საუკუნეში ქეთევან დედოფლის წამების შესახებ სლოვაკეთში შექმნილ სასწავლო პიესას. საქართველო-სა და მის ფარგლებს გარეთ წმ. ქეთევან წამებულისა და მისი ცხოვრების ამსახველი წყაროების შესახებ საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა შეიქმნა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიეტრო დელა ვალეს მიერ სპარსეთიდან იტალიაში გაგზავნილი წერილები, რომის პაპისათვის დაწერილი „მოხსენება“, მის მიერ ან მასზე შექმნილი სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ უძვირფასეს ცნობებს XVII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, წმ. ქეთევან დედოფლის ზნეობრივ-მორალური სახის, მისი წმინდა მისიის გააზრებისათვის მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ეს ცნობები მოხსენებაში განხილულია თეიმურაზ პირველის ისტორიული პოემის პარალელურად და შეჯამებულია ქეთევან დედოფლის წამების ისტორიული მნიშვნელობა.

დედოფლის წამებამ საქართველოსთვის დადებითი შედეგი მოიტანა, კერძოდ, ქეთევან დედოფლის წამებას იმ ეტაპზე შედეგად მოჰყვა საქართველოს გამოფხიზლება და თავისუფლების სულის აღზევება. წმ. ქეთევან დედოფლის ფენომენი ქართველი ერისათვის ის ნიშანსვეტი აღმოჩნდა, რომელმაც აჩვენა რწმენისათვის თავდადებისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის აუცილებლობა, რაშიც პიროვნული თვისებები, ზნეობრივი მრწამსი ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეალებთან ერთად უდიდეს როლს ასრულებდა ადამიანის მორალური სახის ჩამოყალიბებაში, ქართველი ერის იდენტობის გააზრებაში.

The torture of St. Ketevan Queen had a great resonance in the world of the first half of the 17<sup>th</sup> century, because it was an unusual event for that era. Her heroism, indomitable spirit, disobedience to the enemy shook the world at that time, her name spread in the

Orthodox and Catholic world, which is evidenced by the reports of Catholic missionaries about the queen, along with Georgian literature and Georgian historical sources, and secular works created in Western Europe. The theme of Queen Ketevan was relevant in Georgian hagiography and hymnography, in secular writing, in particular the works of Besarion Baratashvili-Orbelishvili (Orbeliani), Grigol Dodorkeli, priestess Kozman, the anonymous author, Nikoloz Tbileli; The poem created by Dimitri Bagrationi in imitation of Teimuraz I, the composition of Anton Katholikos, the writings of Teimuraz Bagrationi; The queen's martyrdom found a great response in foreign historical sources. These are: Pietro Della Valle, Ambrozio Dusch Anjou, Andreas Griffus. M. Nachkebia traced it to a 17th-century teaching play in Slovakia about the torture of Queen Ketevan. In Georgia and abroad fairly rich scientific literature has been created about Ketevan the martyr and the sources describing his life.

The letters sent by Pietro della Valle from Persia to Italy, the "report" written to the Pope, other important documents created by him or him, which contain the most valuable information for the history of Georgia in the first quarter of the 17th century, are especially important. For the understanding of the moral and moral face of Queen Ketevan, her holy mission in the entire Christian world. These references are discussed in the report in parallel with the historical poem of Teimuraz I and the historical significance of the torture of Queen Ketevan is summarized.

The torture of the queen brought positive results for Georgia, in particular, the torture of Ketevan queen resulted in the awakening of Georgia and the rise of the spirit of freedom. The phenomenon of St. Ketevan Queen turned out to be a landmark for the Georgian nation, which showed the necessity of dedication to faith and self-sacrifice for the motherland, in which personal qualities, moral beliefs, together with national-religious ideals, played the greatest role in shaping the moral face of a person, in understanding the identity of the Georgian nation.

**მებრძოლ უღმერთოთა კავშირი და თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
The Soviet League of the Militant Godless and Tbilisi  
State University**

**მიხეილ ქართველიშვილი  
Mikheil Kartvelishvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** უნივერსიტეტი, ათეიზმი, აგიტაცია,  
პროპაგანდა, სტუდენტები  
**Keywords:** Univesrity, Atheism, Agitation, Propaganda, Students

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საუკუნოვანი ისტორია აქვს, რომელიც არ ხასიათდება ერთიანი აღმავალი სახით, მის განვითარებაზე დიდ როლს ასრულებდა და დღემდე ასრულებს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება.

უნივერსიტეტის არსებობის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი ემთხვევა საბჭოთა პერიოდს. როდესაც უნივერსიტეტი განსაკუთრებულად განიცდიდა საბჭოთა იდეოლოგიის გავლენას.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცდებით შევისწავლოთ თუ როგორ აისახებოდა XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებულად საინტერესოა თუ როგორ მოქმედებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბჭოთა ათეისტური პოლიტიკის ფლაგმანი ორგანიზაცია – მებრძოლ უღმერთოთა კავშირი.

მიუხედავად იმისა, რომ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის საქმიანობა ქართულ და ევროპულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, არის მთელი რიგი საკითხები, რომელთა შესწავლასაც დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

ჩვენი ნაშრომის მთავარ წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივში არსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ფონდები, ასევე გაზეთი „მებრძოლი უღმერთო“ და უნივერსიტეტის პერიოდული გამოცემები „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“ და „ბოლშევიკური კადრებისათვის“.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის საქმიანობის ძირითადი მახასიათებლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რა მეთოდები ჰქონდა ორგანიზაციას შემუშავებული სტუდენტთა შორის აგიტაცია-პროპაგანდისათვის, როგორ მიმდინარეობდა ეს ყველაფერი.

როგორც საარქივო დოკუმენტები და პრესის მასალები ცხადყოფენ ანტირელიგიურ პროპაგანდას სტუდენტებში დიდი გამოხმაურებები არ ახლდა. ხშირად ისე იყო, რომ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მუშაობა ჩავარდნილი იყო, ამის გამო ამ ორგანიზაციის მესვეურები ცდილობდნენ არსებული ინტელექტუალური ძალების მეშვეობით მაქსიმალურად მოეხდინათ მათ წინაშე არსებული გამოწვევების მოგვარება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მებრძოლ უღმერთოთა კავშირი აგიტაცია-პროპაგანდის მრავალგვარ საშუალებას იყენებდა. იგეგმებოდა საჯარო ლექციები, კონფერენციები, გასვლითი საღამოები.

მიუხედავად იმისა, რომ ათეისტური პოლიტიკა ქვეყნის მასშტაბით ერთიანად მასობრივი იყო შეიძლება ითქვას, რომ ანტირელიგიური მუშაობა უნივერსიტეტში იმ დონეს ვერ აღწევდა, რისი სურვილიც ხელისუფლებას ჰქონდა. სრულიად აშკარაა ისიც, რომ მათ მიერ გავრცელებული პროპაგანდა ნაკლებად მუშაობდა სტუდენტებზე, შედარებით ნაკლები იყო პროფესორის ჩართულობაც სწორედ ამიტომ მებრძოლ უღმერთოთა კავშირი

ხშირად ცდილობდა თავისი ორგანიზაციის წარმომადგენლები უფრო აქტიურად დაეტვირთა აგიტაციის მიმართულებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა მთლიანად ქვეყნის მასშტაბით აქტიური კამპანიური მუშაობა წარმართა ამ თვალსაზრისით გამონაკლისი ბუნებრივია არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქნებოდა, სადაც მათი მუშაობა მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University has a centuries-old history, which is not characterized by a single upward trend, the political situation in the country played a big role in its development and still plays a role.

The longest period in the history of the university's existence coincides with the Soviet period. When the university was particularly affected by the Soviet ideology.

In this paper, we will try to study how the Soviet anti-religious policy was reflected in the Tbilisi State University in the 30s of the XX century.

From the mentioned point of view, it is particularly interesting how the flagship organization of the Soviet atheist policy - The Soviet League of the Militant Godless - operated in Tbilisi State University.

Despite the fact that the activities of The Soviet League of the Militant Godless are quite well studied in Georgian and European historiography, there are a number of issues that should be given great importance to study.

The main sources of our work are the funds of Tbilisi State University and the Union of Fighting Gods in the archive of the recent history of the National Archives of Georgia, as well as the newspaper "Mebdrzoli Ughmerto (Militant atheist)" and the university's periodicals "proletar studentTa xma" (Voice of Proletarian Students) and "bolSevikuri kadrebisaTvis" (For Bolshevik personels).

The aim of the present paper is to study the main characteristics of the activities of the Soviet League of the Militant Godless in Tbilisi

State University. What methods had the organization developed for agitation-propaganda among students, how did it all proceed.

As archival documents and press materials reveal, anti-religious propaganda was not accompanied by great reactions among students. It was often the case that the work of the League of Fighting Gods failed, and because of this, the leaders of this organization tried to use the available intellectual forces to solve the challenges they faced as much as possible.

In Tbilisi State University, the Soviet League of the Militant Godless used various means of agitation-propaganda. Public lectures, conferences, outings were planned.

Despite the fact that the atheistic policy was uniformly mass throughout the country, it can be said that the anti-religious work at the university did not reach the level that the authorities wanted. It is also quite obvious that the propaganda spread by them worked less on the students, and the involvement of the professors was relatively less, that is why the Soviet League of the Militant Godless often tried to push the representatives of their organization more actively in the direction of agitation.

In conclusion, it can be said that the Soviet League of the Militant Godless conducted active campaign work throughout the country, from this point of view Tbilisi State University would not be an exception, where their work was characterized by a number of peculiarities.

**ეროვნული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური  
პოლიტიკის საკითხები საქართველოში**  
**National Term Bank and Issues of Terminological Policy in  
Georgia**

**ლია ქაროსანიძე**  
**Lia Karosanidze**

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,  
თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის  
განყოფილება

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics,  
Department of Translation Dictionaries and Scientific Terminology

**საკვანძო სიტყვები:** ტერმინოლოგია, ტერმინთბანკი,  
ტერმინოლოგიური პოლიტიკა, ქართული ტერმინთბანკი (ქტბ)  
**Keywords:** Terminology, Term Bank, Terminological Policy, Georgian  
Term Bank (GTB)

1977 წელს გამოცემულ ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონს (როგნედა ლამბაშიძისა და რაფიელ დვალის რედაქციით) დღემდე სამაგიდო წიგნს უწოდებენ ახალგაზრდა სპეციალისტებიც კი, ეს კი თავისთავად ორ მნიშვნელოვან ფაქტზე მეტყველებს: ერთი, რომ ძველი თაობის მიერ შექმნილმა ლექსიკონმა თაობები გაზარდა და მეორე: უკვე დიდი ხანია, დროა, ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი განახლდეს და შეივსოს, თუმცა ახალი რედაქცია დღემდე არ გამოცემულა. დღეს უკვე ცხადია, რომ ბოლო წლებში საქართველოში ტერმინოლოგიური მუშაობის შეფერხების მთავარი მიზეზი შეუთანხმებელი მუშაობაა. ტერმინოლოგიური მუშაობის სწორად წარმართვას მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამუშაო გეგმა სჭირდება. საბედნიეროდ, საქართველოს აქვს ყველაფერი, რაც ტერმინოლოგიური პოლიტიკისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია, კერძოდ: ტერმინოლოგიური მუშაობის, ტერმინოლოგიური კვლევების,

ტერმინოლოგიურ სტანდარტებზე მუშაობის, ტერმინოლოგიური მონაცემებისა (ინფრასტრუქტურის) და მართვის გამოცდილება, კვლევითი ინსტიტუტი, ტერმინოლოგიის განყოფილება, ტერმინოლოგიის კრებული, ტერმინოლოგიის ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების გამართვის გამოცდილება, ევროპულ საზოგადოებებთან თანამშრომლობა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, რატომ ფერხდება თანამედროვე ნორმატიული ტერმინოლოგიური ლექსიკონების გამოცემა? აქ თავს იყრის საბჭოთა, პოსტსაბჭოთა და თანამედროვე ტერმინოლოგიური პრობლემები, რომელთა ერთად მოგვარება, ცხადია, ადვილი არ არის, თუმცა კარგად ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიური პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში ადვილად გაიმართება. იუნესკოს მიერ მომზადებული „ტერმინოლოგიური პოლიტიკის სახელმძღვანელოს“ მიხედვით, შეუთანხმებელი მუშაობით გამოწვეული მძიმე შედეგების მოგვარებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი აქვს ეროვნულ ტერმინობანკს.

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი 2014 წლიდან მუშაობს ეროვნულ ტერმინობანკზე, რომელშიც თავს უყრის ინსტიტუტის გრიფით გამოცემულ ბეჭდურ აკადემიურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს და აანალიზებს განსხვავებულ ტერმინებს. ტერმინობანკი შესანიშნავი საშუალებაა ტერმინოლოგიური სიჭრელის გამოსავლენად, ნორმატიული ტერმინების, განმარტებებისა და ქართულ-ინგლისური შესაბამისობების დასადგენად, დარგის სპეციალისტებთან ერთად სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური მასალის შევსება-განახლებაზე სამუშაოდ, ერთი სიტყვით, ახალი დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების მოსამზადებლად, რომელთაც საბოლოოდ სტანდარტულ ტერმინოლოგიად აღიარებს სახელმწიფო.

### **ლიტერატურა:**

ტერმინოლოგიის პოლიტიკის სახელმძღვანელო, პარიზი, 2005, ქართულად თარგმნა ზაალ კიკვიძემ, თბილისი, 2022, [http://www.infoterm.info/pdf/activities/guidelines/TermPolGuidelinesGeorgian\\_2021.pdf](http://www.infoterm.info/pdf/activities/guidelines/TermPolGuidelinesGeorgian_2021.pdf)



**ქაროსანიძე, ლ (2022).** ქართული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური მუშაობის ახალი ეტაპი საქართველოში, მესამე საერთაშორისო კონფერენცია „ტერმინოლოგია - მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“, თბილისი, <https://ice.ge/of/wp-2022.pdf>

A Glossary of Technical Terms, published in 1977 (edited by Gambashidze and Dvali), is still referred to as a handbook even by younger professionals; this is expressive of two significant circumstances: firstly, a glossary, compiled by an older generation of authors, instructed several generations, and, secondly, it is high time to revise and update the book. Today it is already clear that the main reason for the delay in terminological work in Georgia in recent years is non-agreed work. Proper management of terminological work requires a clearly defined work plan. Fortunately, Georgia has everything that is necessary and important for terminological policy, specifically, expertise in terminology work, in terminology studies, in working on terminological standards; expertise in establishing terminological infrastructure, in terminology management; has a research institute, department of terminology, journal of terminology, Experience of holding local and international conferences, has cooperation with European associations.

Despite all this, why is the publication of up-to-date normative terminological dictionaries delayed? Soviet, post-Soviet and modern terminological problems collide here, which are obviously not easy to solve together, however, if a well-formed terminological policy is implemented, terminological work will easily take place in Georgia. According to the “Terminology Policy Guide” prepared by UNESCO, the National TermBank has one of the decisive roles in solving the severe consequences caused by non-agreed work.

Since 2014, the TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics has been working on the Georgian Term Bank (GTB), in which it collects printed academic terminological dictionaries published by the Institute and analyzes different terms. TermBank is an excellent tool to identify terminological gaps, to determine normative terms, definitions and Georgian-English correspondences, to work on filling and

updating the terminological material of various fields together with specialists, in a word, to prepare new terminological dictionaries, which will be finally approved by the state as standard terminology.

**References:**

Guidelines for terminology policies (2005) <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000140765>

**Karosanidze, L (2022)** - The Georgian Term Bank and a New Stage of Terminology Work in Georgia, III International Conference Terminology – Heritage and Modernity, Tbilisi, <https://ice.ge/of/wp-2022.pdf>

**ბერტრანდონ დე ლა ბროკიერი – XV საუკუნის  
ჯვაროსნული ლაშქრობის პროპაგანდისტი და კურიერი  
Bertrandon de la Broquière – Propagandist and Currier of the  
XV Century Crusade Idea**

**თეა ქარჩავა  
Tea Karchava**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (მიმართულება: ისტორია)  
Faculty of Humanities (Direction: History)

**საკვანძო სიტყვები:** ჯვაროსნული ლაშქრობის იდეა, ანტი-  
ოსმალური კავშირები, თვითმხილველის ჩანაწერები, ქართულ-  
ევროპული კონტაქტები

**Keywords:** Crusade Idea, Anti-Ottoman Unities, Notifications of  
Eyewitness, European-Georgian Contacts

XV საუკუნის 20-50-იან წლებში დასავლეთ ევროპაში ყველაზე აქტიურად ჯვაროსნული იდეის კულტივირებაზე, თუ პაპებს არ ჩავთვლით, ბურგუნდიის ჰერცოგის, ფილიპე კეთილის კარი იყო დაინტერესებული. შემთხვევითი არაა, რომ 1459 წელს საქართველოდან და ტრაპიზონიდან დასავლეთ ევროპაში გაბრუნებულ ლუდოვიკო ბოლონიელსა და მის მეგობრებს ქართველი მეფე-მთავრების წერილები პაპთან და ბურგუნდიის ჰერცოგთან მიჰქონდათ.

1420-იანი წლების დამდეგს ჰენრი V ლანკასტერის კურიერის (რომელიც, სწორედ ფილიპე კეთილის კარისკაცი იყო), ჟილბერტ ლენოის მოგზაურობიდან ათიოდე წლის შემდეგ, ბურგუნდიიდან კვლავაც მიემართება აღმოსავლეთში კურიერი – ბერტრანდონ დე ლა ბროკიერი სპეციალური მისიით. მისი მოგზაურობაც მიზნად ისახავდა სამხედრო წამოწყების ლიდერს – ვინც

იერუსალიმის ალებასა და ზღვის გადაღმა ჯარების გაძღოლას მოინდომებდა, სცოდნოდა ყველა ქალაქისა და არსებითი გეოგრაფიული ობიექტების მნიშვნელობა, სადაც კი მოუწევდა გზად მისვლა.

აშკარაა, იმისგან დამოუკიდებლად, იქნებოდა ინგლისის მეფის მოკავშირე თუ არა, ბურგონის ჰერცოგი კვლავაც ცდილობდა შეექმნა დაზვერვითი ინფორმაციის შემცველი რეპორტების ნაკრები, რომელიც გამოდგებოდა სამომავლო ჯვაროსნული ლაშქრობისთვის. შესაბამისად, მან ბროკიერს დაავალა მოეკვლია თურქული მიწები, რომლის მონახულებაც ათიოდე წლის წინ ლენოიმ ვერ შეძლო იქ გაჩაღებული სამოქალაქო ომის გამო.

ვენეციიდან საზღვაო გზით იაფაში ჩასულ აგენტს „წმინდა მიწაზე“ გადაადგილებისა და, განსაკუთრებით, იერუსალიმის მონახულებისას, რიგით პილიგრიმად მოჰქონდა თავი. სალოცავებისა და პორტების მისეული აღწერილობები ნაკლებ დეტალიზებულია ვიდრე მისი წინამორბედისა. სამაგიეროდ, ის არის გულმოდგინე დამკვირვებელი გზების, ადგილების აღწერილობის, ადამიანების სახელების, სახეების, ჩაცმულობისა და ფიზიკური თუ ქცევითი მახასიათებლების ჩათვლით.

ალტერნატივების ძიებამ მოგზაურს გადააწყვეტინა, რომ უკან გზაზე ბეირუთიდან სახმელეთო გზით ემგზავრა დამასკოდან ქარავნით ალექსომდე, იქიდან ტავრის მთები გადმოეღობა და ანატოლიის ზეგანის გადმოსერვის შედეგად ჩამოსულიყო კონსტანტინოპოლში. ეს მარშრუტი გვარწმუნებს, რომ მან ის სივრცეები და გზები აითვისა, რომელიც ნაკლებად იყო ცნობილი ევროპელებისთვის და რის გავლის საშუალება არ ჰქონდა მის წინამორბედს.

რადგან ბროკიერი ერთ-ერთი გულმხურვალე დასავლეთ-ევროპელი მმართველის კურიერი იყო, მას საშუალება ჰქონდა კონსტანტინოპოლი კარგად ენახა, აუდიენცია ჰქონოდა იმპერატორთან და ბიზანტიურ მაღალ საზოგადოებაშიც მარტივად ინტეგრირებულიყო, რაც მისეულ აღწერას ძალიან ცოცხალსა და საინტერესოს ხდის. მისი დასკვნა თურქების სამხედრო პოტენციალზე, იმაზე, რომ მათთან ბრძოლა მარტივი არ იქნებოდა, დაემთხვა ლენოის მოსაზრებას.

კონსტანტინოპოლიდან უკან დაბრუნებისას მან ბალკანეთის, უნგრეთის და გერმანიის მიწები გაიარა, რამაც საინტერესო ინფორმაციის მოგროვების საშუალება მისცა ალტერნატიულ გზებზე, აღმოსავლეთ ევროპის ხალხების სამხედრო პოტენციალსა თუ ბრძოლის სტილსა და მეთოდებზე, ვინაიდან წინამორბედისგან განსხვავებულად გადაადგილდა ევროპის კონტინენტზეც.

დაკვირვებული და უნარიანი მზვერავის რეპორტის შედეგად ფილიპე კეთილს მიეცა საშუალება ხელთ ჰქონოდა გამდიდრებული ინფორმაცია ოსმალების კონტროლქვეშ და მიღმა მყოფი მუსლიმური მიწების, მცხოვრებლების ყოფითი თავისებურებებისა და სამხედრო მონაცემების, ასევე პოტენციური მოკავშირეების შესახებ. ამიტომაც, ბროკიერის ცნობები არა მხოლოდ მე-15 საუკუნის ევროპა-ოტომანების ურთიერთობების რეკონსტრუქციისთვის, არამედ, ქართული სამეფოების საგარეო ვექტორის რეტროსპექტიულად შესწავლისთვის არაპირდაპირი, თუმცა მნიშვნელოვანი წყაროა.

### **ლიტერატურა:**

**თამარაშვილი მ. (1902; რეპრინტი: 2011)** ისტორია კათოლიკობისა

ქართველთა შორის, თბილისი, სიესტა;

**Brotton J. (2002)** The Renaissance Bazaar - From Silk Road to

Michelangelo, Oxford: Oxford University Press;

**Wade Lanarge, M. (2005)** Medieval Travelers, The Rich and Restless,

London: Phoenix;

**Васильев А. (2013)** Слава Византийской Империи, Москва, Алгоритм;

**Кардини Ф. (2007)** Европа и Ислам – История Непонимания, Санкт-

Петербург, ALEXANDRIA.

In the 20s-50s of the 15th century, if we do not count the Holy See, the Duke of Burgundy, Philip the Good was the person who cultivated the Crusading Idea most actively in Western Europe; It is no coincidence that in 1459 Ludovico da Bologna and his companions returning from Georgia and Trabzon to Western Europe, brought the letters of the Georgian kings to the Pope and the Duke of Burgundy.

In the late 1420s, ten years after the journey of Guillebert de Lannoy, the courier of Henry V of Lancaster (who was the courtier of Philip the Good), the other courier, Bertrandon de la Broquière continues heading to the East from Burgundy on a special mission. His journey was also intended for the leader of a military enterprise – one who wanted to regain Jerusalem and lead his armies across the sea, knowing the importance of all the cities and its important geographical features he had to pass along the way.

Obviously, regardless of whether he was an ally of the King of England or not, the Duke of Burgundy was still trying to create a collection of intelligence reports that would be useful for a future crusade. Accordingly, he commissioned Broquière to explore the Turkish lands, which Lannoy had been unable to visit decade earlier due to the civil war raging there.

After arriving in Jaffa by sea from Venice, the agent while traveling to the “Holy Land” and, especially, visiting Jerusalem, presented himself as an ordinary pilgrim. His descriptions of shrines and ports are less detailed than those of his predecessor. Instead, he is a keen observer of roads, descriptions of places, including people’s names, faces, clothing, and physical or behavioral characteristics.

Searching for the alternatives, the traveler decided to travel back from Beirut by land route from Damascus to Aleppo with a caravan, from there he crossed the Taurus Mountains and landed in Constantinople as a result of crossing over the Anatolian plateau. This route assures us that he mastered the spaces and roads that were less known to Europeans and that his predecessor did not have the opportunity to pass.

As Broquière was the courier of one of the zealous Western European rulers, he had the opportunity to visit Constantinople well, to have an audience with the emperor and to easily integrate into the Byzantine high society, which makes his description very lively and interesting. His conclusion about the military potential of the Turks, that it would not be easy to fight with them, coincided with Lannoy’s opinion.

On his way back from Constantinople, he passed through the lands of the Balkans, Hungary and Germany, which allowed him to

collect interesting information about alternative routes, the military potential of the peoples of Eastern Europe, and the style and methods of fighting, since he also travelled on the European continent in a different way from his predecessor.

As a result of the report of an observant and capable scout, Philip the Good had the opportunity to have at hand enriched information about the Muslim lands under and beyond the control of the Ottomans, the characteristics of the inhabitants and military data, as well as potential allies. Therefore, Broquière's reports are an indirect, but valuable source, not only for the reconstruction of the European-Ottoman relations of the 15th century, but also for the retrospective study of the foreign vector of the Georgian kingdoms.

#### **References:**

- Tamarashvili M. (1902, reprint 2011)** *Istoria Katolikobisa Kartvelta shoris* [History of Catholicism among Georgians], Tbilisi: 'Siesta';
- Brotton J. (2002)** *The Renaissance Bazaar - From Silk Road to Michelangelo*, Oxford: Oxford University Press;
- Wade Lanarge, M. (2005)** *Medieval Travelers, The Rich and Restless*, London: Phoenix;
- Васильев А. (2013)** *Слава Византийской Империи*, Москва: Алгоритм;
- Cardini F. (2007)** *Europa E Islam – Storia di un Malinteso* (in Russian), Saint Petersburg: ALEXANDRIA.

**ქვენყობილი წინადადების რომელ ნაწილს უნდა  
მივაკუთვნოთ მიმართვა?  
To Which Part of the Complex Sentence Does the Address  
Pertain?**

**რამაზ ქურდაძე  
Ramaz Kurdadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, ქვენყობილი  
წინადადება, მთავარი წინადადება, დამოკიდებული  
წინადადება, მიმართვა

**Keywords:** Hypotactic Construction, Main Clauses, Subordinate  
Clauses, Address

როგორც ცნობილია, განკერძოებულ სიტყვას ან სიტყვა-  
თა შეკავშირებას, რომელიც აღნიშნავს მისამართ პირს და გა-  
დმოიცემა წოდებით ბრუნვაში დასმული სახელით, მიმართვა  
ენოდება. მიმართვა არ არის დაკავშირებული სინტაქსურად  
წინადადების რომელიმე წევრთან; ის შეიძლება შედიოდეს წი-  
ნადადების შემადგენლობაში: „შენ იცნობ კარგად, სოლომან,  
ჩემს გულს“, მაგრამ შეიძლება ზოგჯერ ცალკეც იდგეს: „ - თამრო!  
. . - შევკვივლე მე კანკალით და თრთოლით“. სპეციალური ლი-  
ტერატურიდან ისიც ცნობილია, რომ რთულ ქვენყობილ წინა-  
დადებაში მიმართვა ჩვეულებრივ მთავარსა და დამოკიდებულ  
წინადადებათა შუაშია: „მიგიხვდი, ჩემო მოხვევე, რა ნესტრითა  
ხარ ნაჩხვლეთი“; „იცით, ძმებო, რა მოვიგონე?“. . . (კვაჭაძე, 1977,  
გვ. 285; გვ.293).

მიმართვის მქონე რთული ქვენყობილი წინადადების მთა-  
ვარ და დამოკიდებულ წინადადებაებზე დაშლის შემთხვევაში  
ჩნდება კითხვები:



ა. რომელი წინადადების შემადგენლობაში შევიტანოთ მიმართვა, მთავრის თუ დამოკიდებულის?

ბ. ხომ არ უნდა მივიჩნიოთ ის დამოუკიდებელ, ცალკე მდგომ ერთეულად და არა მთავარ წინადადებაში შემავალი რომელიმე წინადადების ნაწილად?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მოხსენებაში განხილულია ქართული ანდაზის ჰიპოტაქსური კონსტრუქციები და გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენელ ნაწილებად დაშლისას მიმართვა უნდა მივიჩნიოთ იმ წინადადების შემადგენელ ნაწილად, რომლის შემასმენელთანაც ან მთლიანად წინადადებასთან არის მისამართი პირი შინაარსობრივად დაკავშირებული. ასეთია მთავარი წინადადება, რადგან მისამართი პირი ლოგიკურად მთავარ წინადადებას მიემართება.<sup>1</sup>

### **ლიტერატურა:**

**კვაჭაძე, ლ. (1988).** თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი: „განათლება“, ISBN 5-505-00209-9

It is widely known that a separate word or word combination denoting the addressed person and expressed by a noun in the vocative case is termed as address. The address is not syntactically linked to any member of the sentence. It may form part of the sentence: შენ იცნობ კარგად, სოლომან, ჩემს გულს shen k'argad itsnob, soloman, chems guls "Soloman, you know very well what my heart is like" or stand separately from the sentence: – თამრო!.. – შევკივლე მე კანკალით და თრთოლით tamro!.. shevk'ivle me k'an'alit da trtolit "– Tamro!.. – I screamed trembling and shaking". We know from scholarly literature that in a complex sentence the address is usually placed between the main and subordinate clauses: მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი migikhvdi, chemo

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ და ფინანსებული პროექტის: „ინფორმაციული სტრუქტურა და ქართველურ ენათა ჰიპოტაქსური მოდელები“, FR-21-352 ფარგლებში.

mokhevev, ra nest'rita khar nachkhvlet'i "I understand, my Mokhebian man, what ails you"; იცნო, ძმებო, რა მთავიგონებე? itsit, dzmebo, ra movigone? "Do you know, brothers, what idea has occurred to me?". . . (Kvachadze, 1977, p. 285; p.293).

If we divide the complex sentences containing a form of address into main and subordinate clauses, we have to answer the following questions:

a. Which clause does the address pertain to, the main one or the subordinate one?

b. Should we consider the address as an independent, separate unit and not as part of a certain clause?

The paper is an attempt to answer the above-mentioned questions. For this purpose, the hypotactic constructions of Georgian proverbs are analyzed. Research has proved that address should be considered as part of the sentence to the predicate or entire clause of which the addressed person is related based on the content of the sentence. As the addressed person is logically related to the main clause, we should consider the address as part of the main clause.<sup>1</sup>

### **References:**

Kvachadze, L. (1988). *Syntax of the Contemporary Georgian Language*, Tbilisi: Publishing House "GANATLEBA", ISBN 5-505-00209-9

---

1 The paper has been implemented within the framework of a project "Information Structure and the Hypotactic Patterns of Kartvelian Languages", FR-21-352, financed by Shota Rustaveli National Science Foundation.

**სულხან-საბა ორბელიანის  
ლექსიკოგრაფიულ-მეთოდოლოგიური არჩევანის გამო  
(რწმენისა და ცოდნის გაერთიანების წესი)  
On the Lexicographic-methodological Choice of Sulkhan-Saba  
Orbeliani  
(The Rule of Unifying Faith and Knowledge)**

**მედეა ღლონტი  
Medea Ghlonti**

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Arnold Chikobava Institute of Linguistics at TSU

**საკვანძო სიტყვები:** ლექსიკოლოგია, ქრისტიანული  
ეგზეგეტიკა, რწმენა და ცოდნა  
**Keywords:** Lexicology, Christian Exegesis, Faith and Knowledge

მოხსენებაში განიხილება კონკრეტული საკითხი: რწმენისა და ცოდნის გაერთიანების საუკუნოვანი წესი, ვითარცა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიული ნაშრომის – „ლექსიკონი ქართულის“ უმთავრესი მეთოდოლოგიური მასაზრდოებელი.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონზე მუშაობისას, როგორც წესი, ხელმძღვანელობდა წმიდა წერილითა და ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურით, საიდანაც მარგალიტებივით იხმობდა გამორჩეულ ნიმუშებს ქართული სიტყვის ამომწურავი განმარტებისათვის.

თუმცა საგულსხმოდ მრავლისმთქმელია ის მეთოდოლოგიური წესი, რომლის მეშვეობით, სალექსიკონო ერთეულისა თუ შესიტყვების განმარტებასთან ერთად, დიდი ქართველი ლექსიკოგრაფი გვანჯდის როგორც არაერთ კონკრეტულ-საგნობრივ ლექსიკოლოგიურ მონაცემს, ისე საკუთარ ფასდაუდებელ დაკვირვებასა და მიმოხილვას, როგორებიცაა:

1. წმინდა ლინგვისტურ-ფილოლოგიური მონაცემები: ფონეტიკურ-ფონოლოგიური, მორფოლოგიური, ფუნქციურ-სემანტიკურ-

რი, სიტყვანარმოებითი, ეტიმოლოგიური, სინონიმიკური, ანტონიმურ-ომონიმური, პარადიგმული (ბუდობრივი)...

II. ექსტრალინგვისტური მონაცემები: ისტორიულ-ეთნოგრაფიული, სოციალურ-ყოფითი და მისთ. ასპექტები; ნასესხობისა და კალკის წარმომავლობის მითითება – მათი ქართულენობრივი შესატყვისითა და შესაბამისი თანმხლები რეკომენდაციებით...

III. საკუთრივ საღვთისმეტყველო თარგმანებითი (ეგზეგეტიკური) მონაცემები: კონკრეტული წყაროს მითითებით წმიდა წერილიდან და სხვადასხვა ჟანრის საეკლესიო ლიტერატურიდან (ხშირად, შესაბამისი თავისა თუ ნაწილის მითითებით), რასაც უაღრესად ნიშანდობლივად ერწყმის რწმენისა და ცოდნის მრჩობლად გაერთიანების საუკუნოვანი წესით (II-III სს.) დაზუსტებული სულხან-საბასეული ახსნა-განმარტებანი.

წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ჩამონათვალიდან უპირატესობა ენიჭება – მესამეს, ვითარცა სულხან-საბასეული ლექსიკოგრაფიული მიზანდასახულობის მამოძრავებელ ძალას: ქართული სიტყვის გულმოდგინე მაძიებელს სარწმუნო მონაცემები უნდა მიეწოდოს.

ამ თვალსაზრისით, „ლექსიკონი ქართულში“ უხვად აღბეჭდილ სალექსიკონო ერთეულთაგან მოხსენებაში გავიხილავთ რამდენიმეს (შური, წყალობა და მწუხარება; ნება, წადიერება, წინა-აღრჩევა და ჯერ-ჩინება; მცნება და წურთა), – იმის წარმოსაჩენად, თუ როგორ გვიძღვის ხსენებული საუკუნოვანი წესით მომარჯვებული ჩვენი დიდებული ლექსიკოგრაფი ქართული სიტყვის როგორც თავდაპირველი, ისე ქრისტე-შემოსილი შინაარსისა და დანიშნულებისკენ.

### **ლიტერატურა:**

**აბულაძე, ი. (1973).** ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი: „გამომცემლობამეცნიერება“

**ორბელიანი, ს.-ს. (1991-1993).** ლექსიკონი ქართული, ტტ. I-II, თბილისი: „მერანი“

**ღლონტი, მ. (2017).** რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპისათვის (სიტყვა-ლოგოსი და სიტყვა-კაცობრივი), ქართულ-ამე-

რიკული უნივერსიტეტი, „ენა და კულტურა“, II, 155-166, თბილისი:  
„გამომცემლობა მერიდიანი“

The paper deals with a specific issue: the ancient rule of unifying faith and knowledge, as the most important methodological foundation of Sulkhan-Saba Orbeliani's lexicographic work "Georgian Dictionary".

Sulkhan-Saba Orbeliani while working on his dictionary was usually guided by the Holy Scriptures and Christian theological literature, from which he collected outstanding examples like pearls for an exhaustive definition of Georgian words.

However, the methodological rule used by the great Georgian lexicographer is eloquent, through which he provides us with a number of certain lexicological data, as well as his own invaluable observations and reviews along with the definition of a dictionary entry or a phrase:

I. Pure linguistic-philological data: phonetic-phonological, morphological, functional-semantic, word-forming, etymological, synonymous, antonymous-homonymous, paradigmatic, etc.

II. Extralinguistic data: historical-ethnographic, socio-existential and similar aspects; Indication of the origin of borrowing and calque – with their Georgian equivalents and corresponding accompanying recommendations...

III. Theological translation (exegetical) data: referring to the specific source from the Bible and church literature of various genres (often referring to the relevant chapter or part), which is combined in a very significant way with Sulkhan-Saba's explanations and definitions clarified by the century-old rule of uniting faith and knowledge (II-III centuries).

From the presented methodological list, therefore, preference is given to the third one as a driving force of Sulkhan-Saba's lexicographic purposefulness: the diligent searcher of the Georgian word should take the reliable data.

From this point of view, in the paper we discuss several dictionary entries from "Georgian Dictionary" (shuri "envy", tsqaloba "mercy" and mtsukhareba "sorrow"; neba "will", tsadiereba "want", tsina-aghrche-

va “to choose beforehand” and jer-chineba “guess”; mtsneba “commandment” and tsurta) in order to show how a great lexicographer equipped with the mentioned ancient rule guides us to both the original and Christian meaning and purpose of the Georgian word.

**References:**

- Abuladze, I. (1973).** Dzveli kartuli enis leksikoni (masalebi). [Old georgian dictionary (materials)]. Tbilisi: publishing house “Metsniereba”
- Orbeliani, S.S. (1991-1993).** Leksikoni kartuli. [Dictionary of the georgian language, vol. I-II]. Tbilisi: publishing house “Merani”
- Ghlonti, M. (2017).** Rtsmenisa da tsodnis gaertianebis printsipisatvis (sitqva-logosi da sitqva-katsobrivi). [About the principle of uniting faith and knowledge (word-logos and word-human)]. Georgian-american university, “Language and culture”, v. II, 155-166, Tbilisi: editing house “Meridiani”

**„რუსობისაგან მოტანილი საქმე“ – ლადო კოტეტიშვილის  
მოთხრობა „გველტუჩა“  
“Undertakings Brought from Russia” – Lado Kotetishvili’s  
Short  
Story Gveltucha**

**თამარ შარაბიძე  
Tamar Sharabidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ივანე ჯავახიშვილი, სასულიერო და  
სამოქალაქო მწერლობა, ტერმინოლოგია, ჟანრი, თხრობის  
სტილი

**Keywords:** Ivane Javakhishvili, Sacred and Civic Writing, Terminology,  
Genre, Narrative Style

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთი უცნაური ფაქტი მოხდა – მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი, რომელიც სულ მალე ქართველ კლასიკოსთა რიგებში დაიკავებს თავის ღირსეულ ადგილს, 21-ე საუკუნეში, სულ რამდენიმე წლის წინ, გახდა ქართული მკითხველისათვის ცნობილი. მისი შემოქმედება სრულად არ არის დაბეჭდილი. მწერლის ახლობელთა წრე ჯერაც მის ხელნაწერებს კითხულობს და გამოსაქვეყნებლად ამზადებს. ლადო კოტეტიშვილს, რომლის შემოქმედება მე-20 საუკუნის 30-იან წლებში იქმნება და უმთავრესად მოდერნისტულია, სიკვდილის წინ მეუღლისათვის დაუბარებია, არასდროს არ გამოექვეყნებინა. მისი სურვილი მეუღლემ და შვილებმა შეასრულეს, მაგრამ საბოლოოდ შვილიშვილთა თაობამ ჩათვალა, რომ ბაბუის ხსოვნისთვის საჭირო ოყო ლადო კოტეტიშვილის ნაწერების გამოცემა. გამოსმაურებამ მათ მოლოდინს გადააჭა-

რბა. ლადო კოტეტიშვილის შემოქმედება მრავალ მკვლევარს მიიზიდავს და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოშიც მწერალი აუცილებლად მოხვდება თავისი განსაკუთრებული სტილისა და მსოფლხედვის გამო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლადო კოტეტიშვილის ნაწარმოებები მოდერნისტულ ლიტერატურულ მიმართულებას მიეკუთვნება, მაგრამ მწერალს ასევე თავისუფლად შეუძლია სათქმელის რეალისტური გადმოცემაც. კოტეტიშვილის რეალისტური მოთხრობაა „გველტუჩა“, მთავარი პერსონაჟი გველტუჩა კი ძალიან ჰგავს ყაზბეგის პერსონაჟებს. ჰგავს იმით, რომ მოხევეა, მოხევეური მეტყველებითა და მოხევეური გულწრფელი ხასიათით, თუმცა „რუსობისაგან მოტანილი საქმის“ თაყვანისცემით, ბოლშევიზმის იდეოლოგიისადმი ბრმა სიმპათიითა და მორილებით ის რენეგატი ხდება.

მოთხრობის თემაა ქვეყანაში ბოლშევიზმის იდეოლოგიის შემოჭრა, მოქმედების არეალი განისაზღვრება საქართველოს სასაზღვრო კუთხეში შექმნილი მდგომარეობის აღწერით, რომელსაც მკითხველი მთელ საქართველოზე განაზოგადებს; დრამის საფუძველი ადამიანის გაორებაა, „ძმობისა და თანასწორობის“ ნიღბით შემოსული იდეოლოგიის გამარჯვება, რომელიც ადამიანს მორალურად ანგრევს, მკვლელად, მოღალატედ და ერთგულ მონად აქცევს. მოთხრობის სტილი რეალისტურია, მასში არ გვხვდება მოდერნიზმისათვის დამახასიათებელი არცერთი ნიშანი, რაც იმას მოწმობს, რომ მწერალს აქვს შესაძლებლობა, წეროს ერთდროულად სხვადასხვა სტილში, მოექცეს სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებაში იმის გათვალისწინებით, თუ როგორ სურს სათქმელის გამოხატვა და მაინც ყველა ნაწარმოებში შეინარჩუნოს თავისი განსაკუთრებული, ინდივიდუალური სტილი, რაც უპირველესად ლადო კოტეტიშვილის მხატვრულ ლექსიკასა და ცხოვრებისეული საკითხების ერთნაირ აღქმაში მჟღავნდება. ლადო კოტეტიშვილი რეალისტურ სტილზე იმიტომ არ გადასულა, რომ საქართველოში მოდერნისტული ლიტერატურის მიმართ „სალიკვიდაციო სამუშაოები“ ჩატარდა (რომლებიც სტალინურ რეპრესიებზე ადრე დაიწყო) და მთელმა რიგმა მოდერნისტულმა ჯგუფებმა თვითლიკვიდაცია გამო-



აცხადეს, არა, პარალელურად ის აგრძელებს მოდერნისტული ლიტერატურის შექმნას. ეს ხდება ერთსა და იმავე წლებში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზემოთხსენებული ლიკვიდაციის მიუხედავად, საქართველოში დარჩა მოდერნიზმი იატაკქვეშ, ევროპულ მოდერნიზმზე ადრე არც ის შეწყვეტილა, და მისი წარმომადგენელი ლადო კოტეტიშვილი იყო.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ლადო კოტეტიშვილს თავისი ნაწარმოებები არ დაუბეჭდავს. რა თქმა უნდა, ის წერს სავარაუდო მკითხველისათვის, მაგრამ მასში არ მოიაზრებს თავისი დროის ფართო მკითხველს, ამიტომაც არც ერთ ნაწარმოებში არ ინიღბება და არ სჭირდება „მინასთან (ხელოვნური) დაბრუნება“. მოთხრობა „გველტურა“ იმათაც არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს გასაბჭოებიდან, რომელიც მოთხრობის თემაა, რამდენიმე წელშია დაწერილი და თანაც არა გამოსაქვეყნებლად, ამიტომ მასში აღწერილი სრულ შესაბამისობაშია სინამდვილესთან და მასთან დაკავშირებულ მწერლის ხედვასთან.

### **ლიტერატურა:**

**კოტეტიშვილი ლ. (2021).** „გველიანდარის მოდგმა“, თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“

A strange fact has taken place in the history of Georgian literature - one of the best writers of the 20th century, who will soon take his rightful place among Georgian classics, became known to Georgian readers only in the 21st century, just a few years ago. His works have not been published in full yet. Relatives of the writer are still reading his manuscripts and preparing them for publication. Lado Kotetishvili, whose works were created in the 30s of the 20th century and which are mainly modernist, told his wife before his death never to publish them. His wife and children fulfilled his wish, but in the end, the generation of grandchildren considered it necessary to publish the writings of Lado Kotetishvili in memory of their grandfather. The response exceeded their expectations. Lado Kotetishvili's works will attract many

researchers and the writer will definitely be included in the textbook of the history of new Georgian literature because of his special style and worldviews.

As mentioned above, Lado Kotetishvili's works belong to the modernist literary direction, but the writer is also able to convey what he has to say realistically. Kotetishvili's realistic story is *Gveltucha*; and the main character *Gveltucha* is very similar to the characters created by Alexander Kazbegi. He is similar because he is a *Mokheve* (resident of one of Georgia's mountain regions), with a *Mokhevia*n speech and a *Mokhevia*n sincere character; however he becomes a renegade due to his worship of the "undertakings brought from Russia", with blind sympathy and respect for the ideology of Bolshevism.

The theme of the short story is the intrusion of the Bolshevism ideology in the country. The scope of action is determined by the description of the situation created in the border region of Georgia, which readers generalize to the whole of Georgia; the basis of the drama is the double personality, the victory of the ideology that came masked behind "brotherhood and equality", morally destroying the person, turning him into a murderer, a traitor and an obedient slave. The style of the short story is realistic, there are no signs characteristic of modernism in it, which proves that the writer has the ability to write in different styles at the same time, to work in different literary directions, taking into account how he wants to express what he has to say; and yet in every work he maintains his special, individual style, which, primarily is revealed in the fiction vocabulary and same perception of life issues by Lado Kotetishvili. Lado Kotetishvili did not switch to realistic style because "liquidation works" were executed against modernist literature in Georgia (started before the Stalinist repressions) and when a number of modernist groups announced self-liquidation; no, in parallel, he continued creating modernist literature. It happened during the same years. It is also noteworthy that, despite the above-mentioned liquidation, modernism remained underground in Georgia; it did not stop before European modernism and its representative was Lado Kotetishvili.

Another circumstance should also be considered: Lado Kotetishvili did not publish his works. Of course, he writes for the intended reader, but he does not consider the general reader of his time, that is why he does not disguise himself in any of his works and does not need to “(artificially) return to the land.” Short story Gveltucha is also important due to the fact that it was written several years after the Sovietization of Georgia, which is the subject of the story; and not for publication. Therefore, what is described in it is in full accordance with the reality and the author’s vision related to it.

**References:**

**Kotetishvili L. (2021).** „Gveliandaris modgma“. Tbilisi: Publishing House “Ganatileba”

**კულტურული ნიმუშის ძიებაში: 1991-1992 წლების  
სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერება  
საქართველოში**  
**Searching for the Cultural Pattern: Memory of the Civil  
Confrontation of 1991-1992 in Georgia**

**ნინო ჩიქოვანი**  
**Nino Chikovani**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** კულტურული ნიმუში, სამოქალაქო  
დაპირისპირება, კოლექტიური მეხსიერება,  
კულტურული ტრავმა

**Keywords:** Cultural Pattern, Civil Confrontation, Collective Memory,  
Cultural Trauma

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესს, დამოუკიდებლობის აღდგენას და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რადიკალურ ცვლილებას თან ახლდა არაერთი მოულოდნელი და მტკივნეული მოვლენა. ზოგიერთი მსხვერპლიანი და ტრაგიკული ფაქტი კოლექტიურ/კულტურულ ტრავმად ჩამოყალიბდა და, ტკივილთან ერთად, ტრიუმფის განცდა დაბადა, ზოგიერთმა კი სირცხვილისა თუ დანაშაულის გრძნობა და მისი დავიწყების სურვილი.

ნაშრომში შესწავლილია 1991-1992 წლების მიჯნაზე მიმდინარე თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება, როგორც მოვლენები, რომელთათვის მნიშვნელობის მინიჭება, კონსენსუსზე დამყარებული ტრავმული ნარატივის შექმნა და კულტურულ მეხსიერებაში ადგილის მიჩენა ვერ მოხერხდა.

კვლევის მიზანია გავარკვიოთ, რამ შეუშალა ხელი თბილისის ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერების მკაფიო კონსტრუირებას. ამისთვის, შინაარსობრივი ანალიზის მეთოდით, შესწავლილია დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლების მოგონებები და ინტერვიუები, ხელისუფლების მიერ სხვადასხვა დროს მიღებული დადგენილებები და გადაწყვეტილებები, ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალა.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის თეორიები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ საკვლევი მოვლენები როგორც კულტურული კონსტრუქციები, რომლებიც განისაზღვრება კულტურაში კოდირებულ მნიშვნელობათა ფარგლებში. საკვლევი საკითხის გააზრებისათვის ამოსავალია კულტურული ნიმუშის ცნება. ალეიდა ასმანის განმარტებით, ეს არის ამა თუ იმ ერთობის მეხსიერებაში ღრმად ფესვგადგმული ხატები, რომლებიც ამ ერთობის წევრებს აძლევს მოვლენების აღქმის, მათთან დაკავშირებული ემოციების განსაზღვრის, მნიშვნელობის მინიჭებისა და იდენტობის შენარჩუნების საშუალებას რადიკალური, მოულოდნელი და მკვეთრი ცვლილებების ვითარებაში. კულტურული ნიმუშის ცნება დაგვეხმარა ქართულ საზოგადოების ცნობიერებაში კოდირებული ხატების იდენტიფიცირებაში.

კვლევამ აჩვენა, რომ ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა ფრთას შორის დაპირისპირების დროს, შემდეგ კი – დაწყებული სამოქალაქო კონფრონტაციის პირობებში არაერთხელ წამოტივტივდა ბაზალეთის ძმათამკვლელი ომის კულტურული ნიმუში, თუმცა იგი ერთნაირად მიუღებელი აღმოჩნდა მოწინააღმდეგე მხარეებისათვის. ამიტომ თბილისის ომი და მომდევნო სამოქალაქო დაპირისპირება იქცა რთულ წარსულად, რომელიც დავინწყებას არ ეძლევა, მაგრამ რომლის გახსენება საამაყო არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ნეგატიური ისტორიული ხატიც შეიძლება გამოყენებული იყოს მოვლენის მნიშვნელობის ხაზგასმისათვის, ბაზალეთის ბრძოლა ვერ იქცა იმ კულტურულ ნიმუშად, რომელიც ახალი ტრავმის განსაზღვრას და ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. შესაბამისად, ვერც საზიარო (თუნდაც წინააღმდეგობრივი) მეხსიერების ჩამოყალიბება

მოხერხდა და დასახელებული მოვლენები დარჩა ურთიერთდაპირისპირებულ, ზოგჯერ კი შეურიგებელ ჯგუფებად დაყოფის წყაროდ.<sup>1</sup>

**ლიტერატურა:**

**გიომევილი, გ., არქანია, გ. და ბუცხრიკიძე, გ. (ავტორ-შემდგენლები).**

**(2021).** ეროვნული ხელისუფლების 419 დღე. მეორე რესპუბლიკის ყოველდღიური მათიანე. ნაწილი I, 1990 წლის ნოემბერი-1991 წლის იანვარი, თბილისი: „არტანუჯი“

**ვაჩნაძე, ნ., თომაძე, ნ. (2018).** დამარცხებული საქართველო (1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები თბილისში), ნაწილი I. თბილისი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ეროვნული თანხმობის ხელშემწყობი დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14 აპრილი, 1998, <https://bit.ly/31H0FJS>

The collapse of the Soviet Union, restoration of independence and radical changes in the social, economic and political systems marked a period of painful and unexpected developments in Georgia. Some tragic events were formed as collective/cultural trauma and gave rise to both pain and the sense of victory, while some other ones aroused the feeling of shame and crime as well as a desire to forget them.

The study aims to find out the reasons which prevented clear construction of the memory of Tbilisi War and civil confrontation. They are examined as events that were not ascribed appropriate meanings; a consensus-based traumatic narrative was not formed, and the occurrence did not find a place in the cultural memory. The method of content analysis is used for comprehending empirical materials.

Theories of collective memory and cultural trauma form the theoretical basis of the research. The notion of cultural patterns is a central concept for understanding the traumatic events that are analyzed

---

1 კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

in our study. It enables me to identify images encoded in the consciousness of the Georgian society.

The study reveals that during the confrontation between different wings of the national movement, as well as with the armed conflict, the cultural pattern of Bazaleti War re-appeared periodically, however, it turned out to be equally unacceptable for the opposing parties. Therefore, the Tbilisi War and the civil conflict became a difficult past that cannot be forgotten, but which is not something to be proud of. Even though a negative historical pattern can also be used as a label to raise the significance of the event, the Battle of Bazaleti did not appear as a cultural pattern that would contribute to shape a new trauma. Correspondingly, shared memory of the above-mentioned events was not formed, and they still remain as a source of irreconcilable division between opposing groups.<sup>1</sup>

#### **References:**

- Gioshvili, G., Arkania, G. and Butskhrikidze, G. (2021).** Erovnuli khelisup-lebis 419 dghe. Meore respublikis k'oveldghiuri matiane. [419 days of the national government]. Part 1, November1990-January 1991. Tbilisi: "Artanuji"
- Mgvdiashvili, T. (1990).** Sizmarshi vnakhe saakadze. [I saw Saakadze in a dream]. Kartuli Literatura. [Georgian literature], <https://bit.ly/3qYEW-wu> (ბაბაბა 23.01.2021).
- Mgvdiashvili, T. (2008).** 100 leksi. [100 poems]. Tbilisi: "Intelekti"
- Mgvdiashvili, T. Kartvelebi shearige, merab [Reconcile Georgians, Merab].** Burusi, 27 May, 2010, <https://bit.ly/34kMLES>

---

<sup>1</sup> The study was fulfilled with the support of Shota Rustaveli National Science Foundation

**საქართველო და ევროპა: იდენტობის დისკურსი  
ნაციონალიზმის ეპოქაში  
Georgia and the West:  
Identity Discourse in the Era of Nationalism**

**ირაკლი ჩხაიძე  
Irakli Chkhaidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** იდენტობა, ნაციონალიზმი,  
საქართველო, ევროპა  
**Keywords:** Identity, Nationalism, Georgia, Europe

იდენტობის, ეროვნული ერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების კვლევა საქართველოში ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების შედარებით ახალი მიმართულებაა. ამ კუთხით ბევრი პრობლემური საკითხი საჭიროებს თანამედროვე თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით გააზრებას. საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ განვლილი გზის ანალიზი. პროცესების შესწავლა იდენტობის კვლევების პერსპექტივიდან ხელს შეუწყობს როგორც უახლესი წარსულის ხელახალ გააზრებას, ასევე საქართველოში განვითარებული მოვლენების რეგიონული და საერთაშორისო კონტექსტის განსაზღვრას. ნაშრომში განხილულია დასავლური ინტელექტუალური და პოლიტიკური დისკურსი ნაციონალიზმის ეპოქის საქართველოში, ასევე, საბჭოთა პერიოდის საწყის ეტაპზე, როდესაც ჯერ კიდევ გრძელდებოდა დებატები საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ორიენტაციის გარშემო. დასავლეთის წინააღმდეგობრივი აღქმა სწორედ ამ ეპოქაში იღებს სათავეს. დღე-



მდე ცოცხალია დასავლური სამყაროს აღქმის ის პარადიგმები, რომლებიც მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა.

1910-1920-იან წლებში საქართველოს კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებით გამართული დისკუსია გვიჩვენებს დასავლეთისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას. პროევროპულმა პოლიტიკურმა კონტექსტმა დასავლური დისკურსის დომინანტურობა განაპირობა, რომელიც მწვავედ გააკრიტიკა ინტელექტუალური ელიტის ნაწილმა. შეიქმნა დასავლური სამყაროს წინააღმდეგობრივი აღქმის ერთგვარი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც წარმართა პროცესები უკვე 1980-იანი წლებიდან. ამ პერიოდში გამართული დებატები, რომელიც, ძირითადად, აკადემიურ სივრცეში მიმდინარეობდა, ირეკლავს საუკუნის დასაწყისის დისკუსიის პათოსს. შემდგომში, დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე, აღნიშნული წინააღმდეგობრიობა პოლიტიკის ნაწილად იქცა და დღემდე მნიშვნელოვან როლს თამაშობს იდენტობის კონფლიქტური დისკურსების ჩამოყალიბებაში.

#### **ლიტერატურა:**

**ასათიანი, გ. (1982).** სათავეებთან. თბილისი, „საბჭოთა საქართველო.“  
**ბრისკუ, ა.** ასე შორს და მაინც ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში: იდეათა ისტორია, <https://bit.ly/3tWOSb5> (ნანახია 30.04.2021).

**გამსახურდია, ვ. (1997).** “კარგი ევროპიელი.” ევროპა თუ აზია. (შემდ. ნინო ხოფერია). თბილისი, „ლიტერატურის მატთანე.“

**კოტეტიშვილი, ვ. (1997)** „აზიისაკენ,” ევროპა თუ აზია (შემდ. ნინო ხოფერია), თბილისი, „ლიტერატურის მატთანე.“

**მინიშვილი, ნ. (1997).** ქართული კულტურის ახალი გზები. ევროპა თუ აზია. (შემდ. ნინო ხოფერია). თბილისი, „ლიტერატურის მატთანე.“

The study of identity, formation and development of national unity is a relatively new direction of humanities and social sciences in Georgia. In this regard, many problematic issues need to be understood using modern theoretical and methodological approaches. At the current stage of society's development, a critical analysis of the path

taken by Georgia is vitally important. Studying the processes from the perspective of identity studies will contribute to the re-understanding of the recent past, as well as to the determination of the regional and international context of the developments in Georgia. The paper discusses European intellectual and political discourse in the era of nationalism in Georgia, as well as in the initial stage of the Soviet period, when the debate around the cultural and political orientation of Georgia was still ongoing. The contradictory perception of the West originates in this era. The paradigms of perception of the Western world that were created at the beginning of the 20th century are still alive.

The discussion regarding the cultural identity of Georgia in 1910-1920s shows a mixed attitude towards the West. The pro-European political context led to the dominance of the Western discourse, which was sharply criticized by a part of the intellectual elite. A kind of framework of contradictory perception of the Western world was created within which the processes developed since the 1980s. The debates held in this period, which took place mainly in the academic space, reflect the pathos of the discussion at the beginning of the century. Later, at the initial stage of independence, this contradiction became a part of politics and still plays an important role in the formation of conflicting identity discourses.

#### **References:**

- Asatiani, G. (1982).** At the Beginnings. Tbilisi, "Sabchota Sakartvelo."  
Brisku, A. So far and yet so close. The face of Europe in Georgia: History of Ideas. <https://bit.ly/3tWOSb5> (Accessed 30.04.2021).
- Gamsakhurdia, K. (1997).** "Good European." Europe or Asia. (Ed. Nino Khoperia). Tbilisi, "Literaturis Matiane."
- Kotetishvili, V. (1997).** "Towards Asia." Europe or Asia. (Ed. Nino Khoperia). Tbilisi, "Literaturis Matiane."
- Mitsishvili, N. (1997).** New Ways of Georgian Culture." Europe or Asia. (Ed. Nino Khoperia). Tbilisi, "Literaturis Matiane."

**ეროვნული იდენტობის საკითხის აქტუალურობა ვასილ  
მახნოს უახლეს ლექსებში**  
**Topicality of the problem of of national identity in Vasil  
Makhno's latest poems**

**სოფიო ჩხატარაშვილი**  
**Sophio Chkhatarashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** იდენტობა, უკრაინული ლიტერატურა, ვა-  
სილ მახნო  
**Keywords:** Identity, Ukrainian Literature, Vasyl Makhno

რუსეთ-უკრაინის ომმა უკრაინა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოაქცია. ბუნებრივია, ლიტერატურული პროცესი ამ თემას ასახავს და ინახავს ისტორიისათვის. ნიუ-იორკში მცხოვრებმა უკრაინელმა მწერალმა და პუბლიცისტმა, ვასილ მახნომ უკვე არაერთი ლექსი უძღვნა ამ თემას და ციკლის სახითაც კი გამოსცა „ლექსები ომის შესახებ“. ომის თემატიკა ლიტერატურაში არც ახალია და არც უჩვეულო. ეს არის საკითხი, რომელსაც ირეკლავს ამა თუ იმ ქვეყნის მწერლობა ანტიკური პერიოდიდან დღემდე.

ვასილ მახნოს ლექსები ომის შესახებ სათაურითვე იქცევის მკითხველის ყურადღებას: „ომი“, „სამშობლოსადმი“, „გასასვლელი“, „შევიჩნეო“, „მარიუპოლიდან“, „სევდის ფსალმუნი“, „ბუჩის ფსალმუნი“, „მტრელების ლულუნი დილით“ შექმნილია სამშობლოში მიმდინარე კატასტროფაზე. ლექსებში შესამჩნევია ისტორიული, კულტურული თუ რელიგიური მოტივები, და ბუნებრივია, ყოველი მათგანი მხატვრული ხერხების სიჭარბითა და მძაფრი ემოციური მუხტით გამოირჩევა.

ავტორი დოკუმენტური სიცხადით აღწერს მარიუპოლის მი-სადგომებთან მომხდარ ბრძოლას, ადამიანების სასონარკვეთას, დანგრეულ სახლებს, ამავედროულად იხსენებს ტარას შევჩენკოს, აცოცხლებს მის ძეგლს „რომელიც კიევში, უნივერსიტეტის წინ კვარცხლბეკზე ამაყად და უკრაინულ ვაჟკაცთა საიმედოდ დგას და გამოსახავს რიგით ჯარისკაცად, რომელიც მკერდით დაიცავს საკუთარ სამშობლოს და ზურგს გაუმაგრებს მას ბრძოლასა და გა-საჭირში. ბუჩას არქმევს ტკივილისა და შიშის ქალაქს და სვამს კითხვებს: როდის დამთავრდება ეს ყველაფერი? რა იქნება მო-მდევნო თვეებში? ქალაქები ისევ ცეცხლის ალში ხომ არ გაეხვე-ვა? სად შეიძლება ნუგეშის პოვნა?

აღსანიშნავია, რომ ვასილ მახნოს ლექსები ომის საკითხის ესთეტიზაციისკენაა მიმართული და ამ თვალსაზრისით ალბათ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს უკრაინული ლიტერატურის ისტორიაში. ეს არის პოეზია სიკვდილისა და სიცოცხლის, სიკეთი-სა და ბოროტების, მათი გადაკვეთის შესახებ და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ რაც უფრო რთულია ყოფა, რაც უფრო მტკივნეულია მიმდინარე მოვლენები, მით უფრო ცხადი ხდება, თუ რა უსასრულოა ლიტერატურის შესაძლებლობები.

გასათვალისწინებელია, რომ ვასილ მახნო ზემოაღნიშ-ნულ მოვლენებს ეხმიანება სამშობლოდან მოშორებით. ალბათ მისთვის უფრო მწვავეა და უფრო მძიმე საკუთარი ქვეყნის მიღმა ამ ყველაფრის აღქმა და გადატანა. მის ლექსებში იგრძნობა, რომ ავტორი არა მხოლოდ თავის გრძნობებს უზიარებს უცხოელ მკი-თხველს, არამედ უჩვენებს მას უკრაინული იდენტობისთვის და-მახასიათებელ მთავარ შტრიხებს. ტრაგედიის ინდივიდუალური აღქმა, მწერლის განცდები, ემოციები, ტკივილი, შიში თუ მოლო-დინი გასაანალიზებელი იქნება კულტურული ტრავმის ქრილოში.

The Russia-Ukraine war has put Ukraine in the center of the world's attention. Naturally, the literary process reflects this theme and pre-serves it for history. Vasyl Makhno, a Ukrainian writer and publicist living in New York, has already dedicated a number of poems to this topic and even published “Poems about War” in the form of a cycle. The theme of war is neither new nor unusual in literature. This is a question reflected

in the writings of this or that country from the ancient period to the present day.

Vasil Makhno's poems about war attract the reader's attention by their titles: "War", "To the Motherland", "Exit", "Shevchenko", "From Mariupol", "Sadness Psalm", "Bucha's Psalm", "Morning Doves' Cooing" are created about the current disaster in the homeland. Historical, cultural or religious motifs are noticeable in the poems, and naturally, each of them is distinguished by an abundance of artistic techniques and intense emotional charge.

The author describes with documentary clarity the battle that took place on the approaches to Mariupol, the despair of people, the destroyed houses, at the same time he remembers Taras Shevchenko, brings to life his monument, which stands proudly on a pedestal in front of the university in Kyiv and is a reliable source of Ukrainian bravery, and portrays him as an ordinary soldier who will defend his homeland with his chest and strengthen his back. in battle and tribulation. Bucha calls it a city of pain and fear and asks: when will it all end? What will happen in the coming months? Will the cities go up in flames again? Where can you find solace?

It should be noted that Vasyl Makhno's poems are aimed at the aestheticization of the issue of war, and from this point of view it will probably play a significant role in the history of Ukrainian literature. This is poetry about death and life, good and evil, their intersection, and once again confirms that the more difficult the existence, the more painful the current events, the more clear the infinite possibilities of literature.

It's necessary to allow for Vasil Makhno's reacts to the above-mentioned events far from his homeland. Perhaps it is more acute and difficult for him to perceive and transfer all this outside his own country. In his poems, one feels that the author not only shares his feelings with the foreign reader, but also shows him the main features of Ukrainian identity. The individual perception of the tragedy, the writer's feelings, emotions, pain, fear or expectation must be analyzed in terms of cultural trauma.

**„რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“–  
ტრავმული წარსული მემუარულ ტექსტებში  
“What I Remember and How I Remember” –  
Traumatic Past in Memoir Texts**

**ივანე წერეთელი  
Ivane Tsereteli**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ტრავმა, მემუარები, საქართველო,  
1990-იანი წლები

**Keywords:** Trauma, Memoirs, Georgia, 1990s

ადამიანი, ბუნებით, მთხრობელი არსებაა. თხრობა, აღწერა-სთან ერთად, ინტერპრეტაციას გულისხმობს. გამიზნულად თუ გაუზრებლად, მნიშვნელობა ენიჭება საგნებს, ფაქტებს და წარსულში მომხდარ მოვლენებს. რობერტ ნეიმაიერის აზრით, ამას აკეთებს როგორც მთხრობელი, ასევე აუდიტორიაც. ნაშრომის მიზანია ვნახოთ, როგორ არის გაანალიზებული, გააზრებული და ინტერპრეტირებული დამოუკიდებლობის შემდგომ შექმნილ მემუარულ ლიტერატურაში 1989 და 1991 წლის 9 აპრილი, თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება. 90-იანების შედეგად წარსულის გაცოცხლება იწყება მემუარებში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ლანა ლოლობერიძის მემუარი „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“, რომელიც საბოლოო სახით 2019 წელს გამოიცა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მიმართულების ჟანრს ცხოვრების თხრობას (Life Writing) უწოდებენ. იგი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მხოლოდ (ავტო)ბიოგრაფია. ცხოვრების მთხრობელ ტექსტს აქვს პრეტენზია, გადმოსცეს არა მხოლოდ ამბავი, არამედ გაანალიზოს ის პროცეს(ებ)ი, რომელმაც განაპირობა პიროვნების იდენტობის კონკრეტული ფორმით ჩამოყალიბება.

ეს არის ანალიზი არა მხოლოდ იმისა, თუ როგორ, არამედ იმისაც, თუ რატომ შეიქმნა ის პარადიგმა თუ პლატფორმა, საიდანაც ტექსტის წერის დროს ავტორი აღიქვამს სამყაროს. „სიცოცხლე არ არის ის, რაც იცხოვრე, არამედ ის, რაც გახსენდება და როგორც გახსენდება“ საკუთარ მემუარებში გამოთქმული რეჟისორ ლანა ლოლობერიძის ეს სიტყვები, ჟანრის ერთგვარ განსაზღვრებადაც შეიძლება გამოდგეს.

### **ლიტერატურა:**

**ლოლობერიძე, ლ. (2019).** რაც მახსენდება და როგორც მახსენდება, თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

**Neimeyer, R. A. (2006).** “Re-Storying Loss: Fostering Growth in the Posttraumatic Narrative,” in *Handbook of Posttraumatic Growth. Research and Practice*, eds. Lawrence G. Calhoun and Richard G. Tedeschi. New York: Routledge

**Schönfelder. C. (2013).** *Wounds and Words: Childhood and Family Trauma in Romantic and Postmodern Fiction.* Transcript Verlag

A human is a narrator by nature. Narration implies not only description, but also interpretation. Deliberately or accidentally, meanings are attached to things, facts, and events that took place in the past. According to Robert Neimeyer, both narrators and audiences do so. The objective of this Article is to clarify how 9 April 1989 and 1991, the war and civil confrontation in Tbilisi, and a stressful series of sudden and intensive changes are analyzed, conceptualized, and interpreted in the memoirs created after Georgia became independent. The 1990s give an impetus to the revival of the past also in texts on life. Lana Gogoberidze’s memoirs “What I remember and how I remember” are noteworthy in this regard. The final version of the book was published in 2019. As regards the texts of memoirs, this genre is called lifewriting in scientific literature and this notion is wider than just an (auto) biography. A lifewriting text is supposed to not only tell a story, but also analyze the process(es), which determined the concrete shape of the identity of a person. It analyzes not only how the paradigm or

platform, on which the author is based on when writing a text, was created, but also why. “Life is not what you have lived, but what you remember and how you remember.” These words by Lana Gogoberidze can be appropriate to be used as a definition of the genre.

**References:**

- Gogoberidze, L. (2019).** What I remember and how I remember, Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing. (In Georgian)
- Neimeyer, R. A. (2006).** “Re-Storying Loss: Fostering Growth in the Post-traumatic Narrative,” in Handbook of Posttraumatic Growth. Research and Practice, eds. Lawrence G. Calhoun and Richard G. Tedeschi. New York: Routledge
- Schönfelder. C. (2013).** Wounds and Words: Childhood and Family Trauma in Romantic and Postmodern Fiction. Transcript Verlag



**პარიზული ხელნაწერის (Georg. 5)  
სტრუქტურა და ქრონოლოგია  
The Structure and Chronology of the Parisian  
Manuscript (Georg.5)**

**ლელა ხაჩიძე  
Lela Khachidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** პარიზული ხელნაწერი (Georg. 5), გიორგი  
მთანმიდელი, შავი მთა

**Keywords:** Paris. Georg. 5, George the Athonite, Black Mountain

მარხვანი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულია, რომელიც შეიცავს ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის საგანძურს – მრავალრიცხოვან საგალობლებს, რომელთა ავტორები ქრისტიანული ეკლესიისა და კულტურის უდიდესი წარმომადგენლები არიან. მას განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს.

ქართულმა მარხვანმა, ისევე როგორც ყველა სხვა საღვთისმსახურო წიგნმა, განვითარების მწვერვალს მიაღწია ქართული ეკლესიისა და კულტურის უდიდესი წარმომადგენლის – გიორგი მთანმიდელის მოღვაწეობით, რომელმაც განსაზღვრა ქართული სასულიერო მწერლობისა და, ზოგადად, ქართული კულტურის განვითარების შემდგომი გზა.

როგორც ცნობილია, გიორგი მთანმიდელს მოღვაწეობა მოუხდა იმდროინდელი ქრისტიანული კულტურის ძირითად ცენტრებში – ათონზე, შავ მთაზე, კონსტანტინოპოლში, იერუსალიმსა და საქართველოში.

ჩვენამდე მოღწეულია გიორგი ათონელის რედაქციის მრავალრიცხოვანი მარხვანები, რომლებიც მიეკუთვნება ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციას. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული უნიკალური ხელნაწერი – Paris. Georg 5. სწორედ მასშია დაცული გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული მნიშვნელობის მქონე მარხვანი, რომელიც გამოირჩევა სისრულით და მასში დაცული საგალობლების ავტორებზე ზუსტი მითითებებით.

როგორც ირკვევა, Paris. Georg 5. ერთ დროს და ერთი პირის მიერ არ არის გადაწერილი. იგი შედარებით გვიან უნდა იყოს აკინძული. მისი ძირითადი ნაწილი წარმოადგენს გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანს და შესრულებულია XI საუკუნის ათონური ხელნერით. ამის შემდეგ პარიზულ ხელნაწერში წარმოდგენილია ამავე კრებულის ახალი რედაქცია, რომელიც, როგორც ირკვევა, ამავე ხელნაწერში დაცულ გიორგი მთაწმიდელის მარხვანთან კომპილაციითაა შედგენილი. მარხვანის ეს „ახალი“ რედაქცია შეიცავს ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანებს.

ერთადერთი ადგილი, სადაც იკვეთება სამი დიდი ქართველი მოღვაწის – გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის გზები შავი, ანუ საკვირველი მთა ანტიოქიაში. სწორედ აქ უნდა იყოს შედგენილი ქართული მარხვანის ორივე რედაქცია და თვით უნიკალური ქართული ხელნაწერი – Paris. Georg 5. კრებულის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს ფაქტი მნიშვნელოვნად ზრდის შავი მთის საღვთისმეტყველო და ლიტერატურული კერის მნიშვნელობას ქართული და ზოგადად, ქრისტიანული მწერლობის შესწავლისათვის.

გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება, განისაზღვროს მისი რედაქციის მარხვანის შედგენის დრო. წმინდანის „ცხოვრების“ მიხედვით დადგენილია, რომ 1040-1056 წლებში იგი ათონზე იმყოფებოდა, 1059-1065 წლებში საქართველოში მოღვაწეობდა, 1065 წელს კი კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა.

აქედან გამომდინარე, გიორგი მთაწმინდელის რედაქციის მარხვანი სრული, საბოლოო სახით შედგენილი უნდა იყოს შავ მთაზე მისი მოღვაწეობის პერიოდში – 1056-1059 წლებში.

The Lenten Triodion is one of the most important liturgical-hymnographic collections, which contains the treasury of Byzantine hymnography.

Georgian Lenten Triodion, like all other liturgical books, reached the peak of its development thanks to the activities of the greatest representative of the Georgian church and culture – George the Athonite.

Numerous Triodions of this redaction have come down to us. Among them special attention should be given to the Georgian manuscript preserved at the National Library of Paris – Georg. 5 which represents the Triodion of George the Athonite's redaction having autographic significance.

This manuscript was not copied at one time and by one person. It must be bound relatively late. Its main part is the Triodion under George the Athonite's redaction and executed in 11th-century Athonite handwriting. After this, Parisian manuscript presents a new redaction of this collection which, as it turns out, is made up by compilation with the Triodion of George the Athonite's redaction preserved in the same manuscript. This "new" redaction contains translations of prominent Georgian theologians of the 11th century – Ephrem Mtsire and Arsen Ikaltoeli.

The only place where the roads of three great Georgian figures - George the Athonite, Ephrem Mtsire and Arsen Ikaltoeli – intersect is the Black Mountain in Antioch. It was here that both redactions of the Georgian Triodion and the unique Georgian manuscript itself – Paris. Georg. 5 must have been compiled.

Taking into account the "Life" of George the Athonite, it becomes possible to determine the time of compilation of the Triodion under George the Athonite's redaction. According to the "Life" of the saint, in 1040-1056 he labored on Athos, stayed in Georgia in 1059-1065 and died in Constantinople in 1065.

Therefore, the Triodion of George the Athonite's redaction must have been compiled in its completed form on the Black Mountain, in the years 1056-1059.

**ვატიკანის პოზიცია მეორე მსოფლიო ომის გარდამტეხ  
პერიოდში ერთი საარქივო დოკუმენტის მიხედვით**  
**The Position of Vatican at the Crucial Period of World War  
II According to One Archival Document**

**ლეილა (ია) ხუბაშვილი**  
**Leila (Ia) Khubashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ვატიკანი, პიუს XII, კალტენბრუნერი,  
რიბენტროპი, ნაცინალ-სოციალიზმი, ახალი მსოფლიო  
წესრიგი

**Keywords:** Vatican, Pius XII, Kaltenbrunner, Ribbentrop, National  
Socialis, New World Order

მოხსენებაში მოკლე, ისტორიული რეტროსპექტივის ფონზე წარმოდგენილია და გაანალიზებულია საარქივო დოკუმენტი, რომელიც რელიეფურ წარმოდგენას გვაძლევს ვატიკანის პოზიციის შესახებ მეორე მსოფლიო ომის გარდამტეხ პერიოდში. ეს გახლავთ ნაცისტური გერმანიის უშიშროების საიმპერატორო სამმართველოს შეფის ერნსტ კალტენბრუნერის სამოტივაციო წერილი, რომელსაც თანდართული აქვს უშიშროების აგენტის მოხსენება რომში ყოფნის შესახებ 1943 წლის 15-დან 29 მაისამდე. დოკუმენტი გამოქვეყნებულია მიკროასლიდან, რომელიც ინახება პოტსდამის გდრ-ს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ფილმი 3703, B1. 588-599).

ბერლინი SW 11.1943 წლის 31 აგვისტო. პრინც ალბრეხშტრასე 8. უშიშროების პოლიციის უფროსს. IV B 1-2187/43გ. ბატონ რაიხსმინისტრს საგარეო საქმეთა საკითხებში ფონ რიბენტროპს. ბერლინი W 8. ვილჰელმშტრასე 74/76. საიდუმლოდ! შინაარსი: აგენტის მოხსენება ვატიკანის გავლენიანი წრეების მიერ არსე-

ბული ვითარების შეფასების შესახებ (ციტირება: მოხსენიებული ანგარიში 3. II. 1943. -- IV B I-2187/43გ).

დანართი 1. „გიგზავნით მოხსენებას აგენტისგან, რომელიც ეწვია ვატიკანს. გთხოვთ, ყურადღებით შეისწავლოთ იგი. მოხსენებაში მოცემულია ვატიკანის გავლენიან პირებთან საუბრის შედეგები (პაპთან დაახლოებული პირები - იეზუიტი მამა ლაიბერი, ეპისკოპოსი ჰუდალი, ნუნციუსი არატა, პრელატი კაასი და სხვ.). აქ გაკეთებული განცხადებები მნიშვნელოვანია ვატიკანის წრეების შეხედულებების გასამჟღავნებლად და ისინი კეთდება იმ დროს, როდესაც ვატიკანმა გაზარდა თავისი პოლიტიკური აქტივობა და აქვს საჭიროზე მეტი ინფორმაცია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სანდო აღმოჩნდა იგივე აგენტის ჩვენება იტალიის შესახებ, რომელიც ეყრდნობოდა იმავე პირებთან საუბარს, რომში მისი ბოლო ყოფნის დროს, 1942 წლის დეკემბერში. მიუხედავად იმისა, რომ ვატიკანის წრეები, ზოგადი სამხედრო ვითარების შეფასებისას თვლიან, რომ „იტალიის გარდაუვალი მარცხის შემდეგ, ომი მთლიანობაში წაგებულად უნდა ჩაითვალოს როგორც გერმანიისთვის, ასევე იაპონიისთვის“, გასათვალისწინებელია მათი შეხედულებები ურთიერთდახმარების მიღწევის შესაძლებლობის შესახებ ნაციონალ-სოციალიზმსა და ეკლესიას შორის, რის შესახებაც სხვა აგენტების ბოლო მოხსენებებშიც იყო მოხსენიებული. “კალტენბრუნერი.

აგენტის თანდართულ მოხსენებაში განხილულია იტალიაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები, რომელიც გამოწვეული იყო იტალიის სრული სამხედრო მარცხით სიცილიაზე და პირველი მასიური საჰაერო თავდასხმით რომზე 1943 წლის 19 ივლისს, რამაც შესამჩნევი გავლენა იქონია რომისა და მთელი იტალიის უახლოეს მომავალზე და შესაძლებელი გახადა ვატიკანის შეფასების საკმაოდ სრული სურათის წარმოდგენა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ. ომის რადიკალური შემობრუნება, კურსკის ბრძოლა, იტალიაში ანტიფაშისტური მოძრაობის ზრდა, ჰიტლერისა და მუსოლინის 19 ივლისის შეხვედრა ფელტრაში მოწმობდა, რომ „ბერლინ-რომის ღერძი“ თავის ბოლო დღეებს ითვლიდა. გამარჯვების გარდაუვალობამ უახლოეს მომავალში აიძულა ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნები

შეემუშავებინათ ახალი სტრატეგია და ტაქტიკა მსოფლიოს ომის შემდგომი წესრიგისთვის. როგორც მოყვანილი დოკუმენტიდან ირკვევა, ვატიკანი საკმაოდ კარგად იცნობდა დასავლეთის გეგმებს. ინგლისის ელჩმა, ლორდმა ოსბორნმა, 1943 წლის ივლისის დასაწყისში ლონდონიდან დაბრუნებისთანავე, აცნობა პიუს XII-ს ბრიტანეთის მთავრობის პოზიცია საომარი მოქმედებების მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ, რამაც რომის პაპის ღრმა პესიმიზმი და შეშფოთება გამოიწვია, რაც ზემოთხსენებულ დოკუმენტშიც აისახა. ყურადღებას იპყობს დოკუმენტის ის ნაწილი, რომელიც მოწმობს, რომ მოკავშირეები არ მალავდნენ ვატიკანისგან თავიანთ განზრახვას გერმანიის რამდენიმე სახელმწიფოდ დაყოფის შესახებ; ავსტრიის, ბავარიისა და უნგრეთის გაერთიანებით უნდა შექმნილიყო დუნაის კონფედერაცია, აღდგენილიყო ყოფილი ჰანოვერის სამეფო და ა.შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგენტის მოხსენებაში მოცემული ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის შესახებ ვატიკანის მმართველი წრეების მოსაზრებები: 1. არსებული სამხედრო ვითარების შეფასება. 2. სამშვიდობო მედიაცია, მშვიდობის დამყარება და ევროპის მომავალი. 3. რუსეთი და მსოფლიო ბოლშევიზმი. 4. ვატიკანის დამოკიდებულება მტრის ძალების მიმართ. 5. ურთიერთობა ვატიკანსა და გერმანიას შორის; 6. ურთიერთობა ვატიკანსა და იაპონიას შორის; აგენტის პატაკის თანახმად, ვატიკანში წინააღმდეგი არიან გერმანიის დაშლის და საკუთარი ხედვა აქვთ ევროპის ახალ, პოლიტიკურ რუკაზე. წმინდა საყდარი ასევე მოითხოვს ყველა, ე.წ. „ომის დამნაშავეების“ ექსტრადირებას, რათა ისინი საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარდგნენ. ამისათვის მზადება ებრაელებმა უკვე დაიწყეს. რაც შეეხება იაპონიასთან მეგობრულ ურთიერთობას, ვატიკანი თავს იკავებს მისი გაღრმავებისგან, რაც გამოწვეულია მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი კავშირების შენარჩუნების სურვილით ჩინეთთან; ზოგადად, არსებობს მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ აზიის მომავალი სავარაუდოდ, ჩინეთს ეკუთვნის, რომ თუ ომი გაგრძელდება, იაპონია წააგებს ბრძოლას ამერიკასთან. ამგვარად, როგორც გერმანელი აგენტის მოხსენებიდან ირკვევა, ვატიკანში საღად და გონივრულად აფასებდნენ მეორე მსოფლიო

ომის გარდამტეხ პერიოდში არსებულ სამხედრო ვითარებას და მსოფლიო ახალი წესრიგის დამყარების საკუთარი ხედვაც ჰქონდათ, რაც შემდგომში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ნათლად გვიჩვენა.

### **ლიტერატურა:**

Actes et documents du Saint Siège relatifs à la Seconde guerre mondiale  
Città del Vaticano, 1969 (далее - ADSS). Vol. 5, с 182-184.

Zentrales Staatsarchiv der DDR, Potsdam. Auswärtiges Amt. Politische  
Abteilung (далее - ZStA Potsdam, AA, Pol. Abt.), № 61.140, л. 292.

Cianfarra C. M. The Vatican and the War. N. Y., 2012. ISBN-13 |: 978-1258516376  
“Osservatore Romano”, 31.III.1948.

გრიგულევიჩ ი.რ. პაპსტვო. ვეკ XX (1981) პოლიტიზდატ. 125811, GSP.  
მოსკვა.И.Р. Григулевич. Папство. Век XX. М., (1981) Политиздат.  
125811, ГСП, Москва

ბრონოსი. ვსემირნია ისტორია ვ ინტერნეტე. რედაქტორი ვია-  
ჩესლავ რუმიანცევი. Хронос.Всемирная история в интернете  
Редактор Вячеслав Румянцев

The paper presents and analyzes an archival document on the background of a brief historical retrospective, which gives a relief conception of Vatican position during the crucial period of the World War II. This is a cover letter from Ernst Kaltenbrunner, chief of Nazi Germany's Imperial Security Division, with a security agent's report on his stay in Rome from May 15 to 29, 1943. The document is reproduced from a microcopy held in the Central State Archives of the GDR in Potsdam (film 3703, B1. 588-599).

Berlin SW 11.31 August 1943. Prince Albrechtstrasse 8. To the Chief of the Security Police. IV B 1-2187/43g. Mr. Reich Minister for Foreign Affairs von Ribbentrop. Berlin W 8. Wilhelmstrasse 74/76. Secretly! Content: Agent's report on the assessment of the current situation by influential actors of Vatican (citation: mentioned report 3. II. 1943. -- IV B 1-2187/43c).

Appendix 1. “I am sending you a report from an agent who visited Vatican. Please study it carefully. The report contains the results of

conversations with influential persons of Vatican (persons close to the Pope - Jesuit Father Leiber, Bishop Hudal, Nuncius Arata, Prelate Kaas, etc.). The statements made here are important to reveal the views of Vatican leaders, and they are made at a time when Vatican has increased its political activity and has more information than it needs. It should be emphasized that the testimony of the same agent about Italy, based on conversations with the same people during his last stay in Rome in December 1942, was found to be reliable. Although Vatican, in assessing the general military situation, believe that "after the inevitable defeat of Italy, the war as a whole must be considered a loss for both Germany and Japan", their views on the possibility of achieving mutual assistance between National Socialism and the Church have to be foreseen. It was also reported in recent reports by other agents. Kaltenbrunner.

The attached report of the agent discusses the political changes taking place in Italy, caused by the total military defeat of Italy in Sicily and the first massive air attack on Rome on July 19, 1943, which had a noticeable influence on the imminent future of Rome and all of Italy, and made it possible to present a fairly complete picture of Vatican's assessment about the most significant problems. The radical returning of the war, the battle of Kursk, the growth of the anti-fascist movement in Italy, the meeting between Hitler and Mussolini in Feltre on July 19, testified that the "Berlin-Rome Axis" was counting its last days. The inevitability of victory in the near future forced the countries of the anti-Hitler coalition to develop a new strategy and tactics for the post-war world order. As it is clear from the cited document, Vatican was quite acquainted with the plans of the West. The English ambassador, Lord Osborne, upon his return from London in early July 1943, informed Pius XII about the British government's position on the peaceful settlement of hostilities, which caused deep pessimism and concern of the Pope, so it was reflected in the aforementioned document. Attention is paid to the part of the document which testifies that the Allies did not hide from Vatican their intention to divide Germany into several states; By uniting Austria, Bavaria and Hungary, the Danube confederation was to be created, the former Kingdom of



Hanover was to be restored, etc. The opinions of the rulers of Vatican about the post-war world order contained in the agent's report are particularly important: 1. assessment of the existing military situation. 2. peace mediation, amity building and the future of Europe. 3. Russia and world Bolshevism. 4. the attitude of Vatican towards the enemy forces. 5. relations between Vatican and Germany; 6. relations between Vatican and Japan;

According to Agent Patak, Vatican is against of the disintegration of Germany and has its own vision for a new political map of Europe. The Holy See also demands the extradition of all so-called "war criminals" to face an international tribunal. The Jews have already started preparations for this. As for friendly relations with Japan, Vatican refrains from deepening them, which is caused by the desire to maintain extremely important ties with China; In general, there is an opinion that the future of East Asia probably belongs to China, that if the war continues, Japan will lose the battle with America. Thus, as it is clear from the German agent's report, Vatican had a sane and reasonable assessment of the military situation at the crucial period of the World War II and had its own vision of establishing a new world order, which was clearly shown by the political processes developed lately.

### **References:**

- Actes et documents du Saint Siège relatifs à la Seconde guerre mondiale  
Città del Vaticano, 1969 (далее - ADSS). Vol. 5, c 182-184.
- Zentrales Staatsarchiv der DDR, Potsdam. Auswärtiges Amt. Politische  
Abteilung (далее - ZStA Potsdam, AA, Pol. Abt.), № 61.140, л. 292.
- Cianfarra C. M. The Vatican and the War. N. Y., 2012. ISBN-13 978-1258516376  
Osservatore Romano, 31.III.1948.
- Grigulevich I.R. "Papstvo.Vek dvacati".( 1981). Politizdat. 125811, GSP. Mosk-  
va. Grigulevich I. R. "Papacy. Twentieth century "(1981). Politizdat.  
125811, GSP, Moscow}.
- Xronos:Vsemirnaia istoria v internete. Redaktor Viachislav Pumiancev.  
Chronos: World History on the internet. Editor Vyacheslav Rumyantsev.

**საქველმოქმედო ლატარია  
ქართული უნივერსიტეტის მხარდასაჭერად  
(1917-1919 წლები)  
Philanthropic Lottery to Support Georgian University  
(1917-1919)**

**ნიკო ჯავახიშვილი  
Niko Javakhishvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** უნივერსიტეტი, ლატარია,  
ივანე ჯავახიშვილი  
**Keywords:** University, Lottery, Ivane Javakhishvili

ქართული უნივერსიტეტის დაარსებას წინ ფართო მასშტაბის საქველმოქმედო აქცია უძღვოდა. მის ფარგლებში გათამაშდა პირველი ეროვნული ლატარია, რომლის მიზანსაც უნივერსიტეტისა და თეატრის ფინანსური მხარდაჭერა წარმოადგენდა.

ლატარიის გამართვის იდეა საქართველოში 1917 წლის ზაფხულში გაჩნდა. ლატარიის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი, რომელიც იმხანად ახალი ჩამოსული გახლდათ პეტროგრადის უნივერსიტეტიდან (სადაც მანამდე პრივატ-დოცენტად მოღვაწეობდა), ხოლო მმართველობის თავმჯდომარედ - გიორგი ლასხიშვილი (სოციალისტ-ფედერალისტი).

29 ნოემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა საინიციატივო კომიტეტს ნება დართო, გამოეშვა 5 მილიონი მანეთის ლატარიის ბილეთები. შემოსული თანხიდან ნახევარი მილიონი უნდა დახარჯულიყო მოგებაზე, შემოსავლის ნახევარი გადასცემოდა საინიციატივო კომიტეტს, რომელიც უნივერსიტეტის დაფუძნებას გეგმავდა, მეორე ნახევარი მოხმარებოდა თეატრის შენობის აგებას, 5% - მსახიობთა კავშირს.

ბილეთის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 25 მანეთს. იგი მოიცავდა 5-მანეთიან ხუთ კუპონს. კუპონზე იყო წარწერები: „ლატარია 1918 წლისა ქართულ უნივერსიტეტის, თეატრის და მსახიობთა კავშირის სასარგებლოდ“; „ბილეთის ერთი მეხუთედი“; „ფასი ხუთი მანეთი“; „ვინც ამ კუპონს წარმოადგენს, მიიღებს მოგების მეხუთედს“. იქვე იყო ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ლასხიშვილისა და აკაკი ჩხენკელის (ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი) ხელმოწერები.

ბილეთები 1918 წლის შემოდგომიდან იყიდებოდა. მათ გავრცელებას აგიტაციას უწევდნენ პრესა და ცნობილი საზოგადო მოღვაწენი.

გათამაშება დაგეგმილი იყო 1918 წლის 25 დეკემბერს, რასაც ხელი შეუშალა ომმა სომხეთთან და მკაცრმა ზამთარმა.

1919 წლის 1 ნოემბერს ლატარიის გათამაშება თბილისის სახელმწიფო თეატრში შედგა. გათამაშდა 200.000 ბილეთი. სალაროში ჩაირიცხა 2.268.793 მანეთი. გამარჯვებულნი გამოვლინდნენ ჟურნალ „ნაკადულის“ ინიციატივით შერჩეული ბავშვების მეშვეობით. შემოსული თანხების მიზნობრივად გადანაწილების შემდეგ, კომისიამ დაიწყო მზადება მორიგი ლატარიის გათამაშებისათვის. შემოსავლიდან უნივერსიტეტს გადაეცა 1.077.677 მანეთი.

1919 წლის 13 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადგინა: „დაევალოს საგანგებო კომისიას, პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილისა და სვიმონ ავალიანისაგან შემდგარს, წარმოადგინოს მოსაზრება უნივერსიტეტის ხვედრი ფულის შენახვის შესახებ. რაც შეეხება მეორე ლატარიის მოწყობას, უნივერსიტეტის მონაწილეობა ამ ლატარიაში არც სასურველად და არც საჭიროდ მიჩნეული არ იქნა“.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაში ქართული საზოგადოება დიდ თანადგომას იჩენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ეროვნული თეატრისადმი.

Wide scale charity activities preceded the establishment of Georgian University. The first national lottery was held in the framework of these activities and this lottery was supposed to financially support the university, also Georgian theater.

The idea of holding lottery appeared in summer, 1917 in Georgia. Privat-docent Ivane Javakhishvili was elected as a head of the lottery council (he had recently returned from Petrograd University) and Giorgi Laskhishvili (socialist-federalist) – as a head of the governing body.

Initiating committee of Transcaucasian Commissariat allowed to issue lottery tickets worth of 5.000.000 rubles on November 29. Half million was supposed to be given to lottery winners, half of the gain from lottery was supposed to be given to initiating committee which intended to establish the university, while half of the gain would go to the theater, 5% among it would be given to the union of the actors.

Ticket cost 25 rubles. It had five 5-ruble coupons. Coupons had the following inscriptions: “Lottery held in 1918 to support Georgian University, theater, and union of actors”; “One fifth of the ticket”; price – 5 rubles”; “those who will bring this banknote will receive one fifth of the win”. The signatures of Javakhishvili, Laskhishvili and Akaki Chkhenkeli (representative of National Council) were also present.

Tickets were sold from autumn, 1918. Press and famous public figures supported it.

Lottery was supposed to be held in December, 1918, however was with Armenia, also the harsh winter hindered this activity.

Lottery was held in November 1, 1919 at National Theater. 200.000 tickets were in lottery. 2.268.793 rubles was a total income. Winners were named with the help of children chosen by journal “Nakaduli”. After distributing money as it was intended, commission started to work on the next lottery and the University received 1.077.677 rubles.

The council of professors at University established on November 13, 1919: “Special commission consisting of Phillip Gogichaishvili and Svimon Avaliani should report about the future fate of the money given to the University. As for the second lottery, the participation of the University in the next lottery was supposed to be neither desirable not necessary”.

Therefore we can say that Georgian society supported very much Georgian University and National Theater.

## სარჩევი Contents

<b>ცისა ბახამიძე</b> , პოლივალენტური ნანოსინტაქსი იბერიულ-კავკასიურ ენებში და ირიბ-ობიექტური უღვლილების მოდელები – S2O3 ქართულში.....	3
<b>Tsira Baramidze</b> , Polyvalent Nanosyntax in the Iberian-Caucasian Languages and Indirect-Objective Models of Conjugation – S2O3 in Georgian.....	3
<b>მიხეილ ბახნოვი</b> , რუდოლფო ანაიას „მაკურთხე ულტიმა“ (ჩიკანო მწერლობის რამდენიმე საკითხის შესახებ).....	7
<b>Mikheil Barnovi</b> , Rudolfo Anaya’s “Bless Me, Ultima” (Several Characteristics of Chicano Literature).....	7
<b>მიხეილ ბახტაძე</b> , გიორგი V ბრწყინვალის ტიტულატურისათვის.....	11
<b>Mikheil Bakhtadze</b> , For the Title of Giorgi V Brtskinvale.....	11
<b>ლინდა გიორჯაძე, მანანა ექჟომაიშვილი</b> , ქართულ ტერმინობანკში ტექნიკური ტერმინოლოგიის რედაქციის თავისებურებანი.....	14
<b>Linda Giorgadze, Manana Erkomaishvili</b> , Peculiarities of the Editorial Work for the Technical Terminology within the Georgian Term-Bank.....	14
<b>ელენე გოგიაშვილი</b> , ვაჟადგადაცმული ქალები – ქართული ზღაპრის პერსონაჟები და კინოგმირები.....	18
<b>Elene Gogiashvili</b> , Girls in Men’s Clothes in Georgian Folktales and Cinematography.....	18
<b>თეა გოგოლიშვილი</b> , კლერმონის საეკლესიო კრება და მისი მნიშვნელობა პირველი ჯვაროსული ლაშქრობის ისტორიკოსებთან.....	22
<b>Tea Gogolishvili</b> , Council of Clermont and its Significance According to Historians of the First Crusade.....	22

<b>ჩუსუდან ღოღიძე, სოფიო თოთიბაძე</b> , მეტაფორის ევოლუცია არისტოტელედან დღემდე .....	26
<b>Rusudan Dolidze, Sopio Totibadze</b> , Evolution of the Concept and Understanding of Metaphor from Aristotle to Today .....	26
<b>სახიონ ზედეღაშვილი</b> , ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მონწყობის პრინციპები ცენტრალურ კავკასიაში XIX საუკუნიდან დღემდე დოკუმენტური წყაროების მიხედვით.....	28
<b>Sardion Zedelashvili</b> , Principles of territorial-administrative arrangement in the Central Caucasus from the 19 <sup>th</sup> century to the present day according to documentary sources.....	28
<b>ჩუსუდან ზეჯღაშვილი</b> , მოდალური ნაწილაკების შესახებ ქართულ სამეტყველო ეტიკეტში .....	31
<b>Rusudan Zekalashvili</b> , About Modal Particles in Georgian Speech Etiquette .....	31
<b>ქეთევან კაკიტღაშვილი</b> , კოლექტიური ტრავმის კონსტრუირების კულტურული მექანიზმები საქართველოში 1980-1990 -იანი წლების სტიქიური უბედურებების მაგალითზე .....	36
<b>Ketevan Kakitelashvili</b> , Cultural Mechanisms of Construction of Collective Trauma: Case of Natural Disasters in Georgia in the 1980s-1990s .....	36
<b>მაია ღომია</b> , III ჯგუფის განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ჰიპოტაქსური აგებულებისა და ფუნქციური დანიშნულების საკითხი მეგრულში (ქართულ-მეგრული შედარებითი ანალიზი).....	39
<b>Maia Lomia</b> , The Hypotactic Structure and Function of the III Group of Indefinite Pronouns in Megrelian (A Comparative Megrelian-Georgian Analysis) .....	39
<b>ხვთისო მამისიმედიშვილი</b> , იდრის ბაზორკინის რომანის „საუკუნეთა ბურუსიდან“ კულტურულ-ისტორიული კონტექსტი.....	43
<b>Khvtiso Mamisimedishvili</b> , Cultural and Historical Context of Idris Bazorkin’s Novel “Dark Ages” .....	43

<b>ივანე მჭედელაძე</b> , ტრადიციის გაგრძელებაცა და ჩამოყალიბებაც: უახლესი ქართველოლოგიური ნაშრომი თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში .....	47
<b>Ivane Mchedeladze</b> , Continuation and Formation of Tradition: The Latest Kartveliological Work in Modern Ukrainian Literary Studies .....	47
<b>მამუკა მჭედლიძე</b> , რუსეთი გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ისტორიული რეტროსპექტივა და თანამედროვეობა .....	50
<b>Mamuka Mchedlidze</b> , Russia at the Geopolitical Crossroads: Historical Retrospect and Modernity.....	50
<b>ნინო ნასყიდაშვილი</b> , პავლო ტიჩინა: კლარნეტიდან პარტიამდე ...	58
<b>Nino Naskidashvili</b> , Pavlo Tychyna: From clarinet to party.....	58
<b>რუსუდან ნიშნიანიძე</b> , პირველი რექტორი – პეტრე მელიქიშვილი.	60
<b>Rusudan Nishnianidze</b> , The First Rector – Petre Melikishvili.....	60
<b>სალომე ომიადე</b> , ბარბარე ჯორჯაძის კულინარიული მეტროლოგია	63
<b>Salome Omiadze</b> , The Culinary Metrology of Barbare Jorjadze .....	63
<b>თამაზ პაიჭაძე</b> , სიმბოლისტური სახისმეტყველების დუალისტური ბინარები /ევროპულ-ქართული პარალელები/ .....	67
<b>Tamar Paichadze</b> , Dualistic Binaries of Symbolist Artistic Discourse/ European-Georgian parallels/ .....	67
<b>ნინო პოპიაშვილი</b> , უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობისა“ და იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამების“ გერმანული თარგმანები.....	71
<b>Nino Popiashvili</b> , German translations of “The Martyrdom of St. Eustatius” by an unknown author and „The Martyrdom of St. Abo“ by Ioane Sabanisdze.....	71
<b>მანანა ხუსიეშვილი</b> , ვრცელი ქართულ-ინგლისური თემატური ლექსიკონის თაობაზე .....	74
<b>Manana Rusieshvili</b> , Towards the creation of an extensive Georgian-English thematic dictionary.....	74


<b>ინგა სანიკიძე</b> , ქაჯები და მათი მხატვრული ინტერპრეტაციის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“ .....	76
<b>Inga Sanikidze</b> , Kajis and their Interpretation in “The Man in the Panther’s Skin” .....	76
<b>ნესტან სულავა</b> , პიეტრო დელა ვალე წმ. ქეთევან წამებულის მისიის შესახებ და თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“ .....	82
<b>Nestan Sulava</b> , Pietro Della Valle About the mission of St. Ketevan the Martyr and “The Torture of the Queen Ketevan” by Teimuraz I .....	82
<b>მიხეილ ქახიველიშვილი</b> , მებრძოლ უღმერთოთა კავშირი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი .....	85
<b>Mikheil Kartvelishvili</b> , The Soviet League of the Militant Godless and Tbilisi State University .....	85
<b>ღია ქაჩოსანიძე</b> , ეროვნული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური პოლიტიკის საკითხები საქართველოში .....	89
<b>Lia Karosanidze</b> , National Term Bank and Issues of Terminological Policy in Georgia .....	89
<b>თეა ქაჩავა</b> , ბერტრანდონ დე ლა ბროკიერი – XV საუკუნის ჭვაროსნული ლაშქრობის პროპაგანდისტი და კურიერი .....	93
<b>Tea Karchava</b> , Bertrandon de la Broquière – Propagandist and Currier of the XV Century Crusade Idea .....	93
<b>ჰამაზ ქუხეძაძე</b> , ქვეწყობილი წინადადების რომელ ნაწილს უნდა მივაკუთვნოთ მიმართვა? .....	98
<b>Ramaz Kurdadze</b> , To Which Part of the Complex Sentence Does the Address Pertain? .....	98
<b>მედეა ღღონგი</b> , სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიულ-მეთოდოლოგიური არჩევანის გამო (რწმენისა და ცოდნის გაერთიანების წესი) .....	101
<b>Medea Ghlonti</b> , On the Lexicographic-methodological Choice of Sul Khan-Saba Orbeliani (The Rule of Unifying Faith and Knowledge) .....	101



<b>თამაზ შახაბიძე</b> , „რუსობისაგან მოტანილი საქმე“ – ლადო კოტეტიშვილის მოთხრობა „გველტუჩა“ .....	105
<b>Tamar Sharabidze</b> , “Undertakings Brought from Russia” – Lado Kotetishvili’s Short Story Gveltucha .....	105
<b>ნინო ჩიკოვანი</b> , კულტურული ნიმუშის ძიებაში: 1991-1992 წლების სამოქალაქო დაპირისპირების მეხსიერება საქართველოში .....	110
<b>Nino Chikovani</b> , Searching for the Cultural Pattern: Memory of the Civil Confrontation of 1991-1992 in Georgia.....	110
<b>ირაკლი ჩხაიძე</b> , საქართველო და ევროპა: იდენტობის დისკურსი ნაციონალიზმის ეპოქაში .....	114
<b>Irakli Chkhaidze</b> , Georgia and the West: Identity Discourse in the Era of Nationalism .....	114
<b>სოფიო ჩხატარაშვილი</b> , ეროვნული იდენტობის საკითხის აქტუალურობა ვასილ მახნოს უახლეს ლექსებში.....	117
<b>Sophio Chkhatarashvili</b> , Topicality of the problem of of national identity in Vasil Makhno’s latest poems .....	117
<b>ივანე წუხეთელი</b> , „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“– ტრავმული წარსული მემუარულ ტექსტებში.....	120
<b>Ivane Tsereteli</b> , “What I Remember and How I Remember” – Traumatic Past in Memoir Texts.....	120
<b>ლელა ხაჩიძე</b> , პარიზული ხელნაწერის (Georg. 5) სტრუქტურა და ქრონოლოგია .....	123
<b>Lela Khachidze</b> , The Structure and Chronology of the Parisian Manuscript (Georg.5) .....	123
<b>დეიდა (ია) ხუბაშვილი</b> , ვატიკანის პოზიცია მეორე მსოფლიო ომის გარდამტეხ პერიოდში ერთი საარქივო დოკუმენტის მიხედვით .....	126

<b>Leila (Ia) Khubashvili</b> , The Position of Vatican at the Crucial Period of World War II According to One Archival Document.....	126
<b>ნიკო ჯავახიშვილი</b> , საქველმოქმედო ლატარია ქართული უნივერსიტეტის მხარდასაჭერად (1917-1919 წლები).....	132
<b>Niko Javakhishvili</b> , Philanthropic Lottery to Support Georgian University (1917-1919).....	132





2023